დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ASAVALI.GE ASDAS.GE

# ასავალ დასავალი

2022 წლის 14 – 20 მარტი

N12 1424

ფასი 3 ლარი და 30 თეთრი

## რა უნდა ვიცოდეთ ბირთვული ღილაკის შესახებ?!

8-9








„მნიშვნელოვანია სამი ადამიანის გადაწყვეტილება – პრეზიდენტის, ეროვნული თავდაცვის ხელმძღვანელის და გენშტაბის უფროსის. თუ დაინახეს, რომ პრეზიდენტის ფსიქიკური მდგომარეობა არ არის მწყობრში, შეუძლიათ, არ შეასრულონ მისი ბრძანება!“

## კრემლის ბედკრული შვილები

„ამ ომით ზელენსკი და მისი ბანდა გამდიდრდებიან ისევე, როგორც სააკაშვილი და მისი ბანდა 2008 წლის აგვისტოს ომით გამდიდრდნენ!“






საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N15/10/02 2013 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს მიმართ გამოხატული განსაკუთრებული თანადგომისა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ეროვნული ინტერესების მტკიცე მხარდაჭერისათვის დაჯილდოვდნენ:

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით:

ვიქტორ იანუკოვიჩი - უკრაინის პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

№1

## უკრაინის პრორუსი პრეზიდენტი და პუტინის მოკავშირე ვიქტორ იანუკოვიჩი სააკაშვილს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით ჰყავს დაჯილდოებული!

2-3

## ლუგანსკს შეეშალა!

## სხვა მოადგება ვიდრე დარიალს...

ლაშა ნადარეიშვილი



წავლენ ესენიც...
წავლენ ისინიც...
მამულს ახალი
ქარი დაიარს...
ძილშიაც გესმას
გველთა სისინი,
სხვა მოადგება
ვიდრე დარიალს!

მე ცაზე მთვარე
დავტოვე მძევლად,
გზად სიყვარული
მინდა დავტოვო, —
მაგრამ სამშობლოვ,
უსაზღვრო ძველად,
მკითხავ — თოვლივით
დადნა რატომო?

აქ იახსარმა
დევნი ალაგმა,
კოპალას სულიც
აქ განფენილა, —
მაგრამ თუ სიტყვა
გითხრა არაგმა,
სიკვდილი უკვე
არაფერია!

სად დაიბადა
ნეტავი ნისლი,
მყინვარის მხრებს
რომ წაეპოტინა...
სწყურია შენი
ნეტარი სისხლი
სვავს, აუფრენელს
მუხის ტოტიდან!

წავლენ ესენიც...
წავლენ ისინიც...
მამულს ახალი
ქარი დაიარს...
ძილშიაც გესმას
გველთა სისინი,
სხვა მოადგება
ვიდრე დარიალს!

# კრემლის ბედკრული შვილები

***რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების პატიმარი, უკრაინის მოქალაქე, უკრაინის რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მოუწოდებს, უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭოს.***

საქართველოში მოქმედებს კანონი **„სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების“** შესახებ, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი, თუ ვის და რატომ შეიძლება, მიენიჭოს ესა თუ ის სახელმწიფო ჯილდო, ორდენი და წოდება. აღნიშნულ კანონში წერია, რომ **„საქართველოს ეროვნული გმირის ორდენი არის საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო, რომლითაც ჯილდოვდება პირი საქართველოსთვის ჩადენილი განსაკუთრებული, გამორჩეული გმირული საქციელისათვის. საქართველოს ეროვნული გმირის ორდენით დაჯილდოებით პირს ენიჭება საქართველოს ეროვნული გმირის საპატიო წოდება“.**

**საინტერესოა, უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ, რომლისთვისაც სააკაშვილი ეროვნული გმირის წოდების მინიჭებას ითხოვს, საქართველოსთვის რა განსაკუთრებული და გამორჩეული გმირული საქციელი ჩაიდინა?**

ზელენსკის საქართველოს ეროვნული გმირის წოდება იქნებ იმის გამო ეკუთვნის, რომ ქართველი სახელმწიფო კრიმინალები, ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი დამნაშავეები უკრაინაში შეიფარა და თანამდებობებზე დანიშნა? ჰო, **იქნებ უკრაინის რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ სააკაშვილის დანიშვნისა და უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩევლად ზურაბ ადეიშვილის გამწესებისათვის იმსახურებს ზელენსკი საქართველოს ეროვნული გმირის ორდენს ან სულაც გლდანის ციხის ყოფილი უფროსის, ჯალათი ალექსანდრე მუხაძისათვის პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭების გამო უნდა გამოვაცხადოთ საქართველოს ეროვნულ გმირად?** მოიცადეთ, უკრაინის პრეზიდენტი იმისათვის ხომ არ იმსახურებს საქართველოს ეროვნული გმირის წოდებას, რომ რუსეთთან გაგანია ომის პირობებში საქართველოსათვის პოლიტიკური დემარშის მოსაწყობად მოიცალა და თბილისიდან საკუთარი ელჩი გაიწვია?

მოკლედ, **ზელენსკისათვის საქართველოს ეროვნული გმირის წოდების მინიჭების ინიციატივა პატიმარ სააკაშვილის მორიგი ბოდვაა, რაც იმ ფსიქიკურ და მენტალურ პრობლემებს უნდა მივაწეროთ, რომლებიც, ზოგიერთი სამედიცინო მუშაკისა და ნაცპარტიის წარმომადგენელთა მტკიცებით, მსჯავრდებულ ნაცბელადს აღენიშნება.**

სამაგიეროდ, სამედიცინო მუშაკები და ნაცპარტიის წარმომადგენლები სააკაშვილის ფსიქიკურ და მენტალურ პრობლემებზე არაფერს ამბობდნენ მაშინ, როცა მან 2013 წლის 15 ოქტომბერს უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი **ვიქტორ იანუკოვიჩი** ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

დიახ, დიახ, არაფერი გეჩვენებათ და გეყურებათ — **მიხეილ სააკაშვილმა 2013 წელს, თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა უკრაინის პრორუსი პრეზიდენტი და პუტინის მოკავშირე ვიქტორ იანუკოვიჩი.**

სააკაშვილის მიერ ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოებიდან ერთ თვეში უკრაინის პრორუსმა პრეზიდენტმა **იანუკოვიჩმა** უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ კიევში საპროტესტო გამოსვლები — ე.წ. **ევრომაიდანი** დაიწყო.

**სააკაშვილის მიერ ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოებიდან 4 თვეში, 2014 წლის 21 თებერვალს, იანუკოვიჩი პრეზიდენტობიდან გადააყენეს, რის შემდეგაც მოსკოვში გაიქცა და დღემდე კრემლის მფარველობის ქვეშ იმყოფება.**

რატომ დააჯილდოვა სააკაშვილმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით უკრაინის პრორუსი პრეზიდენტი და პუტინის მოკავშირე იანუკოვიჩი? **თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილმა ეს თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე გააკეთა, შეგვიძლია, ვივარაუდოთ — ნაცბელადს უკრაინაში გაქცევა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და წინდაწინ ზრუნავდა იმაზე, რომ კიევში სასათბურე პირობები დახვედროდა!** პირდაპირ რომ ვთქვათ, სააკაშვილი იანუკოვიჩს წაემლიქვნელა და უკრაინის პრორუსი პრეზიდენტი ევრომაიდნით რომ არ დაემხოთ, **„ბასტროლიორი მიხო“,** ალბათ, მის ხელისუფლებაშიც მიიღებდა თბილ ადგილს.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილს იანუკოვიჩთან და მის გარემოცვასთან კავშირი მას შემდეგაც არ გაუწყვეტია, რაც უკრაინის გადაყენებული პრორუსი პრეზიდენტი და მისი კარის ოლიგარქები მოსკოვში გაიქცნენ.



## ზელენსკი და მისი რაზმი






ადეიშვილი, საყვარელიძე, ლორთქიფანიძე, არახამია

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე** — *„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე*



დღეს საქართველო არის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც **ოპოზიცია რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულ ომს იყენებს საბაბად** საპროტესტო აქციებისთვის.

„აიპრესი“

**კახა კალაძე** *თბილისის მერი*



**სამარცხვინოა,** რაც მათ **(ნაციონალურმა მოძრაობამ)** იკადრეს! — **2008 წლის რეზოლუცია თავზე უნდა დაახიო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ სამარცხვინო გადაწყვეტილებას მოაწერა ხელი.** თქვენ იცით, რა წერია ამ რეზოლუციაში. ჩვენი სამხედროები დაადანაშაულეს, თითქოს ცხინვალი ჩვენი მხრიდან დაიბომბა. **სამარცხვინოა!** დღეს ეს ადამიანები გამოდიან და პატრიოტიზმზე გვესაუბრებიან.

„ინტერპრესნიუსი“

**იგორ ტერეხოვი** *ხარკოვის მერი*



**მადლობელი ვარ ყველა იმ ქალაქის მერის, ვინც გვეხმარება! მათ შორის, თბილისის მერის.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ჯო ბაიდენი** *აშშ-ის პრეზიდენტი*



აშშ პუტინის ომის დამფინანსებელი არ იქნება. **თუ დღეს არ ვუპასუხებთ პუტინის თავდასხმას გლობალურ მშვიდობასა და სტაბილურობაზე,** თავისუფლების საფასური ხვალ კიდევ უფრო დიდი იქნება.

„რეზონანსი“

**ნედ პრაისი** *აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი*



**ბევრი ქართველი,** იქნება ეს მთავრობა თუ რიგითი მოქალაქეები, **დგას და სოლიდარობას უცხადებს უკრაინის მთავრობას და ხალხს.**

„აიპრესი“

# უკრაინის პრორუსი პრეზიდენტი, პუტინის მოკავშირე ვიქტორ იანუკოვიჩი მიხეილ სააკაშვილს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით ჰყავს დაჯილდოებული!





საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N15/10/02 2013 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს მიმართ გამოხატული განსაკუთრებული თანადგომისა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ეროვნული ინტერესების მტკიცე მხარდაჭერისათვის დაჯილდოვდნენ:

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით:

ვიქტორ იანუკოვიჩი - უკრაინის პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი
№1

ნენ. მაგალითად, **2017 წელს უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ განაცხადა, რომ სააკაშვილის მიერ პოროშენკოს ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ საპროტესტო აქციებს მოსკოვიდან იანუკოვიჩის გუნდი, კერძოდ, ოლიგარქი კურჩენკო აფინანსებდა.** უკრაინის გენპროკურორი, რომელიც სააკაშვილისათვის აღკვეთის ღონისძიებად შინაპატიმრობის შეფარდებას ითხოვდა, ამტკიცებდა, რომ მისი მიზანი უკრაინის ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა იყო, რის შემდეგაც იანუკოვიჩის დაჯგუფების სამართლებრივი რეაბილიტაცია უნდა მომხდარიყო და პრორუს ოლიგარქებს უკრაინაში დაკარგულ ფინანსურ აქტივებზე კონტროლი დაებრუნებინათ. **უკრაინის გენერალური პროკურატურა ამტკიცებდა, რომ სააკაშვილმა საპროტესტო აქციის ორგანიზებისათვის იანუკოვიჩის კარის ოლიგარქ კურჩენკოსაგან შუამავლების მეშვეობით ნახევარი მილიონი დოლარი მიიღო.**

ერთი სიტყვით, სააკაშვილი არამხოლოდ საქართველოში, არამედ უკრაინაშიც **კრემლის ინტერესების შესაბამისად** მოქმედებდა, რის გამოც იგი სახურავიდან ჩამოათრიეს, უკრაინიდან გააძევეს და უკრაინული პასპორტიც ჩამოართვეს.



არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ **პრეზიდენტმა ზელენსკიმ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა მხოლოდ პუტინის საჯარო მოწოდების შემდეგ დაუბრუნა** — „სამართლიანი იქნებოდა, უკრაინული პასპორტი დაგვებრუნებინათ იმ ადამიანისთვის, რომელიც ადრე ქართველი იყო, დღეს კი თავს უკრაინელად მიიჩნევს. მხედველობაში მყავს **მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი**".

ცხადია, პუტინს იმ დროისათვის სააკაშვილი სწორედ უკრაინაში სჭირდებოდა!

**ზელენსკიმაც ყურად იღო პუტინის მოწოდება და მიხეილ ნიკოლოზის ძეს უკრაინული პასპორტი დაუბრუნა!**

იღებს თუ არა ყურად პრეზიდენტი ზურაბიშვილი პატიმარ სააკაშვილის მოწოდებას და მიანიჭებს თუ არა ზელენსკის საქართველოს ეროვნული გმირის წოდებას, ამაზე მხოლოდ მარჩიელობა შეგვიძლია, ხოლო, რაც სამარჩიელო არ არის და უტყუარ ფაქტს წარმოადგენს, ეს გახლავთ სააკაშვილის საპრეზიდენტო განკარგულება, რომელშიც წერია: **„საქართველოს მიმართ გამოხატული განსაკუთრებული თანადგომისა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ეროვნული ინტერესების მტკიცე მხარდაჭერისათვის დაჯილდოვდეს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით ვიქტორ იანუკოვიჩი — უკრაინის პრეზიდენტი".**

**დღეს არც იანუკოვიჩია უკრაინის პრეზიდენტი და არც სააკაშვილი – საქართველოს პრეზიდენტი, ორივენი კრემლის ბედკრული შვილები არიან!**

*ჯაბა ხუბუა*

## სააკაშვილი და მისი რაზმი



ადეიშვილი, საყვარელიძე, ლორთქიფანიძე, არახამია

## კვირგვინოსნები

**არნო ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის" მთავარი რედაქტორი*



დღეს სიძულვილით აყროლებულმა ნაცისტებმა აშშ-სგან უხვად ანაზღაურებადი დავალება მიიღეს — **გადააქციონ საქართველო მეორე უკრაინად,** დაამხონ „ქართული ოცნების" მთავრობა და გახსნან საქართველოში „მეორე ფრონტი" რუსეთის წინააღმდეგ, ანუ ისევ აქციონ საქართველო რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების იერიშის სამიზნედ! საქართველოში ნაციზმის აღსაკვეთად **ქართველი ხალხი უნდა დაირაზმოს პრემიერ ღარიბაშვილისა და ყველა ქართველი პატრიოტის გარშემო და ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთოს სტუმართმოყვარე საქართველოსთვის უცხო ქსენოფობია!**

**დავით ზალკალიანი**
*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი*



ევროკავშირმა **საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესი** ოფიციალურად დაიწყო. **ახლა გაერთიანების დროა,** იმისთვის, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მნიშვნელოვანი მისია ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანოთ.

„რეზონანსი"

**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი*



გულწრფელად მიკვირს, **რატომ სცალია საომარ სიტუაციაში არახამიას მაინცდამაინც საქართველოსა და მისი ხელისუფლების კრიტიკისთვის,** მაგრამ დღეს ისეთ სიტუაციაში არიან ეს ადამიანები, რომ არ ვაპირებთ ღრმა დისკუსიაში შესვლას. **ნაციონალურ მოძრაობას სურს საქართველოში 2008 წლის სცენარის განმეორება,** ჩვენ მათ არ მივცემთ საქართველოს ომში ჩათრევის შესაძლებლობას.

„იმედინიუსი"

**რეჯეფ თაიპ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*



მთელ **დასავლურ სამყაროს 2014 წელს ყირიმში შეჭრაზე ხმა რომ ამოეღო,** შევეჯახებოდით იმ სურათს, რომელიც დღეს არის? — ეს რა მსოფლიოა?

„ინტერპრესნიუსი"

# შაქართველო

***უკანასკნელ ხანს, უკრაინაში გაჩაღებული საშინელი ომის კვალდაკვალ, თბილისისა და დანარჩენი საქართველოს მაღაზიებში, გასტრონომებსა და ე.წ. სუპერმარკეტებში დიდი ჩოჩქოლი, წელში შეხტომა და თავზე გადახტომა ატყდა... თითქოს ვიღაცამ დირიჟორის ჯოხი აიქნიაო, დაფეთებული ხალხი უეცრად ამოძრავდა და ტომრებით, ფუთებით, უშველებელი საკვოიაჟებითა და ბიდონებით დაიწყო სირბილი — არიქა, ომი იწყება და შაქარი, ფქვილი, მაკარონი, ზეთი, ბურღულეული და პირველადი მოხმარების საგნები მოვიმარაგოთო!***







არაერთგზისი გაფრთხილებისა და განცხადების მიუხედავად, რომ ქვეყანაში არავითარი სასურსათო დეფიციტი არ არსებობს და სახელმწიფოს შაქარიც ბლომად აქვს, ფქვილიც, ზეთიც, ჭლაკვიც და ტყემალიც, **რომელიც ტყეში გაზრდილმა ელენე ხოშტერიამ წინა კვირას შეისხა,** პანიკაში ჩავარდნილი და შეშინებული ხალხი მაღაზიიდან მაღაზიაში დღესაც „მეშოკებით“ დარბის და ერთბაშად ყველაფერს დიდი რაოდენობით ყიდულობს. ცხადია, ამის გამო სასურსათო პროდუქციის დეფიციტი ხელოვნურად იქმნება, რითიც მაშინვე სარგებლობენ ქართველი ჩარჩები და ადამიანის მსგავსი ღორები, რომელთა სამშობლოც საქართველო კი არა, **„შაქართველოა“.** შესაბამისად, შაქარზე, ფქვილსა და სხვა სტრატეგიულ პროდუქტებზე ისინი ფასებს უსინდისოდ ზრდიან და ისედაც გაჭირვებულ ხალხს ცხრაპირ ტყავს აძრობენ! ცხადია, სოციალური თანადგომა და გაჭირვებული მოძმის სიდუხჭირის გაზიარება ასეთი ჰომინიდი ღორებისთვის უცხო რამ გახლავთ. არადა, დიდი სამამულო ომის დროს ადგილზე სწორედ ასეთებს ხვრეტდნენ და მე თუ მკითხავთ, სავსებით სამართლიანადაც.

მოკლედ, **ბოლო დროს ატეხილმა სამარცხვინო სასურსათო პანიკამ და მაღაზიებიდან შაქრის მასობრივად დატაცებამ ცხადყო, რომ მენტალური ქართველებისგან დაცლილი და გაპარტახებული გეოგრაფიული არეალი, სადაც**

**თუ შაქარსა და თაფლაკვერს არ დახარბდება და ცხოვრების საზრისად მუცლის ამოყორვასა და თათქარიძისეულ ძღომას არ გაიხდის, მაშინ ამ ქვეყანას შეუძლია, შაქარივით ტკბილად იცხოვროს!**

**დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, სინამდვილეში არის არა „საქართველო“, არამედ — „შაქართველო“.**

მართლაც, როგორც ეს მართლაცდა გაღორებული და მოღორებული ბრბო ამ რამდენიმე დღის წინათ სასურსათო მაღაზიებში იქცეოდა, ისე საქართველოში არასოდეს მოქცეულან. ასე შეიძლება მხოლოდ **„შაქართველოში“** მოიქცნენ, სადაც ცხოვრების საზრისი და ბედნიერების ხაზი სწორედ კუჭსა და მუცლის ამოყორვაზე გადის.

საქართველოსგან განსხვავებით, **„შაქართველოს“** არავითარი პერსპექტივა არა აქვს... **„შაქართველო“** ის დაქცეული და დაღუპული ქვეყანაა, სადაც

## ეს „შაქართველოა“, სადაც მოღალატეებსა და ქვეყნის გამყიდველებს შაქარივით ტკბილი და უშფოთველი სიბერე გარანტირებული აქვთ!

მოღალატეები პატრიოტებს სჭარბობენ და თავს კომფორტულად გრძნობენ. აფხაზეთი და სამაჩაბლო **„შაქართველომ“** დაკარგა და **საქართველოს** არ დაუკარგავს. შესაბამისად, სამარცხვინო და გარყვნილი მასხარა სააკაშვილი, რომელიც მაცივრით შემოგვითრიეს, რათა გადატრიალება მოეხდინა, რუსეთისთვის მეორე ფრონტი გაეხსნა და ქვეყანა სისხლიან ავანტიურაში უკვე მეორეჯერ ჩაეთრია, არა **საქართველოს,** არამედ **„შაქარ**თველოს“ ნაპრეზიდენტალია... სწორედ **„შაქარ**თველოში“ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რომ აფხაზეთის ჩამბარებლებსა და გამყიდველებს რუსთაველის პროსპექტზე ტაშის გრიალში ერთმანეთის მიყოლებით გაეხსნათ ბუტიკები და ნაირგვარი დასახელების მაღაზიები, სადაც მხოლოდ უცხოელებს შეესვლებათ. დაბომბილ და მიწასთან გასწორებულ უკრაინაში გადახვეწილი **ჩუქული ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გია ლორთქიფანიძე, ადეიშვილის საყვარელიძე, კოხტა კოდუა** და სააკაშვილის პორნოინდუსტრიის მთავარი პროდიუსერი **მეგის ქარდავა,** რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ჩამოათრიეს, **„შაქართველოს“** შვილები არიან და არა საქართველოსი! საერთოდ, საქართველოს თავისუფლება და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ზვიად გამსახურდიასთან ერთად მოკვდა და იმის შემდეგ ჩვენ „შაქართველოში“ ვცხოვრობთ.

ზემოთ მოგახსენეთ, **„შაქარ**თველოს“ არავითარი პერსპექტივა არა აქვს-მეთქი! სამაგიეროდ, **საქართველოს** აქვს ბრწყინვალე შანსი... კერძოდ, **თუ შაქარსა და თაფლაკვერს არ დახარბდება და ცხოვრების საზრისად მუცლის ამოყორვასა და თათქარიძისეულ ძღომას არ გაიხდის, მაშინ ამ ქვეყანას შეუძლია, შაქარივით ტკბილად იცხოვროს! მაგრამ, თუ ჩვენ ცხოვრების წესს არ შევიცვლით და ვიღაც ოხერ-ტიალის მიერ გადმოგდებული ერთი ნატეხი შაქრის სანაცვლოდ ცირკის დათვივით მალაყებზე გადასვლას არ მოვიშლით, მაშინ ჩვენი საშველი არასოდეს იქნება.**

**„შაქარ**თველო“ 1195 წელს შამქორის ომის მომგები არ იყო, ის ომი **საქართველომ** მოიგო!

რუსეთმა, რომელიც დღეს ევროპის შუაგულში საშინელ ომს აწარმოებს, ყოველთვის იცოდა და იცის, როდის არის ჩვენი სამშობლო ქვეყანა **საქართველო** და როდის — **„შაქართველო“**... შესაბამისად, რუსეთის იმპერიას საქართველოსთან ომის გაჩაღებას **„შაქართველოსთან“** ჩხუბი და დავიდარაბა ერჩივნა და ურჩევნია. სწორედ ამიტომ არის ახლანდელი დრო შარიანი, წყეული და საფათერაკო, რადგან რუსეთმა იცის, რომ **საქართველო** მოკვდა და ახლა მის ადგილას **„შაქართველოა“!**

იმ სამარცხვინო სასურსათო პანიკის დღეებმა, როცა მოსახლეობის ნაწილი მაღაზიების დახლებს ერთმანეთის მიყოლებით აცარიელებდა და იმაზე არას ფიქრობდა, თვისტომს რას უტოვებდა, ერთხელ და სამუდამოდ დაგვარწმუნა, რომ ამ დიდებულ მიწაზე, სადაც ოდესღაც ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული **საქართველო** ყვაოდა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა და მომძლავრდა უზნეოთა, გამყიდველთა, კოლაბორაციონისტთა, გვამების შემგროვებელთა და უწმინდურთა **„შაქარ**თველო“...

**ეს არის დეზერტირთა, არაფრის მაქნისთა და პარაზიტთა ქვეყანა, რომელიც არაფერს აწარმოებს და ქმნის და რომელმაც უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ყველგან და ყველასთან ყველაფერი წააგო!**

დიახ, ეს **„შაქართველოა“,** სადაც მოღალატეებსა და ქვეყნის გამყიდველებს **შაქარივით** ტკბილი და უშფოთველი სიბერე გარანტირებული აქვთ!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*



წაგებული ომის შემდეგ **საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ უვიზო მიმოსვლა შემოიღო რუსეთის მოქალაქეებისთვის.** სტრატეგიული ობიექტები გაყიდეს რუსეთის სახელმწიფო კომპანიებზე, არა უბრალოდ რუსულ ბიზნესებზე, არამედ სახელმწიფო კომპანიებზე.

ღმერთმა არ ქნას, მაგრამ თუ რამე მოხდება, **ომში ისევ ის ადამიანები წავალთ, ვინც თავის დროზე ვიყავით და ბუჩქებში ისევ ისინი დაიმალებიან და გაიქცევიან, ვინც თავის დროზე გაიქცა.**

„TV იმედი“

**ელიშერ გვენეტაძე**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიციამ თუ ასე გააგრძელა, „ოცნება“ **2060 წლადე** დარჩება ხელისუფლებაში.

„რეზონანსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



სულ ვფიქრობდი, **კარგი იქნებოდა 2024 წელს ხელისუფლება შეცვლილიყო,** მაგრამ, ნაცმოძრაობის შემყურე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ.

„TV იმედი“

**ირაკლი გოგავა**
*პოლიტოლოგი*



რადიკალური ოპოზიციის ფუნქციაა, **მოემსახურონ რომელიღაც გარე ჯგუფების ინტერესებს** საკუთარი ქვეყნის ინტერესების შელახვის ხარჯზე.

„TV იმედი“

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



არანორმალური საქციელია, როცა **პოლიციელებს ტუალეტის ქაღალდებს, ფქვილს აყრიან და „კეტჩუპს“ ასხამენ,** ამას არასდროს ვაპატიებთ, ეს ადამიანები მკაცრად დაისჯებიან.

„აიპრესი“

***ნაციონალური მოძრაობა საქართველოს მოქალაქეებისაგან ადეკვატურ პასუხს იღებს იმ ანტისახელმწიფოებრივ და რენეგატულ ქმედებებზე, რომლებსაც სააკაშვილის სექტანტები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე სჩადიან.***



**სააკაშვილის სექტის პარტიული ოფისების კედლებზე სასქესო ორგანო დახატეს და დაწერეს — „მე-5 კოლონა“, „საქართველოს მტრები“, „ნაწყლმოძრაობა“, „ძირს მოღალატეები“!**



# ნაცებს მიახატეს!

კერძოდ, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მაგალითად, თბილისში, ლაგოდეხში, გორსა და კასპში, ნაციონალური მოძრაობის პარტიული ოფისების ფასადებზე გაჩნდა წარწერები: **„მე-5 კოლონა“, „საქართველოს მტრები“, „ნაწყლმოძრაობა“, „ძირს მოღალატეები“** და სხვა ამისთანანი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აღშფოთებული მოქალაქეები სააკაშვილის სექტის პარტიული ოფისების კედლებზე მამაკაცის სასქესო ორგანოს ხატავენ.

**სააკაშვილის სექტა, როგორც ყოველთვის, ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს — ჩვენს ოფისებზე ასეთ წარწერებს „ქართული ოცნების“ მიერ დაქირავებული პირები აკეთებენო! დიახ, ეს უბედურ დღეზე გაჩენილი ნაცები ვერაფრით მიმხვდარან, რომ მათი მთავარი მოწინააღმდეგე „ქართული ოცნება“ კი არა, ქართველი ხალხია!** უფრო სწორად, ნაცები ამას მშვენივრად ხვდებიან, მაგრამ ცოცხალი თავით არ სურთ, აღიარონ, რომ მათი ხელმოცარულობის, მათი პერმანენტული მარცხის, მათი პოლიტიკური გაკოტრებისა და გამარგინალების მთავარი ავტორი არის არა ხელისუფლება, არამედ **ქართველი ხალხი,** რომელიც სააკაშვილის სისხლიან ბანდას, კაცისმკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების ხროვას პოლიტიკურად თავში ურახუნებს მაშინვე, როგორც კი ისინი თავს წამოსწევენ და ძალაუფლების მიტაცებას დააპირებენ.

მოკლედ, საქართველოს რიგ ქალაქებში **ნაციონალური მოძრაობის პარტიული ოფისების კედლებზე გაკეთებული მამხილებელი წარწერები — „მე-5 კოლონა“, „საქართველოს მტრები“, „ნაწყლმოძრაობა“, „ძირს მოღალატეები“** და სხვა —

**ეს არის საქართველოს პატრიოტი და პატიოსანი მოქალაქეების რეაქცია იმაზე, რომ სააკაშვილის ანტიქართული სექტა ცდილობს, საქართველო რუსეთ-უკრაინის ომში ჩაითრიოს და მის მიერ 2008 წელს ერთხელ უკვე გამეტებული ქვეყანა მეორედაც აქციოს კრემლის სამხედრო აგრესიის მსხვერპლად.**

**ნაციონალური მოძრაობის პარტიულ ოფისებზე მამხილებელ წარწერებს — „მე-5 კოლონა“, „საქართველოს მტრები“, „ნაწყლმოძრაობა“, „ძირს მოღალატეები“** — საქართველოს ის მოქალაქეები აკეთებენ, რომლებიც ხედავენ, რომ სააკაშვილის სექტა არის მთელ მსოფლიოში ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ცდილობს, უკრაინაში მიმდინარე ომი საკუთარი რევანშისტული მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს და ქართული სახელმწიფო ჩამოშალოს.

**ნაციონალური მოძრაობის პარტიულ ოფისებზე მამხილებელ წარწერებს — „მე-5 კოლონა“, „საქართველოს მტრები“, „ნაწყლმოძრაობა“, „ძირს მოღალატეები“** — ის ქართველები აკეთებენ, რომლებიც კარგად ხვდებიან და აფასებენ, რომ რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ფრთხილი, მოზომილი და გონივრული რიტორიკა და ქმედებები ლაჩრობა და კოლაბორაციონიზმი კი არა, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისი პოლიტიკაა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **სააკაშვილის სექტაში თავისუფლად შეუძლიათ, ჩათვალონ, რომ მათი პარტიული ოფისების ფასადებზე მამხილებელ წარწერებს ცალკეული მოქალაქეები კი არა, ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა აკეთებს!** დიახ, ის პულველიზატორი, რომლითაც ნაცთა ბუნაგების კედლებზე იწერება — **„მე-5 კოლონა“, „საქართველოს მტრები“, „ნაწყლმოძრაობა“ და „ძირს მოღალატეები“,** 4-5 კაცს კი არა, ასეულათასობით ქართველს უჭირავს ხელში!

ზოგადად, **ნაციონალური მოძრაობა საქართველოში რუსეთის მე-5 კოლონას რომ წარმოადგენს,** ეს ახალი ამბავი არ არის! დიახ, ეს ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცით, როცა ე.წ. ვარდების რევოლუციის გადამწყვეტ მომენტში თბილისში, პარლამენტის შენობის წინ, სააკაშვილის გვერდით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **იგორ ივანოვი** გამოჩნდა; **სააკაშვილის გამზრდელი** ბიძა — ჯერ საბჭოთა კავშირისა და შემდეგ რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურის სტაჟიანი კადრი **თემურ ალასანია** საქართველოს მთავრობის სხდომებს ყოველგვარი ოფიციალური სტატუსის გარეშე რომ ესწრებოდა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობდა, **ჯერ კიდევ მაშინ ვხვდებოდით, რომ ნაციონალური მოძრაობა კრემლის მე-5 კოლონა იყო;** მერე, როცა სააკაშვილის ხელისუფლებამ ახალგორის რაიონი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეიყვანა, კოდორის ხეობას კი „ზემო აფხაზეთი“ უწოდა და ბოლოს ორივე ტყვიის გაუსროლელად ჩააბარა რუსეთს, კიდევ უფრო დავრწმუნდით, რომ **ნაცების სახით რუსეთის მე-5 კოლონასთან გვქონდა საქმე;** იმავე სააკაშვილის ხელისუფლებამ რამდენიმე ასეული სტრატეგიული ობიექტი ოკუპანტი ქვეყნის სახელმწიფო კომპანიებს რომ მიჰყიდა და საქართველოს ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოება თითქმის მთლიანად რუსეთზე გახადა დამოკიდებული, ესეც მისი **მე-5 კოლონობის** დადასტურება გახლდათ, ხოლო ამ ყველაფერს ბოლო ბეჭედი მაშინ დაესვა, როცა ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას მისცა ხმა და ევროსაბჭოში ხელი მოაწერა რეზოლუციას, რომლითაც ომის დამწყებად საქართველო იყო გამოცხადებული.

**ყოველივე ამის შემდეგ არც არის გასაკვირი, რატომ ცდილობს ნაციონალური მოძრაობა, საქართველო კიდევ ერთხელ ჩაითრიოს რუსეთთან ომში და გავეშებულ დათვს კიდევ ერთხელ დაატორინოს ეს ქვეყანა!**

კრემლის მე-5 კოლონისაგან, აბა, სხვას რას უნდა ველოდეთ?

**სააკაშვილის სექტას მარტო პარტიულ ოფისებზე კი არა, პირდაპირ შუბლზე აწერია, რომ კრემლის მე-5 კოლონაა!**

**ნაციონალური მოძრაობა მთელი თავისი არსებობის განმავლობაში სიტყვითა და საქმით ამტკიცებს, რომ სწორედ ის არის, რასაც ახლა პარტიულ ოფისებზე უწერენ — საქართველოს მტერი და მოღალატე!**

ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად ზუსტად იმას წარმოადგენს, რაც მისი პარტიული ოფისების კედლებზე პულველიზატორით მიახატეს!

**დიახ, ნაცებს რაც მიახატეს, სწორად მიახატეს!**

ქართველებს არც კაცის ცნობა ეშლებათ და არც — ნაცის ცნობა!

***ჯაბა ხუბუა***

## სააკაშვილის სექტას მარტო პარტიულ ოფისებზე კი არა, პირდაპირ შუბლზე აწერია, რომ კრემლის მე-5 კოლონაა!

### კვირგვინოსნები

**ჟოზეფ ბორელი**
*საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისარი*



**ნატო არ აპირებს ამ ომში ჩართვას,** ვცდილობთ, არ დავუშვათ, რომ რაიმე ინციდენტმა ამისკენ გვიბიძგოს.

„იმედინიუსი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



გავიხსენებ **ლეხ კაჩინსკის** სიტყვებს, რომელიც თბილისში 2008 წელს თქვა: **„კარგად ვიცით — დღეს — საქართველო, ხვალ — უკრაინა, ზეგ — ბალტიის ქვეყნები და შემდეგ, შესაძლოა, მოვიდეს დრო — პოლონეთისთვის“** — ეს საზარელი „ხვალ“ უკრაინისთვის დადგა.

„ინტერპრესნიუსი“

**ბორის ჯონსონი**
*დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი*



**ჩვენ ვერ ვისწავლეთ** რუსული აგრესიის გაკვეთილები. ძალიან დიდი ხანია, **მეორე ლოყა მივუშვირეთ.** ვერავინ იტყვის, რომ არ გაგვაფრთხილეს: **ჩვენ ვნახეთ, რა გააკეთა რუსეთმა საქართველოში 2008 წელს.**

„რეზონანსი“

**იენს სტოლტენბერგი**
*ნატოს გენერალური მდივანი*



ყოველი ომი უნდა დასრულდეს **მოლაპარაკებების მაგიდასთან,** საკითხავია, რამდენ ხანს უნდა ველოდოთ.

„რეზონანსი“




# ჰააგისკენ ჰერი-ჰერი!



მიხეილ მინძაევი



ჰამლეტ გუჩმაზოვი



დავიდ სანაკოევი

*უკრაინის ომმა, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო შეცვალა — სამყარო ნამდვილად აღარ იქნება ისეთი, როგორიც უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე იყო! და რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, დღითი დღე ყველაფერი საქართველოსთვის სასიკეთოდ იცვლება: სეპარატისტული რეგიონების — აფხაზეთისა და ცხინვალის რაიონის დედასამშობლოში დაბრუნების ჩათვლით!*

## ჰააგის სასამართლომ 2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავეების დაპატიმრების ორდერების გაცემა დაიწყო!

დიახ, სეპარატისტებისათვის განგაშის ზარებმა პირველად მაშინ ჩამოჰკრა, როდესაც გასული კვირის დასაწყისში, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან რუსული ტანკების გაყვანა დაიწყო! ოფიციალურად, ამის მიზეზად ვოლგოგრადში სამხედრო სწავლება დაასახელეს, თუმცა, ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო, დაიჯერო, რომ უკრაინაში მიმდინარე განია ომისას, ვოლგოგრადში სამხედრო სწავლებების დრო და თავი აქვს ვინმეს!

რა თქმა უნდა, რუსული ტანკები აფხაზეთიდან და ცხინვალიდან უკრაინაში რუსული არმიის დიდი დანაკარგის ჩასანაცვლებლად გაიყვანეს! თუმცა, სეპარატისტებისთვის ეს მხოლოდ განგაშის პირველი ზარი იყო!

**მეორე ზარი 9 მარტს გაისმა, როდესაც სეპარატისტული რეჟიმების ეგრეთ წოდებულ პრეზიდენტებთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ დიმიტრი ვოლვაჩმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთი ვეღარ დააფინანსებს მის კმაყოფაზე მყოფ აფხაზეთსა და ცხინვალს!**

რუსი მაღალჩინოსნის სიტყვები მართლაც განაჩენს ჰგავს: **„დახმარების პირველი ეტაპი, როცა შეგვიძლია, უბრალოდ, ფულის მიცემა, ინფრასტრუქტურის განვითარება უკვე დასრულებულია! ყველაფერი, რისი მიღებაც შეგვეძლო, ამ ეტაპიდან ეკონომიკური ზრდის კუთხით მივიღეთ! რუსეთი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი გადავლენ უფრო დამოუკიდებელ ეკონომიკურ ფორმატზე, რაც შეამცირებს დამოკიდებულებას რუსულ სუბსიდიებზე!“**

ვინც არ იცის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეჟიმების ბიუჯეტების 85 პროცენტი პირდაპირ რუსეთის ბიუჯეტიდან ფინანსდება! **რუსეთმა სეპარატისტებს პირდაპირ უთხრა, რომ 2025 წლისთვის რუსული დაფინანსება 85-დან 15 პროცენტამდე, ანუ თითქმის ექვსჯერ შემცირდება!**

რუსეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილის აზრით, გამოსავალი ერთია: **სეპარატისტებმა თავად უნდა მიიზიდონ ინვესტიციები, გაამარტივონ რეგულაციები და გააუმჯობესონ საინვესტიციო კლიმატი, რათა გაზარდონ თავიანთი ბიუჯეტის შემოსავლები!**

ახლა რა ინვესტიციებს მიიზიდავენ სეპარატისტები და რომელი გიჟი ჩადებს ფულს ამ „აკრძალულ ზონაში“, ადვილი სავარაუდოა! მარტო ის რად ღირს, რომ არაღიარების პოლიტიკის შედეგად ნებისმიერ კომპანიას, ვინც საქართველოს ხელისუფლების უკითხავად ფულს ჩადებს სეპარატისტულ რეგიონებში, ავტომატურად დაეკისრება ამერიკული და ევროპული სანქციები, საერთაშორისო საბანკო ანგარიშების გაყინვის ჩათვლით!

დაბოლოს, **მესამე განგაშის ზარი: 10 მარტს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ აგვისტოს ომის საქმეზე დაკავების ორდერები გამოსცა ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ მოქალაქე სამი პირისთვის!** ესენი არიან აგვისტოს ომისას დე ფაქტო რესპუბლიკის შს მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი **მიხეილ მინძაევი,** დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის შსს-ს წინასწარი დაკავების დაწესებულების უფროსი **ჰამლეტ გუჩმაზოვი** და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა საკითხებში **დავიდ სანაკოევი!**

ჰააგის სასამართლოზე ბრალმდებელი პროკურორის განცხადებით, ეს პირები უშუალოდ მონაწილეობდნენ შემდეგი სახის სამხედრო დანაშაულების ჩადენაში: **უკანონო დაკავება, წამება, არაადამიანური მოპყრობა, ღირსების შელახვა, მძევლად ხელში ჩაგდება და იძულებითი გადაადგილება!**

ვგონებ, ადვილი მისახვედრია, ჰააგის სასამართლომ რატომ მაინცდამაინც ახლა, უკრაინაში მიმდინარე ამ გაგანია ომისას, გამოიტანა ეს ვერდიქტი 2008 წლის ომის სამხედრო დამნაშავეებზე! **ეს საქმე ჰააგაში წლებია, მიმდინარეობს და ფაქტია, რომ მსოფლიომ ამით ყველას გასაგონად განაცხადა: სამხედრო დანაშაულისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ომის კანონების დარღვევით განადგურებისთვის დაუსჯელი არავინ დარჩებაო!**

ჰააგის სასამართლოს განაჩენი უნდა გამოეტანა აგვისტოს ომისას რუსეთის საოკუპაციო ჯარის სარდლის, გენერალ **ვიაჩესლავ ბორისოვისთვისაც,** მაგრამ, როგორც რუსეთი აცხადებს, ის გარდაიცვალა!

**ეს მხოლოდ დასაწყისია, ამ საქმეზე კიდევ არაერთ სეპარატისტ მაღალჩინოსანსა და რუს ოკუპანტს გამოუტანენ განაჩენს, რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩათვლით!**

ასეა:

**აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დედასამშობლოში უსისხლოდ დაბრუნების ჟამი დგება!**

*გიორგი გიგაური*



ასლან ბჟანია

ანატოლი ბიბილოვი

**რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების დაფინანსებაზე უარს ამბობს!**

## კვირგვინოსნები

**მამუკა მამულაშვილი**
*„ქართული ლეგიონის“ ხელმძღვანელი*



თავი შეიკავეთ იმ ბიჭების ომში წამოყვანისგან, რომლებსაც საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის გამოცდილება არა აქვთ. **აქ არის ომი და შესაძლოა, ასეთმა გაუთვალისწინებელმა ქმედებამ ჩვენს ქვეყანას ბევრი ახალგაზრდა ბიჭი დააკარგვინოს.** ჯერჯერობით თავს ვიკავებ იმ პირის ვინაობის დასახელებისგან, ვინც ამ ორგანიზებას ახდენს.

„რეზონანსი“

**ჯიმი ინატაშვილი**
*სამაჩაბლოს ომის გმირი*



ჩვენი ვეტერანები უკრაინაშიც იბრძვიან, მაგრამ **ქვეყანა არ შეუწუხებიათ ძახილით, ომში გაგვიშვითო.** თუ საკუთარ ომში არ დავლაჩრებულვართ, უკრაინაში როგორ დავლაჩრდებოდით, ზოგიერთი იმ ადამიანისგან განსხვავებით, რომელიც **დღეს მიტინგებს მართავს ომში მოხალისეების გაგზავნისთვის, მაგრამ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში იყო ომი, აქედან გაიქცნენ** და თავს უშველეს!

„კვირის პალიტრა“

**გოგა ხაინდრავა**
*კონფლიქტოლოგი*



**2008 წელს, როცა ჩვენ ოპოზიციაში ვიყავით** და ბევრად უფრო ძლიერი და ხალხმრავალი იყო ის ოპოზიციური მოძრაობა — **როგორც კი დაიწყო ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე, შევიკრიბეთ და ვთქვით, რომ სანამ არ დასრულდებოდა საომარი ქმედებები, ჩვენ ყველანაირი კრიტიკა გავაჩერეთ.** დღეს ჩვენი ქვეყნის საზღვრებთანაა ცეცხლი და ესენი ცდილობენ, რომ ეს ცეცხლი საქართველოში შემოიტანონ.

**200 ათასი განცხადებაა დაწერილი საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის მიღების შესახებ. 99 პროცენტი არიან ქართველები, ვისაც უნდა აღიდგინოს საქართველოს მოქალაქეობა და დაბრუნდეს სამშობლოში.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



„ქართულ ოცნებას“ **მიხეილ სააკაშვილი** კიევში, ბრძოლის ველზე რომ გაეშვა, დღეს შეიძლება უკრაინას მართლა ჰქონოდა „დახურული ცა“.

„პალიტრანიუსი“

***2022 წლის 10 მარტს ე.წ. ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ლიდერმა ლეონიდ პასეჩნიკმა დანარჩენი საქართველოსგან გამდგარ აფსუებს რუსთხელმწიფისადმი ერთგულება დაუფასა და რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა. ამ ყველაფერს წინ უსწრებდა 2022 წლის 25 თებერვალს აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის ასლან ბჟანიას მიერ ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების „დამოუკიდებლობის“ აღიარება... ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 2022 წლის 21 თებერვალს ლუგანსკისა და დონეცკის „დამოუკიდებლობა“ თავად პუტინმა აღიარა, როცა უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია და დაადგინა — დონეცკი და ლუგანსკი „დამოუკიდებელი“ უნდა იყოსო!***



ე.წ. ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი ლეონიდ პასეჩნიკი

# ლუგანსკს შეეშალა!

**ლეონიდ პასეჩნიკის** შესახებ, რომლის გვარ-სახელიც არაფერს გვეუბნება და ღმერთმა უწყის, ეს პიროვნება საიდან გამოქექეს, ვერას გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ **ლუგანსკს შეეშალა!**

**ლუგანსკს შეეშალა** თუნდაც იმიტომ, რომ **აფსუებთან და ცხინვალელ ოსებთან** ერთად დაადგა იმ წყეულ და უამურ გზას, რომელსაც არავითარი მომავალი და პერსპექტივა არა აქვს! საქმე ის გახლავთ, რომ **პუტინის რუსეთის მიერ „აღიარებული“, წახალისებული და მხარდაჭერილი „დამოუკიდებელი“ აფხაზეთიც, ე.წ. სამხრეთ ოსეთიც, დონეცკიც და ლუგანსკიც** გვახსენებს იმ შავბნელ პერიოდს, როცა **ილხანთა მონღოლური სახელმწიფოს მმართველები რომელიმე დაუმორჩილებელი და გაუტეხელი ქვეყნის ნაწილზე უშუალოდ თავიანთ მმართველობას აწესებდნენ და მიწას პირადად ყაენისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრებად აცხადებდნენ.** ასეთ მიწას **ხასინჯუ** ეწოდებოდა, სადაც საკუთრივ ყაენის ძალაუფლება ვრცელდებოდა და მისი ნებართვის გარეშე არავის ჰქონდა უფლება, ხასინჯუ მიწაზე არათუ ვინმე შეეწუხებინა და ხარკი აეკრიბა, არამედ უნებართვოდ კენჭი გადაეგორებინა, მოსახლე ან გაესამართლებინა, ან დაებეგრა!

მაგალითად, **1266 წელს მონღოლთა ყაენმა აბაღამ სწორედ ასე ჩამოაჭრა საქართველოს სამცხე, რომელიც ტაშისკარიდან არზრუმამდე იყო გადაჭიმული და ეს უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც სარგის ჯაყელს ემორჩილებოდა, ხასინჯუდ გამოაცხადა...** ამიერიდან, ვიდრე 1334 წლამდე, სანამ **გიორგი ბრწყინვალე** სამცხეში არ შევიდა, სამთავრო არ შემოიერთა და თავისი ბიძაშვილი **ყვარყვარე ჯაყელი** სამცხის მთავრად არ დაადგინა, სამცხეში ქართველი მეფეები ცხვირს ვერ ჰყოფდნენ.

## მთელი 68 წლის განმავლობაში სამცხე ერთიანი საქართველოს

## სხეულს სწორედ ისე იყო ჩამოჭრილი და მოწყვეტილი, როგორც დღევანდელი აფხაზეთი და ცხინვალის შემოგარენი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“, დონეცკი და ლუგანსკი (**რომელსაც ნამდვილად შეეშალა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ „აღიარა“**) სწორედ **ხასინჯუ** მიწებია, რომლებიც თანამედროვე მონღოლებმა საქართველოსა და უკრაინის გასანადგურებლად შექმნეს. **ცხადია, ეს ყველაფერი იგეგმება და იქმნება მოსკოვში, როგორც თავის დროზე ილხანთა მონღოლურ საყაენოს დედაქალაქ თავრიზში იგეგმებოდა საქართველოს სამტროდ და წასახდენად სამცხის ხასინჯუდ გამოცხადება.**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ოცდამეერთე საუკუნეში რუსეთმა მონღოლთა ილხანური სახელმწიფოსა და აბაღა ყაენის პოლიტიკა გააცოცხლა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1480 წლის შემდეგ, რაც მონღოლთა უღელი გადაიგდო, **რუსეთმა ოფიციალურადაც უარი თქვა იმ საწყისზე, რომელიც სწორედ ევროპულ ცივილიზაციას, კიევის რუსეთსა და ქრისტიანობას უკავშირდება.**

დაქსაქსული და დაყოფილი რუსეთის გასაერთიანებლად მონღოლებმა 250 წლის განმავლობაში მართლაც შეასრულეს ობიექტურად დადებითი როლი, მაგრამ, როგორც კი ცივილიზაციის პროგრესს დაუპირისპირდნენ, პირისაგან მიწისა აღიგავენ და დღემდე ისევ იმ მონღოლურ იურტებში არიან გამომწყვდეულნი, საიდანაც მათი ისტორია დაიწყო.

დიახ, მონღოლები, ფაქტობრივად, გაქრნენ და გაქრა მათი მზაკვრული პოლიტიკაც თავისი ხასინჯუ მიწებით, ბასკაკებით, რაყამებითა და იარლიყებით...

## „დამოუკიდებელი“ ლუგანსკისთვის, რომელიც სწორედ მონღოლური პოლიტიკის პირმშოა და რომელსაც შეეშალა, ეს საბედისწერო გაფრთხილება და მწარე გაკვეთილი უნდა იყოს!




*დიტო ჩუბინიძე*

## კვირგვინოსნები



**ვახტანგ ქარაია**
*თსუ-ს ეკონომიკის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი*

**ცალკეული უკრაინელი ჩინოსნები რომ საქართველოში გადატრიალებისკენ მოგვიწოდებენ, ამაზე მტრული განცხადება წარმოუდგენელია მეგობარი ქვეყნისგან,** რომელსაც ჰააგაშიც კი მხარს უჭერ პუტინის ფაშისტად ცნობაში. თქვენ შეიძლება გრცხვენიათ და **მე შეურაცხყოფილი ვარ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით,** რომ უკრაინა ევროკავშირში ცალკე უნდა მიიღონ და არა საქართველოსთან ერთად, რადგანაც ისინი, **თურმე, განსხვავებული შემთხვევა ყოფილან.** სად იყო ნეტა ეს მინისტრი ან, საერთოდ, მსოფლიო, როდესაც საქართველო იყო და არის **უგანსხვავებულესი შემთხვევა?!**

„იმედინიუსი“



**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*

**შეკითხვა სასოწარკვეთილ საakaშვილსა და მის სექტას** — ნაცების მილიონერთა სამარცხვინო ბანაკიდან ქმედითად ვინ რით დაეხმარა მეგობარ უკრაინას? ვგულისხმობ ქართული წარმომავლობის რუს ბიზნესმენს **კობა ნაყოფიას,** ქართული ჯარიდან მოპარული რესურსებით გამდიდრებულ **დავით კეზერაშვილს,** მედიკამენტების სპეკულანტურ ფასებში გადამყიდველ **კახა ოქრიაშვილს,** სერტიფიცირებულ თაღლითებს — **მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს,** ასევე ტელეკომპანია „იბერიის“ თანამშრომლებისაგან ხელფასების მომპარავ **ზაზა ოქუაშვილს,** მის მეუღლეს **ნატო ჩხეიძეს** და სხვა მრავალს დესტრუქციულთა კონგლომერატიდან. **როდის და რით დაეხმარნენ ხსენებული სექტის სუბიექტები საქართველოს** პანდემიის მძვინვარებისას, წყალდიდობით დაზარალებულ თბილისს 2015 წელს და სხვა დროს, როცა ქვეყანას ძალიან უჭირდა?

„იმედინიუსი“



**გივი სიხარულიძე**
*მწვრთნელი*

აქვე, 20 კილომეტრში, ახალგორთან, რუსული ტანკები დგანან, შემოვლენ და გაგვანადგურებენ. მე ერთი რამ ვიცი: **ჩემი სამშობლო ყველასგან განწირული და გაუბედურებულია და პრემიერი სხვანაირად თუ იტყოდა, შეიძლება ჩვენც დავებომბეთ.** 30 წელზე მეტია, ეს უბედურება არ მთავრდება, **ისედაც ამდენი ახალგაზრდა გავწირეთ და ახლა ეს თაობაც უნდა დაიღუპოს?**

„გზა“





**„არის ავტომატიზებული მართვის სისტემაც, ე.წ. „მკვდარი ხელი!“**

# ვახტანგ მაისაია: რა უნდა ვიცოდეთ

***მას შემდეგ, რაც უკრაინის ცაზე ბომბდამშენები გამოჩნდნენ, შეშფოთებული საზოგადოება ერთ კითხვას სვამს — გადაიზრდება თუ არა რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება ე.წ. ბირთვულ ომში?! რა რეგლამენტი არსებობს ბირთვული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით? მართლაც შეუძლია თუ არა ვლადიმერ პუტინს ე.წ. წითელ ღილაკზე თითის დაჭერით მსოფლიო ააფეთქოს? — ამ და სხვა კითხვებს პოლიტიკისა და სამხედრო მეცნიერებების დოქტორი ვახტანგ მაისაია პასუხობს:***

— წითელი ღილაკი, რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით არის ნათქვამი. რეალურად არსებობს დიპლომატის ზომის შავი ჩემოდანი — **მობილური მართვის პულტი,** რომლითაც შესაძლებელია ბირთვული იარაღის მოქმედებაში მოყვანა. ის სტრატეგიული შეიარაღების მართვის ცენტრთან არის დაკავშირებული და თავისი კოდი აქვს.

**ვიდრე დავუშვათ, პუტინი ხელს დააჭერს ე.წ. ღილაკს, ჯერ უნდა შეიყვანოს კოდი და მისი მეშვეობით დაუკავშირდეს სტრატეგიული შეიარაღების მართვის ცენტრს, რომელიც უკვე ბრძანებას გასცემს, სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანოს რუსეთის ფედერაციაში შემავალი სტრატეგიული ბირთვული ტრიადა.**

**— ბირთვულ ტრიადაში რა იგულისხმება?**

— ტრიადაში შედის **დამრტყმელი სახმელეთო ბალისტიკური სტრატეგიული რაკეტები,** რომელთაც დაახლოებით **10-დან 15 ათასი კილომეტრის სიშორეზე** შეუძლიათ, გადაიტანონ სხვადასხვა სიმძლავრის ბირთვული ქობინები, რომლის საერთო მოცულობა შესაძლოა, **მეგატონაც** იყოს.

ბირთვულ ტრიადაში ასევე შედის **სტრატეგიული დამრტყმელი ავიაცია,** რომელსაც შეუძლია გადაიტანოს ბირთვული ქობინები, ბალისტიკური ფრთოსანი რაკეტები, სტრატეგიული დანიშნულების ბომბდამშენები.

რაც შეეხება მესამე კომპონენტს — **ეს სტრატეგიული დანიშნულების წყალქვეშა ნავებია,** რომელთაც ასევე შეუძლიათ ბირთვული საზღვაო ბაზირების ბალისტიკური რაკეტების გადატანა. ყველაზე რთული წყალქვეშა ნავების დაფიქსირებაა.

**— რატომ?**

— ზუსტად სად შეიძლება აღმოჩნდნენ, არავინ იცის. მათი დაფიქსირება ხდება საზღვაო სპეციალური სამხედრო ხომალდების მეშვეობით, რომელთაც აქვთ წყალქვეშა ნავების აღმომჩენი სპეციალური აპარატურა. ასევე არსებობს სპეციალური საზღვაო თვითმფრინავები, რომლებიც ადგენენ წყალქვეშა ნავების მდებარეობას, მაგრამ შესაძლოა, წყალქვეშა ნავმაც გამოიყენოს მანევრირება, მოახდინოს ღრმა წყლებში გასვლა და იქიდან განახორციელოს დარტყმები სასურველი მიმართულებით.

რუსეთში არის შექმნილი სპეციალური **სტრატეგიული შემტევი შეიარაღების სარდლობა,** რომელიც პრეზიდენტის მიერ კოდის აკრეფისა და ბრძანების გაცემის შემდგომ ახორციელებს ბირთვული ტრიადის კომპონენტების ამოქმედებას.

**— ერთ ადამიანს, დავუშვათ პუტინს, შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის გასროლის თაობაზე?**

— უმაღლეს სამხედრო პირებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ პუტინს შეუძლია, კოდი შეიყვანოს და გასცეს ბრძანება შეტევის დაწყების შესახებ.

**— ანუ სამყაროს ბედი შეიძლება ერთ ადამიანზე იყოს დამოკიდებული? არ არის რაიმე რეგლამენტი, პროცესი, რომლის გავლაც ღილაკზე ხელის დაჭერამდე აუცილებელია?**

— მნიშვნელოვანია სამი ადამიანის გადაწყვეტილება — **პრეზიდენტის, ეროვნული თავდაცვის ხელმძღვანელის,** რომელსაც ემორჩილება სტრატეგიული მართვის ცენტრი და **გენშტაბის ხელმძღვანელის.** თუ დაინახეს, რომ პრეზიდენტის ფსიქიკური მდგომარეობა არ არის მწყობრში, შეუძლიათ, არ შეასრულონ ბრძანება.

არსებობს შეხედულება: **სამიდან ორმა უნდა დაადასტუროს, რომ სიგნალი წავიდეს. მეორე შეხედულებით კი სამივეს თანხმობაა საჭირო, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას უმაღლესი მთავარსარდალი იღებს, ანუ ამ შემთხვევაში პუტინი.**

**— რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 27 თებერვლის ბრძანებით, ბირთვული იარაღი საგანგებო რეჟიმშია მოყვა-**




**„მნიშვნელოვანია სამი ადამიანის გადაწყვეტილება – პრეზიდენტის, ეროვნული თავდაცვის ხელმძღვანელის, რომელსაც ემორჩილება სტრატეგიული მართვის ცენტრი და გენშტაბის ხელმძღვანელის. თუ დაინახეს, რომ პრეზიდენტის ფსიქიკური მდგომარეობა არ არის მწყობრში, შეუძლიათ, არ შეასრულონ ბრძანება!“**

## კვირგვინოსნები

**მეუფე დიმიტრი**
*ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი*



გამოჩნდა ერთი ბოროტმოქმედი მმართველი, რომელიც **კაცობრიობას ბირთვული იარაღით ემუქრება** — მას ქრისტიანულ ფასეულობებთან საერთო არაფერი აქვს.

„ინტერპრესნიუსი“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



არ გამოვრიცხავ, რომ პუტინმა დევიზით: **„თუ მე და რუსეთი არ ვიქნებით, დაე, მსოფლიოც ნუ იქნება“,** თითი დააჭიროს ბირთვულ ღილაკს.

„კვირის პალიტრა“

**სოსო ცინცაძე**
*ექსპერტი*



**რა ჯანდაბად უნდა ნატოს იმხელა შეიარაღება, თუ მუდმივად რუსეთის შანტაჟის ქვეშ იქნება?** გემუქრება? დაემუქრე!.. ერთს ისვრი და ათს გესვრიო, უთხარი. აი, ამ ენაზე უნდა ელაპარაკონ რუსეთს და მერე ნახავს, პუტინი და მისი გარემოცვა როგორ აჭიკჭიკდებიან. **ჰააგის სასამართლომ თუ გაასამართლა პუტინი, რუსეთში ვერ დააპატიმრებენ.** რუსეთის ხელისუფლება არ ცნობს არც ჰააგის და არც სხვა საერთაშორისო სასამართლოებს, გარდა სტრასბურგის სასამართლოსი.

**პუტინს** არ ეშინია რუსი ხალხის. ამიტომ **არ მჯერა რუსეთში შიდა ამბოხისა და გადატრიალების.**

„ალია“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**რუსეთმა** ატომური ბომბიც რომ ისროლოს, **„ოცნება“ და ნაცმოძრაობა** ისევ ერთმანეთთან ჩხუბით იქნებიან გართული.

„რეზონანსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*



**ნატოს** ერთი ჯარისკაციც რომ ჩავიდეს უკრაინაში, **ნატო** ომში ჩართული აღმოჩნდება. **მხოლოდ ამერიკაა, ვისაც რუსეთის დამარცხება შეუძლია,** მაგრამ არ ჩაერთვება, რადგან **ნატოს** წევრია.

„კვირის პალიტრა“

ნილი. ეს რას ნიშნავს?**

— ამ ბრძანებით ე.წ. ტრიადა განსაკუთრებული მორიგეობის რეჟიმშია მოყვანილი. ფაქტობრივად, ამოქმედებამდეა მიყვანილი. თუ მანამდე 2-3 თვეში ერთხელ ხდებოდა საბრძოლო მორიგეობები, პუტინის ამ განკარგულების შემდეგ კვირაში სამ-ოთხჯერ ხორციელდება.

პუტინის მხრიდან ეს უფრო პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მუქარაა, თუმცა, ალბათობის შესაძლებლობაც გაიზარდა. სად 3 თვეში ერთხელ რომ მოიყვან საბრძოლო მზადყოფნაში და სად — კვირაში სამჯერ! ხომ არის განსხვავება?! არის ავტომატიზებული მართვის სისტემაც, ე.წ. **„მკვდარი ხელი“.**

**— ეს რას ნიშნავს?**

**– თუ პოლიტიკური ხელმძღვანელობა განადგურდება, იმ შემთხვევაში ავტომატურად ჩაირთვება მართვის სისტემა და დაიწყებს მოქმედებას.**

კომპიუტერების საგანგებო სისტემა ქვეყნის მეთაურების პასუხს მოითხოვს. **თუ პასუხს ვერ მიიღებს, სენსორები, რომლებიც აფიქსირებენ რადიაციას, დარტყმის ტალღას და რადიოელექტრონულ იმპულსებს, ამ სისტემას აიძულებენ, მზადყოფნაში მოიყვანოს სპეციალური სასიგნალო რაკეტები, რომლებიც მაღალი სიმაღლიდან აილებენ სტარტს და იქიდან გადასცემენ სიგნალს ბირთვული ტრიადის ცოცხლად დარჩენილ ყველა ელემენტს,** ანუ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქვეყნის ხელმძღვანელი სამი პირი — პრეზიდენტი, გენშტაბის უფროსი და თავდაცვის მინისტრი — დაიღუპა, სისტემა საპასუხოდ მაინც გაისვრის. ეს განსაკუთრებით სახმელეთო დანიშნულების ბალისტიკურ რაკეტებს ეხება.



„უმაღლეს სამხედრო პირებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ პუტინს შეუძლია, კოდი შეიყვანოს და გასცეს ბრძანება შეტევის დაწყების შესახებ!“

# ბირთვული ღილაკის შესახებ?!



**— ვის ხელშია უშუალოდ ე.წ. შავი ჩემოდანი?**

— სტრატეგიული დანიშნულების ჯარების ოფიცრის ხელში, რომელიც მუდმივად დაჰყვება პრეზიდენტს.

**— ბირთვული იარაღის ამოქმედება შეუქცევადი პროცესია? არ შეიძლება მისი გაუვნებელყოფა?**

— ამისთვის გამოყოფილია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, რომელიც სწორედ ამ კუთხით არის პასუხისმგებელი. ასევე გააჩნია, რა დონის დარტყმაა და რა მანძილიდან. შეიძლება იყოს ერთეული და შეიძლება — მასირებული. ერთეულია, როდესაც ტრიადიდან ერთ-ერთი მათგანი ამოქმედდება, მასირებულია, როცა სამივე ბირთვული ტრიადიდან ხდება დარტყმების მიყენება, რისი მოგერიებაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

**ბალისტიკური რაკეტები კონტინენტების გადაღმა დაახლოებით 30-40 წუთის განმავლობაში მიფრინავენ. ასეთ დროს არის საშუალება, დაუკავშირდე და გააუვნებელყო.**

**გაცილებით საშიშია საშუალო და მოკლე მანძილზე მოქმედი რაკეტები. ამ შემთხვევაში რაკეტა მიზნამდე არა 30–40 წუთში, არამედ 5–7 წუთში მიაღწევს. ზებგერითი სიჩქარით მიდის და მისი დაჭერა შეუძლებელია.**

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად დიდია დღეს ბირთვული იარაღის გამოყენების ალბათობა?**

— კიდევ ერთხელ ვამბობ, ამის ალბათობა გაიზარდა, მაგრამ შეუძლებელია, აამოქმედონ. ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყანა შესაბამის პასუხს მიიღებს, რაც საკუთარი თავის განადგურებასაც ნიშნავს, ეს კი არცერთი ქვეყნის ლიდერს არ სურს!

„ვიდრე დავუშვათ, პუტინი ხელს დააჭერს ე.წ. ღილაკს, ჯერ უნდა შეიყვანოს კოდი და მისი მეშვეობით დაუკავშირდეს სტრატეგიული შეიარაღების მართვის ცენტრს, რომელიც უკვე ბრძანებას გასცემს, სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანოს რუსეთის ფედერაციაში შემავალი სტრატეგიული ბირთვული ტრიადა!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



**საქართველო რუსეთისთვის ახლა იგივეა, რაც ხარისთვის წითელი ნაჭერი.** მაქვს სანდო ინფორმაცია, რომ საქართველოში **ახალი ფრონტის გახსნა** სურთ დასავლეთის ზოგიერთ პოლიტიკოსსა და რუსეთს. ყურადღება მინდა გავამახვილო რადის დეპუტატ **გონჩარენკოს** განცხადებებზე, რომელიც **საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალისკენ გასეირნებისკენ მოუწოდებს. ეს მისი ინდივიდუალური გამოხდომა არ გეგონოთ.**

„კვირის პალიტრა“

**ზაურ ხარხელაური**
*პოეტი*



ახლა ხელისუფალმა ხანჯლის პირზე უნდა იაროს და ჩვენ მას ხელი კი არ უნდა შევუშალოთ, უნდა წავეხმაროთ. **ხელისუფლებამ საღ აზრს უნდა მოუსმინოს და არა იმ ავადმყოფურ აზრს, რაც დღეს ტრიალებს ქვეყანაში...** არა აქვს მნიშვნელობა, ვინ სად დგას, მთავარია, ქვეყნის გვერდით იდგეს. **ახლა მაინც გავერთიანდეთ!**

„კვირის პალიტრა“

**ბაღათერ არაბული**
*პოეტი*



**ხელისუფლება სწორად მოიქცა, რომ არ უერთდება სანქციებს.** ჩვენ არაფერი გვაქვს ისეთი, ამას გავუძლოთ... **პარლამენტის წინ უკრაინის სოლიდარობის აქციები იმართება და მიშას თავისუფლებას ითხოვენ.** ეს ნაციონალები ყველაფერს სათავისოდ იყენებენ.

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიციასაც, თუ ის ნამდვილი ოპოზიციაა და არა **მეხუთე კოლონა,** ის მიზანი უნდა ჰქონდეს, რაც ხელისუფლებას — **საქართველო ომში არ უნდა ჩაებას!** დიდი ეჭვი მაქვს, რომ **ზელენსკი სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების მოსაზრებების მონურ ტყვეობაშია.**

„საერთო გაზეთი“




# გიგლა ბარამიძე:

# ნაციონალური მოძრაობა წარმოადგენს რუსული აგრესიული პოლიტიკის ერთადერთ დასაყრდენს საქართველოში!

***ამა წლის 10-11 მარტს საფრანგეთში, ვერსალის სასახლეში, გამართულ ევროკავშირის საგანგებო სამიტზე ევროპის ქვეყნების ლიდერებმა მხარი არ დაუჭირეს ომში მყოფი უკრაინისათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ამ და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ უპარტიო პოლიტიკოსს, აღმოსავლეთმცოდნე გიგლა ბარამიძეს ვესაუბრებით:***

— ცინიზმის გარდა სხვა ვერაფერს დავარქმევთ იმას, რომ ევროპაში ყველაზე დიდი ტერიტორიის მქონე უკრაინას, რომელიც ომის ქარცეცხლშია გახვეული, ვერსალის სასახლეში ევროპელმა ლიდერებმა სულ ღიმილ-ღიმილით უთხრეს უარი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე.

საერთოდ, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა **ბორელმა** პირდაპირ განაცხადა — **თავის დროზე უკრაინას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პირობა რომ მივეცით, შეცდომა დავუშვითო!** მანვე თქვა — ჩვენი შეცდომა იყო, როცა მოსკოვთან ურთიერთობაში ბზარები გავაჩინეთ, ნაცვლად იმისა, რომ რუსეთის ევროპასთან ინტეგრირება მოგვეხდინაო!

**— ამ ფონზე, ალბათ, საქართველოც კარგა ხანს ვერ ეღირსება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს?**

— საქართველო, როგორც დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ყოველთვის ევროპის ნაწილი იყო, არის და იქნება, მაგრამ **როცა მილიონჯერ გეუბნებიან — ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება შენთვის შორეული პერსპექტივა არისო, რეალობას ანგარიში უნდა გაუწიო, არ უნდა გამოლენჩდე და ყრუ კედელს თავით არ უნდა შეასკდე.**

საერთოდ, დღეს უკრაინის ომის გამო საქართველოში ისეთი პანიკა და ფსიქოზია შექმნილი, როგორიც 2008 წელსაც კი არ ყოფილა, როცა ჩვენ თვითონ გვქონდა ომი რუსეთთან. მთელი ქართული ტელემედია „ფეიკებსა“ და ლოზუნგებზეა გადასული, აზროვნება არავის უნდა და ცდილობენ, საზოგადოებას რეალობის აღქმა დააკარგვინონ.

**— თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება ნაცოპოზიციის მიერ კვლავ წამოწყებული ქუჩის აქციები, რომლებიც, თითქოს უკრაინის მხარდაჭერას ემსახურება, მაგრამ პირდაპირ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული?**

— გავეშებული ნაცბანდა დღესაც იმავეს აკეთებს, რასაც 2008 წელს აკეთებდა — ცდილობს, საქართველო ომის ხორცსაკეპ მანქანაში ჩააგდოს! **სააკაშვილის იზუვერული სექტის წარმომადგენლები ხედავენ, რომ არათუ საქართველოში აღარ შერჩათ არანაირი რესურსი, არამედ უკრაინაშიც, სადაც პატრონები და მფარველები ჰყავთ, ცუდად მისდით საქმე და ამიტომაც არიან ასე გავეშებული, შეხედეთ, ქალიან-კაციანად ყველას სახე აქვს მონზრეული.**

**— ნაცების უკრაინელ პატრონებსა და მფარველებში ზელენსკის ხელისუფლებას გულისხმობთ?**

— არ მინდა, დავიჯერო, რომ უკრაინის ხელისუფლებაში ყველა ერთ ჭკუაზეა, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში მართლაც უკადრებელი იკადრეს, როცა ელჩი გაიწვიეს და ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას ამორალური უწოდეს. ჯერ ერთი, **იმ სახელმწიფოსი რა ვთქვი, ომის დროს მტერთან მთავარ მომლაპარაკებლად სააკაშვილის მიერ გამოზრდილი, ვითომ პოლიტიკოსი არახამია რომ ეყოლება!** ჩვენი პატივისცემა ყველა პატრიოტ უკრაინელს, რომელიც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის დასაცავად თავდადებით იბრძვის, მაგრამ ნამდვილად ვერ ვცემთ პატივს უკრაინის ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც დამნაშავე სააკაშვილი და მისი ბანდის წევრები არამხოლოდ შეიფარეს, არამედ თანამდებობებზეც დანიშნეს, **მეგის ქარდავას** მსგავს პირსისხლიან ჯალათსაც კი თავშესაფარი მისცეს და სულ ახლახან „პოლიტიკურ დევნილად“ შერაცხეს გლდანის ციხის ყოფილი უფროსი, სადისტი და მწამებელი **„ქილერა“.**

მოკლედ, ნაცები თბილისში და მათი მფარველები უკრაინაში ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოში დესტაბილიზაცია მოაწყონ და ჩვენი ქვეყანა რუსულ სამხედრო მანქანას დაატაკონ.

**— თქვენი აზრით, მოახერხებს თუ არა ნაცლიბერასტული პროპაგანდა საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლება უკრაინას მხარს არ უჭერს და რუსეთის მხარეს დგას?**

— ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხია ის, რაც 11 მარტს ვაშინგტონში მოხდა — თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე სააკაშვილ-გვარამიას ტელევიზია „მთავარი არხის“ კორესპონდენტი ყველანაირად ეცადა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერ **ნედ პრაისისათვის** საქართველოს ხელისუფლებაზე აუგი ეთქმევინებინა, მაგრამ საკუთარი ქვეყნის დამბეზღებელ ჟურნალისტს ამერიკელმა ჩინოვნიკმა თავლაფი დაასხა — **საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად სწორად იქცევა და უკრაინის მხარდასაჭერად მაქსიმუმს აკეთებსო! ვისაც სურს, იხილოს შინაგაცემისა და ქვეყნის ღალატის ქრონიკები, უნდა იხილოს ნაციონალური მოძრაობა, რომელიც წლების განმავლობაში წარმოადგენს რუსული აგრესიული პოლიტიკის ერთადერთ დასაყრდენს საქართველოში!**

**— ისე, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო, თუ საქართველო დასავლეთის ქვეყნების მიერ რუსეთისათვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს შეუერთდებოდა?**

— რასაკვირველია, ეს უდიდესი დარტყმის ქვეშ დააყენებდა ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებასა და მშვიდობას! **ნუ გვავიწყდება, რომ ოკუპირებული ქვეყანა ვართ, რუსულ ჯარს როკის გვირაბი გამოვლილი აქვს და თბილისიდან 40 კილომეტრში დგას!**

საერთოდ, ზელენსკი, არახამია და უკრაინის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები საქართველოს რომ საყვედურობენ — რუსეთს სანქციები რატომ არ დაუწესეთო, თვითონ უკრაინა, რომელსაც რუსული ბომბები აცვივა, დღემდე რატომ იღებს რუსულ გაზს? უფრო მეტიც, **უკრაინა დღემდე არამარტო თვითონ იღებს რუსულ გაზს, არამედ ევროპაში მის ტრანზიტსაც ახორციელებს და აქედანაც დიდძალ მოგებას ნახულობს!**

აშშ-მა და დასავლეთმა ერთი ხელით რუსეთს სანქციები დაუწესეს, მაგრამ ამერიკისა და ევროპის ატომური სადგურები კვლავ რუსეთიდან იღებენ ბირთვულ საწვავს, ამერიკა და ევროკავშირის ქვეყნები იღებენ რუსულ ურანს, რუსულ ქიმიკატებს, რუსულ ნეონს, რუსულ ალუმინს, რუსულ ვერცხლს, რუსულ ოქროს, რუსულ სპილენძს და რუსულ სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

თურქეთი სთავაზობს რუსეთს — სასტუმროებსა და თვითმფრინავის ბილეთებს გავაიაფებ, ოღონდ, რაც შეიძლება მეტი ტურისტი გამოუშვი ჩემკენო! იაპონიამ, რომელიც ოფიციალურად შეუერთდა რუსეთის საწინააღმდეგო ეკონომიკურ სანქციებს, იმავე რუსეთთან საავიაციო გადაზიდვები ძალაში დატოვა, ხოლო „ოპეკის“ ქვეყნებმა განაცხადეს, რომ ამ ეტაპზე რუსულ ნავთობს ვერავინ ჩაანაცვლებს.

ნატოს გენერალურმა მდივანმა **სტოლტენბერგმა** განაცხადა, რომ ნატო არავითარ შემთხვევაში არ არის რუსეთის მტერი და ნატოს არცერთი ჯარისკაცი არ დადგამს ფეხს უკრაინაში საომრად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **ბორის ჯონსონი** ამბობს — ნატო არასოდეს დაუპირისპირდება რუსეთს, ჩვენ ყოველთვის ვაღიარებდით რუსეთის სიდიადესო!

**აი, ამ ყველაფრის ფონზე ნაცბანდა – ეს მოღალატეების კარტელი – გვეუბნება, რომ საქართველო რუსეთთან ომში უნდა ჩაერთოს! „ორი გვამის“ პრინციპზე დაფუძნებული სექტა პირად სარგებელს ეძებს ყველგან, სადაც სისხლი იღვრება!**

**— საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც ცალკე ნაცებისა და ცალკე უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან პროპაგანდისტულ „ბულინგს“ განიცდის, რა უნდა მოიმოქმედოს, რომ პროვოკაციებს არ აჰყვეს?**

— უპირველს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლებამ იცოდეს, რომ ქართველებს უკრაინელების არავითარი ვალი არ გვაქვს! დიახ, ახლა რომ გვაყვედრიან — 2008 წლის ომის დროს იარაღით და სამხედრო ინსტრუქტორებით დაგეხმარეთო, ის შეიარაღება კი არ უჩუქნიათ, არამედ მოგვყიდეს, ჩვენი ჯიბიდან ვიყიდეთ ქართველმა ხალხმა. სხვათაშორის, სარწმუნო წყაროები ამბობენ, რომ **მაშინ სააკაშვილისა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის კორუფციულ გარიგებას ჰქონდა ადგილი — იმავე ტიპის შეიარაღებას სხვა ქვეყნები უფრო იაფად გვაძლევდნენ, მაგრამ ნაცბანდამ უკრაინაში ბევრად უფრო ძვირად იყიდა!** სამხედრო ინტრუქტორებსაც, რომლებიც იმ იარაღს მოჰყვნენ, ქართული სახელმწიფო ხელფასს უხდიდა და ნურაფერს გვაყვედრიან, უსასყიდლოდ არავინ დაგვხმარებია!

**საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს ხელისუფლების გონივრულ და სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას, რომ რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტში არ ჩავერიოთ!** ასე რომ, გავეშებულმა ნაცბანდამ, მათმა ტროლებმა და ბოტებმა როგორი ისტერიული პროპაგანდაც არ უნდა აწარმოონ, **საქართველოს ხელისუფლებამ ამ ერთადერთ სწორ გზას არ უნდა გადაუხვიოს!**

*ესაუბრა* ***ჯაბა ხუბუა***




**„იმ სახელმწიფოსი რა ვთქვი, ომის დროს მტერთან მთავარ მომლაპარაკებლად სააკაშვილის მიერ გამოზრდილი, ვითომ პოლიტიკოსი არახამია რომ ეყოლება!“**

## ჯონდი ბაღათურია:

# ამ ომით ზელენსკი და მისი ბანდა გამდიდრდებიან ისევე, როგორც სააკაშვილი და მისი ბანდა გამდიდრდნენ 2008 წლის აგვისტოს ომით!



**„იმის ძახილი, რომ რუსეთს სავიზო რეჟიმი უნდა დავუწესოთ, ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მოთხოვნაა!“**

***პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ჯონდი ბაღათურია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ გვესაუბრება:***

— ოპოზიციად გამოცხადებული ბრბო — ნაციონალური მოძრაობა და მისი ნამსხვრევები ყველანაირად ცდილობენ, საქართველო კიდევ ერთხელ შეატაკონ რუსეთს. ზოგადად, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესია, რომ ევროპის ტერიტორიაზე, უკრაინის პარალელურად, რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის სხვა კერებიც გაჩნდეს. ამით რუსულ მტრის ხატს უფრო გაამძაფრებენ და ევროპის ეკონომიკასაც უფრო დაანგრევენ, რაც პირდაპირ ასხმას წყალს ამერიკისა და ჩინეთის წისქვილზე, რადგან ევროპის ეკონომიკა მათ ეკონომიკებს კონკურენციას ვეღარ გაუწევს.

უკრაინაში ომისა და რუსეთისათვის დაწესებული სანქციების კვალდაკვალ, ევროპაში კუბური მეტრი გაზის ფასი უკვე 10-12-ჯერ გაიზარდა და 3200 დოლარს მიაღწია. წარმოიდგინეთ, ჩვენთანაც რომ იგივე მოხდეს, საქართველოს ეკონომიკა საერთოდ გაჩერდება და ქვეყანა თავზე დაგვემხობა. ბუნებრივია, ეს „მთავარ ოპოზიციად“ წოდებულმა ბრბომაც კარგად იცის, მაგრამ გამიზნულად ცდილობენ, საქართველო სწორედ ამ უფსკრულში გადაჩეხონ.

**— კი მაგრამ, ნაციონალური მოძრაობისა და მასთან დაკავშირებული ძალების წარმომადგენლებიც ხომ ქართველები არიან, საქართველოში ცხოვრობენ, შვილებსა და შვილიშვილებს აქ ზრდიან და რაში აწყობთ, რომ ქვეყანა უბედურებაში გახვიონ?**

— ნაციონალებისათვის საქართველო არასოდეს ყოფილა სამშობლო, მათთვის ეს ქვეყანა მხოლოდ ფულის შოვნისა და პირადი ვნებების დაკმაყოფილების პოლიგონია, რისთვისაც ძალაუფლებაში ყოფნა სჭირდებათ, მაგრამ, თუ ძალაუფლება არ ექნებათ, დაე, ნურც საქართველო ყოფილა! ესენი რა ქართველები არიან? თუ მენტალურად ქართველი არა ხარ, მხოლოდ ქართული გვარის ქონა ქართველობას არ ნიშნავს! **ბევრი არაქართული გვარის ადამიანი ვიცი, რომელიც გაცილებით დიდი პატრიოტია საქართველოსი, ვიდრე ამ „მთავარ ოპოზიციად“ წოდებული ბრბოს წარმომადგენლები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოში 2008 წელი განმეორდეს!**

**— ნაცლიბერასტული პროპაგანდა ავითარებს აზრს, რომ უკრაინის ომი იგივე საქართველოს ომია! ამ შეფასებას არ ეთანხმებით?**

— რასაც ახლა ვხედავთ, **ეს არის არა რუსეთ-უკრაინის ომი, არამედ ნატოსა და რუსეთის ომი,** რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს! დიახ, ზელენსკიმ საკუთარი ქვეყანა ნატო-რუსეთის ომის პოლიგონად გადააქცია, რის გამოც ნადგურდება და მიწასთან სწორდება უდიდესი პოტენციალის მქონე უკრაინა, ჩვენი მეგობარი უკრაინელი ხალხი კი უბედურდება და ღატაკდება! სამაგიეროდ, ამ ომით **ზელენსკი და მისი ბანდა** გამდიდრდებიან ისევე, როგორც სააკაშვილი და მისი ბანდა გამდიდრდნენ 2008 წლის აგვისტოს ომით!

**— თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რაში ადანაშაულებთ უკრაინის პრეზიდენტს?**



# „ზელენსკიმ საკუთარი ქვეყანა ნატო-რუსეთის ომის პოლიგონად გადააქცია!“

**— ზელენსკის დანაშაული ის არის, რომ საკუთარ ქვეყანას რუსეთთან ომი ვერ აარიდა, არადა, ამის დიპლომატიური რესურსი ნამდვილად ჰქონდა.**

აკი, საფრანგეთის პრეზიდენტი და გერმანიის კანცლერი უკრაინის პრეზიდენტს აქტიურად მოუწოდებდნენ, მინსკის ხელშეკრულების პირობები შეესრულებინა და რუსეთისათვის სამხედრო აგრესიის საბაბი არ მიეცა, მაგრამ ზელენსკის ხელისუფლებამ დონბასში ვითარების ესკალაცია მაინცდამაინც მაშინ მოინდომა, როცა ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა სულ უფრო იძაბებოდა.

ევროპელ ლიდერებს, განსაკუთრებით გერმანიის კანცლერსა და საფრანგეთის პრეზიდენტს, ნამდვილად არ სურდათ, უკრაინის სახით ევროპა რუსეთთან ომში აღმოჩენილიყო, რადგან კარგად ესმოდათ, რომ ეს ევროპის ეკონომიკას გაანადგურებდა და ასეც ხდება — ევროპაში უკვე სერიოზული ეკონომიკური კრიზისია დაწყებული.

**— უკრაინის ხელისუფლების მიერ საქართველოდან ელჩის გაწვევის ფაქტს როგორ აფასებთ და რას უკავშირებთ?**

— უკრაინის ხელისუფლება რომ ქართული სახელმწიფოს მტერია, ეს ჯერ კიდევ 2015 წლიდან ვიცით, როცა საქართველოდან გაქცეული დამნაშავე ჩინოვნიკები შეიფარეს და შექმნეს ანკლავი, საიდანაც საქართველოში დესტაბილიზაცია და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები ფინანსდებოდა!

რაც შეეხება საქართველოდან ელჩის გაწვევას, ეს არის ნაცებისა და ზელენსკის ერთობლივი პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ! **დიახ, ზელენსკი ჩვეულებრივი პროვოკატორია, რომელმაც თავის ქვეყანას ამხელა პროვოკაცია მოუწყო და საქართველოსთვის რომ მოეწყო, რაღა გასაკვირია?**

**— ზელენსკი უკრაინასა და მთელ ევროპაში გმირად არის გამოცხადებული, თქვენ კი მას პროვოკატორს უწოდებთ?**

— **ერთ დროს სააკაშვილიც იყო გამოცხადებული „დემოკრატიის შუქურად“, მაგრამ დროთა განმავლობაში მსოფლიომ მისი ნამდვილი სახე დაინახა!** მერწმუნეთ, ევროპის პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა ძალიან კარგად იცის, ზელენსკი რა ჩიტიც ბრძანდება და უკრაინისა და მთელი ევროპის მოსახლეობაც მალე დაინახავს ვირტუალურად შექმნილი „გმირის“ ჭეშმარიტ სახეს.

აქვე ვაცხადებ, რომ საქართველოს ხელისუფლების ფრთხილი და მოზომილი ნაბიჯები, რაც რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების არდაწესებასა და უკრაინაში საომრად „ბოევიკების“ არგაშვებაში გამოიხატა, აბსოლუტურად გამართლებულია და საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება.

**— თუმცა, რადიკალური ოპოზიცია სწორედ ამის გამო ითხოვს პრემიერ ღარიბაშვილის გადადგომას!**

— საქართველო ვერ და არ იცხოვრებს იმ დღის წესრიგით, რომელსაც „მთავარ ოპოზიციად“ გამოცხადებული ბრბო გვახვევს თავს! ხელისუფლება სწორად იქცევა და ეს ხაზი უნდა გაგრძელდეს! სხვათაშორის, **საქართველოს მთავრობის გონივრულმა ნაბიჯებმა პოლიტიკურად განაიარაღა რუსეთის ხელისუფლების ის ნაწილი, რომელიც მკვეთრად ანტიქართულად იყო განწყობილი და საქართველოსთან ძალისმიერ დაპირისპირებას გეგმავდა, ხოლო რუსეთის ხელისუფლების კონსტრუქციულად განწყობილ ნაწილს, რომელიც თვლის, რომ საქართველოსთან არა ტანკით, არამედ დიპლომატიით ურთიერთობა ჯობს, ამ პოზიციის განსამტკიცებლად სერიოზული არგუმენტები გაუჩინა.**

ძალიან კარგია ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლება ნაცბანდის მიერ ატეხილ ისტერიკას არ აჰყვა და საქართველოში რუსი ტურისტების შემოსვლა არ დაბლოკა.

**— არ მიგაჩნიათ, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მასობრივი შემოსვლა ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებას პრობლემებს შეუქმნის?**

— პირდაპირ ვამბობ — **იმის ძახილი, რომ რუსეთს სავიზო რეჟიმი უნდა დავუწესოთ, ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მოთხოვნაა!** რუსი ტურისტების შემოსვლა რა საფრთხის შემცველი უნდა იყოს? ტურისტებად შემოვლენ და მერე დაგვიპყრობენ თუ რა მოხდება?

**— საუბარია იმაზე, რომ რუსეთიდან შემოსული მოქალაქეები საქართველოში ბიზნესებს არეგისტრირებენ და აქ დიდი ხნით დასარჩენად ემზადებიან!**

— ძალიანაც კარგი, თუ რუსეთის მოქალაქეები ბიზნესებს არეგისტრირებენ, ე.ი. ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციებს ახორციელებენ და ამას რა ჯობს? ხელი კი არ უნდა შევუშალოთ, პირიქით, ხელი შევუწყოთ! სხვათაშორის, მმართველი პარტიის თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებაც სწორედ ამ პათოსს შეიცავდა, რაც ძალიან მომეწონა. სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ „ქართულ ოცნებას“ ასეთი პოზიტიური მიმართულებით ქვეყნის განვითარების რესურსი დაკარგული ჰქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასე არ ყოფილა და ამას მივესალმები.

**— რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებით, უკრაინაში რუსული აგრესიის ფონზე მორალურადაც გაუმართლებელია, რომ საქართველო რუსეთის მოქალაქეებისათვის ოაზისად იქცეს!**

— არ შეიძლება, მორალზე საუბრობდნენ ადამიანები, რომლებსაც მორალი საერთოდ არ გააჩნიათ!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



**„მთავარ ოპოზიციად“ წოდებული ბრბოს წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოში 2008 წელი განმეორდეს!“**

## „ძალიანაც კარგი, თუ რუსეთის მოქალაქეები ბიზნესებს არეგისტრირებენ, ე.ი. ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციებს ახორციელებენ და ამას რა ჯობს?“

# 55 ლარი და მისი ჯანი, ანუ

## იაფი გამოსავალი მათთვის, ვისაც ქართველობის რცხვენია!

***რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები რუსული აგრესიის პირობებში კვლავ და კვლავ პოულობენ დროს საქართველოს ხელისუფლების გასაკიცხად და ქართველი ხალხისათვის ჭკუის დასარიგებლად.***

მაგალითად, უკრაინის პრეზიდენტ **ზელენსკის,** პრემიერმინისტრ **შმიგალისა** და რადას დეპუტატ **გონჩარენკოს** კვალდაკვალ, ქართველებისათვის მორალის წასაკითხად ქართული სახელისა და გვარის მქონე უკრაინელმა პოლიტიკოსმა **დავით არახამიამაც** მოიცალა, რომელიც უკრაინის საკანონმდებლო ორგანოში ზელენსკის პარტიას წარმოადგენს და ფრაქციას ხელმძღვანელობს. **მან რამდენიმე დღის წინათ სპეციალური ვიდეომიმართვა ჩაწერა და ქართველ ხალხს რუსულ ენაზე მოუწოდა, რომ პასუხი გასცენ თავიანთ ხელისუფლებას, რომელიც „უკრაინას ზურგში დანას ურტყამს“.**

არახამიას აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ უკრაინასთან ომის ფონზე რუსეთმა გადაწყვიტა, საკუთარ ბაზარზე ქართული რძის პროდუქტების შეტანა დაეშვა. ქართული მხარე, კერძოდ, **საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტო,** ჯერ კიდევ 2020 წლიდან მუშაობდა იმაზე, რომ ქართული რძის ნაწარმისათვის რუსული ბაზრის კარი გახსნილიყო, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება ამას მთელი ორი წლის განმავლობაში არ თანხმდებოდა. **მხოლოდ ახლა, როცა უკრაინაში სამხედრო აგრესიის გამო დასავლეთის ქვეყნები რუსეთს მძიმე ეკონომიკურ სანქციებს უწესებენ და წამყვანი ამერიკული და ევროპული სავაჭრო ბრენდები რუსულ ბაზარს ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ, კრემლში, „სახის შენარჩუნების“ მიზნით, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს, ქართული რძის ნაწარმის იმპორტს მწვანე შუქი აუნთონ.** სრულიად აშკარაა, რომ რუსეთმა ეს გადაწყვეტილება არა საქართველოსადმი კეთილგანწყობის, არამედ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამო მიიღო, თუმცა, ქართული რძის პროდუქტების მწარმოებლები აცხადებენ, რომ რუსულ ბაზარზე თავიანთი პროდუქციის შეტანას არ აპირებენ.

ბუნებრივია, **ქართული გვარის მქონე უკრაინელმა დეპუტატმა არახამიამაც** კარგად იცის, რომ უკრაინის ომის ფონზე საქართველოს ხელისუფლებას რუსეთისათვის ქართულ რძის ნაწარმზე ემბარგოს მოხსნა არ უთხოვია; შეუძლებელია, არახამია ვერ ხვდებოდეს იმასაც, რომ კრემლის ეს გადაწყვეტილება არა საქართველოს, არამედ რუსეთის პოლიტიკური ინტერესით არის ნაკარნახევი, მაგრამ **სააკაშვილის დაფრთიანებული უკრაინელი პოლიტიკოსი** მაინც საქართველოს ხელისუფლებას ამუნათებს და „უკრაინისათვის ზურგში დანის ჩარტყმაში“ ადანაშაულებს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ უკრაინის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებაზე პოლიტიკური იერიშის მისატანად ნებისმიერ ყურით მოთრეულ საბაბს იყენებენ, რათა კიევიდან მისცენ ბანი **სააკაშვილის სექტას,** რომელიც თბილისში ქართული სახელმწიფოს დისკრედიტაციისა და ჩამოშლისათვის იბრძვის.

**სააკაშვილის მიერ დაფრთიანებული არახამიას** განცხადება იმის შესახებ, თითქოს საქართველოს ხელისუფლება „უკრაინას ზურგში დანას ურტყამს“, კიდევ უფრო აძლიერებს ქართველ საზოგადოებაში არსებულ გონივრულ და ლოგიკურ ეჭვს, რომ **ზელენსკის მიერ საქართველოდან ელჩის გაწვევა სწორედ არახამიასა და უკრაინაში ფესვგადგმული ქართველი ნაცების — ადეიშვილის, საყვარელიძის, მერაბიშვილის, ლორთქიფანიძის, დეკანოიძისა და ზღულაძის „შემოქმედებაა“.**

საერთოდ, ადვილი წარმოსადგენია, რა შეხედულებებისა და ღირებულებების მატარებელი შეიძლება, იყოს დავით არახამია, რომელიც უკრაინაში სააკაშვილის მიერ შექმნილი პარტიის — **„ახალი ძალების მოძრაობის“** წევრი იყო და რომელზეც პატიმარმა ნაცბელადმა ახლახან თქვა — **ჩემი დაფრთიანებული პოლიტიკოსიაო!**

**ჯერ სააკაშვილი რა არის და მისი დაფრთიანებული არახამია რა უნდა იყოს? რა უნდა ესწავლა მას სააკაშვილისაგან? რა თქმა უნდა, მხოლოდ პროვოკატორობა, ინტრიგანობა, ავანტიურისტობა, პოპულისტობა, დემაგოგობა, უზნეობა და, რაც მთავარია, საქართველოსა და ქართველების სიძულვილი!**

არახამია სააკაშვილის ხელში დაფრთიანებული პოლიტიკოსი რომ არის, სწორედ ამიტომაც ეადვილება, თქვას — **მრცხვენია, რომ ქართველი ვარო!**

დიახ, **უკრაინელმა არახამიამ,** რომელსაც გვარის გარდა ქართული არაფერი სცხია, **ქართველი ხალხისადმი რუსულენოვან მიმართვაში** განაცხადა — **ჩემი ქართველობით ყოველთვის ვამაყობდი, მაგრამ ახლა მრცხვენია, რომ ქართველი ვარო!**

არახამია ისეთივე ქართველია, როგორც მე ვარ ზიმბაბვეს პრეზიდენტის ემერსონ მნანგაგვას ალალი ბიძაშვილი მამის მხრიდან!

ჯერ ერთი, უკრაინის რადას დეპუტატი არახამია ქართველი რომ იყოს, ქართველებისადმი ვიდეომიმართვას ქართულ ენაზე ჩაწერდა და მშობლიურ ხალხს რუსულად არ დაელაპარაკებოდა, მაგრამ არახამიამ ქართული არ იცის!

**არახამია საქართველოს მოქალაქეც კი არ არის!**

**არახამიას საქართველოსთან არანაირი მენტალური და სულიერი ბმა არა აქვს!**

**არახამიასთვის საქართველო სამშობლო არ არის!**

ჰოდა, როცა ქართული არ იცი, საქართველო შენი სამშობლო არ არის და ქართველ ერთან არავითარი მენტალური კავშირი არ გაგაჩნია, ძალიან ადვილია, გამოხვიდე და თქვა — **მრცხვენია, რომ ქართველი ვარო!**

ეს იგივეა, ქართველმა რომ თქვას — მრცხვენია, რომ ჩინელი ვარო! ფრანგმა რომ თქვას — მრცხვენია, რომ ამერიკელი ვარო! ამერიკელმა რომ თქვას — მრცხვენია, რომ ყაზახი ვარო!

**თბილისში დღემდე ანეკდოტად დადის ამბავი, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ერთმა ცნობილმა ქართველმა კომუნისტური პარტიის ბილეთი საჯაროდ რომ დახია, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ საკუთარი კი არა, სხვისი პარტბილეთი დაუხევია!** აი, სწორედ ამას ჰგავს არახამიას სიტყვები — **მრცხვენია, რომ ქართველი ვარო!** არ ხარ ქართველი და რანაირად გრცხვენია ქართველობის, **შე მართლა სააკაშვილის დაფრთიანებულო ჩიტო, ანუ ძველქართულად სიროო?!**

თუმცა, უკრაინელ არახამიას რა უნდა ველაპარაკოთ, როცა საქართველოში მცხოვრები ქართულგვარიანი სუბიექტებიც გაიძახიან — **ქართველობის გვრცხვენიაო!** დიახ, ბოლო კვირების განმავლობაში, რაც უკრაინაში ომი დაიწყო, სანაცეთისა და სალიბერასტეთის უამრავ წარმომადგენელს პირზე აკერია — **„მრცხვენია, რომ ქართველი ვარ!“** გამოდიან ტელევიზორში და ამბობენ — **„მრცხვენია, რომ ქართველი ვარ!“** შედიან სოციალურ ქსელებში და წერენ — **„მრცხვენია, რომ ქართველი ვარ!“** არადა, ეს ის კატეგორიაა, რომელსაც ქართველობის არ რცხვენოდა მაშინ, როცა სააკაშვილის უბოროტესი რეჟიმი საქართველოს ფეხქვეშ თელავდა, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა! **ამათ ქართველობის არ რცხვენოდათ მაშინ, როცა ნაცრეჟიმი ქუჩაში ხვრეტდა უდანაშაულო ქართველებს, ციხეებში აწამებდა, აუპატიურებდა და კლავდა პატიმრებს, არბევდა მშვიდო-**


 იუსტიციის სახლი

JUSTdrive JUSTcafe

დისტანციური სერვისები

My.gov.ge

პიროვნება | ბიზნესის რეგისტრაცია | ქონების რეგისტრაცია | სააღსრულებო სერვისები | საარქივო სერვისები

პიროვნება › სახელის/გვარის შეცვლის რეგისტრაცია

- ვის აქვს საქართველოში სახელისა ან/და გვარის შეცვლის უფლება?
- დაინტერესებულმა პირმა სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის მოთხოვნით უნდა მიმართოს
- რა შემთხვევაში შესაძლებელი სახელის შეცვლა?
- რა შემთხვევაშია შესაძლებელი გვარის შეცვლა
- ვის აქვს სახელის ან/და გვარის რეგისტრაციის თაობაზე განაცხ...
- სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციისთვის წარმოსად...
- მომსახურების ვადა და საფასური

სახელის ან/და გვარის შეცვლა ხორციელდება განცხადების წარდგენიდან მე-60 კალენდარულ დღეს.

მომსახურების საფასურია -55 ლარი;

**რას იტანჯავთ თავს, თქვე ოჯახქორებო? თუ ქართველობის გრცხვენიათ, ადექით და უარი თქვით იმ ერთადერთ რამეზე, რაც საქართველოსთან და ქართველობასთან გაკავშირებთ – მიაკითხეთ იუსტიციის სახლებს და ქართული გვარები გამოიცვალეთ!**

## კვირგვინოსნები

**ბუბა კიკაბიძე**
*მომღერალი*



**მთავრობამ ნამუსი აგვხადა ჩვენ.** მე რომ ვყოფილიყავი მთავრობაში და ეს ლოზუნგები წამეკითხა, რაც ხელში უჭირავს რუსთაველის გამზირზე უამრავ ადამიანს, **თავს მოვიკლავდი, ალბათ, სირცხვილისგან.** ესენი თავის თავს მარხავენ. **მე მგონი, ესენი რუსები არიან და გვარები აქვთ გადაკეთებული ქართულად.**

„ალია“

**ბორის აკუნინი (ჩხარტიშვილი)**
*რუსი მწერალი*



**მე ვარ ქართველი, მაგრამ რუსი მწერალი.** მე მიყვარს რუსეთი. გემუდარებით უკრაინელებს, ქართველებს, ყველას, გახსოვდეთ — **პუტინის სახელმწიფო და რუსეთი არ არის ერთი და იგივე.** რუსეთი დაპყრობილია ბანდიტების ერთი დაჯგუფების მიერ, ის ტყვეობაშია. ნამდვილ, ცოცხალ რუსეთს ზუსტად ისეთივე წარმოდგენა აქვს, როგორც თქვენ.

„ალია“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**აქციებზე ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა ემოციის შედეგია. ამის დრო არ არის.** ახლა ფოკუსირებული უნდა ვიყოთ უკრაინის მხარდაჭერაზე, **საქართველოს უსაფრთხოებასა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე.**

„კვირის პალიტრა“

**რაულ ჩილაჩავა**
*მწერალი*



**საქართველოს ომში ჩართვით რუსეთი იმასაც გაანადგურებს, რაც 2008 წლის ომის შემდეგ შეგვრჩა.**

„კვირის პალიტრა“



დავით არახამია

ბიან აქციებს, რუსეთს აბარებდა კოდორის ხეობასა და ახალგორის რაიონს, იმავე რუსეთზე ყიდდა სტრატეგიულ ობიექტებს და ძირს უთხრიდა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას! თქვენ წარმოიდგინეთ, ამათი მთავარსარდალი სააკაშვილი ომის დროს მიწაზე რომ ფორთხავდა და შიშისაგან აკანკალებული საკუთარ ჰალსტუხს ღეჭავდა, **მაშინაც კი არ რცხვენოდათ ქართველობის!**

სამაგიეროდ, **ახლა რცხვენიათ, რომ ქართველები არიან და, იცით, რატომ რცხვენიათ? იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა არ არის საქართველოს ხელისუფლებაში! იმიტომ, რომ სააკაშვილის სექტას აღარა აქვს საშუალება, კიდევ ერთხელ გახვიოს საქართველო ომის ქარცეცხლში, კიდევ დაკარგოს ტერიტორიები და კიდევ ჩაიჯიბოს უცხოეთიდან დახმარების სახით შემოსული მილიარდები, როგორც ეს 2008 წელს გააკეთა!**

მოკლედ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ისე რომ იქცევა, როგორც საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა და სახელმწიფო უსაფრთხოებას, ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას სჭირდება, სწორედ ამის გამო რცხვენიათ ქართველობის ნაცებსა და ლიბერასტებს!

მერედა, რას იტანჯავთ თავს, თქვე ოჯახქორებო? **თუ ქართველობის გრცხვენიათ, ადექით და უარი თქვით იმ ერთადერთ რამეზე, რაც საქართველოსთან და ქართველობასთან გაკავშირებთ** — მიაკითხეთ იუსტიციის სახლებს და ქართული გვარები გამოიცვალეთ!

ეს ძალიან მარტივი პროცედურაა და, **სულ რაღაც, 55 ლარი** ჯდება!

გადაიხდით **55 ლარს** და მორჩა, სამუდამოდ თავისუფალი ხართ თქვენთვის სამარცხვინო ქართველობისაგან!

**სულით ქართველები თქვენ არ ხართ!**

**ცნობიერებით ქართველები თქვენ არ ხართ!**

**ცხოვრების წესით ქართველები თქვენ არ ხართ!**

ერთადერთი, რაც ქართული გაქვთ, გვარია და საქართველოს კანონმდებლობა იმაზე უარის თქმის უფლებასაც განიჭებთ!

**მეტი რაღა გინდათ?**

**თქვენი გულისთვის საქართველოს არავინ გამოცვლის!**

**თქვენ გამო ქართველი ერი თავის მრავალსაუკუნოვან ფასეულობებზე უარს არ იტყვის!**

მთაწმინდელების, ოპიზრების, აღმაშენებლის, ჭყონდიდელის, თამარის, რუსთაველის, ვაჟას, ილიას სულიერი და იდეური შთამომავალნი და მემკვიდრენი თქვენს ყაიდაზე ვერასოდეს გადაეწყობიან, კახაბერ ყორღანაშვილების, შადიმან ბარათაშვილების, სერგო ორჯონიკიძეებისა და ფილიპე მახარაძეების სულიერი და იდეური მემკვიდრეების რელსებზე ვერასოდეს შედგებიან!

**ასე რომ, 55 ლარი და მისი ჯანი!** ისე კი, საბჭოთა კავშირში ეს პროცედურა მხოლოდ **13 მანეთი და 50 კაპიკი** ღირდა!

*ჯაბა ხუბუა*

# არახამიავ,

**ქართველი არ ხარ და ქართველობის რანაირად გრცხვენია, შე მართლა სააკაშვილის დაფრთიანებულო ჩიტო, ანუ ძველქართულად სირო?!**



# მათი ხატია ღალატი!

***ნაცხროვა ხელისუფლებაში დაბრუნებისათვის რომ ყველაფერს კადრულობს, ეს არახალია, მაგრამ იმის შემხედვარე, თუ როგორ ცდილობს ეს დეგრადირებული ბანდა, უკრაინის ტრაგედია თავისი აუხდენელი ოცნებების ასახდენად გამოიყენოს, საოცარი ზიზღის გრძნობა გიპყრობს. და მით უფრო ამაზრზენია, როდესაც ამ სიბინძურეში პირობითად მაინც, ქალი და დედაა გარეული!***

უკრაინულ ტელეარხ „უკრაინა 24“-ზე პირდაპირ ეთერში გამოსვლისას ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა **ხატია დეკანოიძემ** სიტყვასიტყვით განაცხადა: **მაშინ, როდესაც დასავლეთმა სანქციები დაუწესა რუსეთს, საქართველოს ხელისუფლება პუტინს ეხმარება „შავი ხვრელების შექმნაში, რათა მან გვერდი აუაროს სანქციებს და ფული გააკეთოს უკრაინელების მოსაკლავად!** ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ: ნაცთა ერთ-ერთმა ლიდერმა სისხლისმღვრელ, უსასტიკეს ომში მყოფ უკრაინელებს პირდაპირ ასე უთხრა: **საქართველოს ხელისუფლება პუტინს უკრაინელების მოკვლაში ეხმარებაო!**

დიახ, **ნაცმეცოცხე ხატიამ** სწორედ ეს უთხრა უკრაინელებს: **საქართველოს ხელისუფლება თქვენი ბავშვების მკვლელობაში მონაწილეობსო!**

აი, რა ჰქვია ამას?! ეს უბრალოდ, ცილისწამება არ არის! ეს პირდაპირ ანტისახელმწიფოებრივი დივერსიაა!

**ეს არის უკრაინასა და საქართველოს შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდების მცდელობა, ანუ, პირდაპირ — რუსეთის საოცნებო საქმე!**

და ეს ხომ პირველად არ ხდება, როდესაც **ეს ხატია დეკანოიძე** უკრაინულ-ქართული ინსინუაციებით ცდილობს სახელმწიფო ღალატსა და სისხლისღვრის პროვოცირებასაც კი! შეგახსენებთ, როდესაც შარშან, ზაფხულში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ განაცხადა, რახან ნაცები დღემდე არ შეერთებიან „შარლ მიშელის დოკუმენტს“ ჩვენ ვტოვებთ ამ შეთანხმებასო, სწორედ **ეს ხატია დეკანოიძე** იყო, ნიკუშა გვარამიას „მთავარი არხის“ პირდაპირ ეთერში რომ დააბრეხვა: **„ქართულმა ოცნებამ“ „შარლ მიშელის დოკუმენტის“ ანულირებით უარი თქვა ევროპულ კურსზე, რუსეთს ჩაბარდა და ზუსტად იგივე გააკეთა ვიქტორ იანუკოვიჩმა, როდესაც უარი თქვა ევროკავშირთან პარტნიორობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერაზე და ხალხმა მაიდანი მოუწყოო!**

კიევური მაიდანი კი მოგეხსენებათ — ასზე მეტ დაღუპულსა და სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებას ნიშნავს! დიახ, ეს პირდაპირ ეთერში წარმოთქმული აღიარებითი ჩვენება იყო და ერთადერთ რამეს ნიშნავდა: **ნაცების ზონდერ-გენდერი ხატია ხალხს სისხლიანი გადატრიალებისაკენ მოუწოდებდა!**




## შეიარაღებული ოპოზიცია!

ლოგიკა მარტივია: ხელისუფლებას **(მათ შორის, იანუკოვიჩისაც კი)** არანაირად არ შეუძლია ქვეყანა მაიდნისკენ მიაქანოს, რადგან მაიდანი უკრაინაში სწორედ **შეიარაღებულმა ოპოზიციამ** მოაწყო, რადგან მშვიდობიანი პროტესტით ვერაფერს გახდა!

ჰოდა, ადგნენ და სნაიპერებს დააცხრილინეს მაიდანზე გამოსული პროტესტანტები და ეს იანუკოვიჩის ხელისუფლებას დააბრალეს!

და უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეს სნაიპერები სააკაშვილის დაქირავებულები იყვნენ — არაერთმა მათგანმა აღიარებითი ვიდეოჩვენებაც კი მისცა!

**აი, ასე გასცა თავისი ნაცხროვის სისხლიანი ოცნება ნაცმა ხატია დეკანოიძემ, რომელიც ყველანაირად კი ცდილობდა, ხელები დაებანა და დისტანცირება მოეხდინა იმ სისხლიანი ნაცრეჟიმის უკეთურობებზე, მაგრამ ტვინნაკლულობის გამო მაინც წამოაყრანტალა, როგორი სისხლიანი ზრახვებიც აბოდებს!**

ამას ჰგონია, არ გვახსოვს და არ ვიცით, ვინც ბრძანდება: ეს ტუტუცი დედაკაცი — **ხატია დეკანოიძე, ენა რომ გაუტლეკია, სააკაშვილის ძმის ნაცოლარია და ამიტომაც იყო ვანო მერაბიშვილის შსს-ს პოლიციის აკადემიის რექტორი! ანუ ის სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ჩვეულებრივი სისხლი სისხლთაგანია!**

როდესაც ნაცრეჟიმი ხალხს ცოცხლად ატყავებდა, აწამებდა და სანდრო გირგვლიანისა თუ ბუტა რობაქიძის მსგავსად, ქუჩაში კლავდა, **ეს თბილ სავარძელში ეგდო და არათუ ენა მუცელში ჰქონდა ჩაგდებული, არამედ ამ პათოლოგთა ბანდას ამართლებდა კიდეც!**

ეს ის ხატია დეკანოიძეა, რომელმაც, სააკაშვილისა არ იყოს, საქართველოს მოქალაქეობაზე თქვა უარი უკრაინის ხელისუფლებაში თბილ თანამდებობაზე დასასაქმებლად!

**მოკლედ, ჩვეულებრივი კარიერისტი, ყველაფრის მკადრებელი მოღალატეა! იგივე შადიმანი კაბაში!**

**ეს პირდაპირ ეთერში წარმოთქმული აღიარებითი ჩვენება იყო და ერთადერთ რამეს ნიშნავდა: ნაცების ზონდერ-გენდერი ხატია ხალხს სისხლიანი გადატრიალებისაკენ მოუწოდებდა!**

*გიორგი გიგაური*

## კვირგვინოსნები

**ელიზბარ ჯაველიძე**
*აკადემიკოსი*



**ზელენსკიმ** პუტინის გულის მოსაგებად „კავეენი“ გამართა და ქართველებზე იძახდა: **შარვალში ჩაისვარესო.** ახლა კი ამ **„შარვალში ჩასვრილებს“** საკუთარ ომში ჩაბმას უპირებს და მათ მთავრობას ამორალურს უწოდებს.

**ხელისუფლებას მოვუწოდებ: დაამთავროს ნაციონალების პარპაში,** თორემ ამას ქართველი ხალხი გააკეთებს.

„საერთო გაზეთი“

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



**მშვიდობა — საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა!** საქართველოში ომი რომ დაიწყოს, ჩვენ, **ქართველები, დავკარგავთ ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ ნატოც, ევროკავშირიც, ამერიკაც, ზოგადად, დასავლეთიც, დაკარგავს საქართველოს** — მის ერთადერთ საყრდენს რეგიონში. რატომ უნდა გადადგეს ან რატომ უნდა წავიდეს **ირაკლი ღარიბაშვილი** საქართველოდან? იმიტომ რომ, საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს იცავს?

„საერთო გაზეთი“

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*



**ნატოს** კარიც ღიაა და **ევროკავშირის კარიც** ღიაა, მაგრამ ჩვენ **ამ კარში** ვერ შევდივართ.

„აიპრესი“

**ლაშა ბუღაძე**
*მწერალი*



დღეს **ქართულმა დიპლომატიამ ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს** და გაიაროს ღირსეულად!

„კვირის პალიტრა“

**კოტე ჯანდიერი**
*მწერალი*



**ბეწვის ხიდზე ვდგავართ.** თუ საქართველოში სამხედრო დაპირისპირება დაიწყო, **ჩვენთვის ეს შეიძლება ისტორიის დასასრული იყოს.**

„კვირის პალიტრა“



# ზაალ კასრელიშვილი: პუტინი გაიმარჯვებს თუ დასავლეთი, საქართველოს უჩნდება შანსი, ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს!

## „კვირაში ერთხელ „ბორტი №1“ მოსკოვიდან ამერიკისკენ მიფრინავს და პირველ პირებს შორის შუამავლების დონეზე კავშირი არსებობს!“

***„კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე და ანალიტიკოსი რეგიონალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი უკრაინის ომს ეხმიანება და იმ პერსპექტივაზე საუბრობს, რომელიც ამ საშინელ და სისხლიან დაპირისპირებაში რუსეთის ან დასავლეთის გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანას ელოდება და ხაზგასმით აცხადებს, რომ დღეს რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ომში ჩართვა ამერიკისა და ევროპის ინტერესებში არ შედის:***

— უკრაინაში რუსეთი კი არ შეიტყუეს, წამოიკიდეს. მიუხედავად იმისა, რომ სირიაში პუტინი ახერხებდა თურქეთთან კონფრონტაციაში არ შესულიყო, უკრაინასთან მიმართებაში სიხარბემ მაინც სძლია, მოტყუვდა და ქვეყანაში შეიჭრა. დღეს რუსეთი ჩიხშია, მაგრამ, თუ პუტინი კიევს აიღებს, მერე იქნება კატასტროფა!

**როცა ამერიკა ავღანეთიდან გამოვიდა, მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია, რომ რუსეთი უკრაინაში უნდა შეჭრილიყო.** პუტინმა ავღანეთიდან ამერიკის გამოსვლა ნატოს სისუსტედ მიიჩნია და ჩათვალა, რომ უკრაინის დასაპყრობად საუკეთესო დრო იყო. ომის დაწყებიდან უკვე მესამე დღეს ვლადიმერ პუტინი მიხვდა, რომ ხაფანგშია! **ჩვენი ინფორმაციით, რუსეთის სპეცსამსახურები პუტინს კატეგორიულად აფრთხილებდნენ, უკრაინაში არ შესულიყო, მაგრამ მან არავის მოუსმინა, რადგან თვითონაც დაიჯერა, რომ რუსეთის არმია მსოფლიოში საუკეთესო იყო.**

**— ბატონო ზაალ, კიევის აღება რუსეთისთვის კატასტროფა რატომ იქნება?**

— თუ პუტინი კიევს აიღებს, ის გაიმეორებს ზუსტად იმავე შეცდომას, რომელიც ავღანეთში შეჭრით ლეონიდ ბრეჟნევმა და საბჭოთა კავშირმა დაუშვეს. **არ დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კავშირი დღევანდელ რუსეთზე ბევრად უფრო მძლავრი სახელმწიფო იყო, რომელმაც ავღანეთის დედაქალაქი ქაბული თვალის დახამხამებაში აიღო, მაგრამ მერე იქიდან ველარ გამოვიდა.** საბჭოთა კავშირი ავღანეთში ტერიტორიის მხოლოდ 30 პროცენტს აკონტროლებდა, ხოლო დანარჩენ 70 პროცენტ ტერიტორიაზე გაჩაღებული იყო პარტიზანული ომი და საბჭოთა ჯარისკაცების ფეხქვეშ მართლაც მიწა იწვოდა.

ჩვენ მაშინ დახურულ ქვეყანაში ვცხოვრობდით და არ ვიცოდით, თუ რა სანქციები დაადეს საბჭოთა კავშირს ავღანეთში შეჭრის გამო. დღეს ინფორმაცია გახსნილია, ვერავის ვერაფერს დაუმალავ და ერთი რამის თქმა აშკარად შეიძლება — დღევანდელი სანქციები, რომელიც რუსეთს უკრაინაში შეჭრის გამო დაუწესეს, ათჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე საბჭოთა კავშირისთვის დაწესებული სანქციები. **სწორედ სანქციებმა გამოიღო ის შედეგი, რომ საბჭოთა ეკონომიკა ჩამოიქცა. მაშინ დასავლეთმა გაზსა და ნავთობზე ფასი დააგდო, ხოლო საბჭოთა იმპერიას ხარჯი გაუზარდა.** ამის გამო გორბაჩოვი იძულებული გახდა, დაეწყო ე.წ. პერესტროიკა, გამოეყვანა ჯარი ავღანეთიდან და ბოლოს დანებებულიყო კიდეც.

რაც დღეს რუსეთის გარშემო ხდება, ბევრად უარესია, ვიდრე საბჭოთა კავშირისთვის დაწესებული სანქციები. უკვე გამოცხადდა, რომ

**ამერიკა და ინგლისი რუსეთისგან ნავთობს, გაზსა და ქვანახშირს აღარ შეისყიდიან. სწორედ ამ სამი სტრატეგიული პროდუქტით ავსებს რუსეთი ბიუჯეტს. შესაბამისად, ამ სამი პროდუქტის ყველაზე დიდი მყიდველები ამერიკელები და ინგლისელები იყვნენ, მაგრამ ეს ამბავი უკვე მორჩა!**

**— აქვს თუ არა რუსეთს მარაგები?**

— რუსეთს ცხადია, მარაგები აქვს... ეს არის ოქროს, ალმასისა და ვალუტის მარაგები, მაგრამ ვალუტაზე მოთხოვნა იმდენად დიდია, მისი რესურსი ძალიან მალე ამოიწურება. ამას ემატება ისიც, რომ **ამერიკამ რუსეთს დაუბლოკა სტრატეგიული განვითარების პროგრამა, კერძოდ, 1,5 ტრილიონი დოლარი.** ეს ფული რუსეთს არ წაართვეს, მაგრამ ჯერჯერობით არც აძლევენ. რაც შეეხება ალმასსა და ოქროს, რომლის მარაგებიც რუსეთს აქვს, ეს არ გახლავთ ის სიმდიდრე, რომელსაც ფართო მყიდველი ჰყავს. გარდა ამისა, რუსეთის ალმასსა და ოქროს მყიდველი რომც გამოუჩნდეს, დაინტერესებული მხარე მაინც ვერაფერს იყიდის, რადგან ეს სფერო უკვე დაბლოკილია. ბუნებრივია, რუსეთი შეეცდება, საქართველოს, სომხეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების გავლით კონტრაბანდა აამოძრაოს და ვალუტა მიიღოს, მაგრამ კონტროლი გაასმაგებული იქნება და ყველა ის ქვეყანა დაისჯება, რომელიც ამ კონტრაბანდულ საქმიანობაში ჩაერთვება.

**— არსებობს თუ არა კავშირი საქართველოში სააკაშვილის მაცივრით შემოყვანასა და უკრაინაში ომის ატეხას შორის?**

— დიახ, ასეთი კავშირი ნამდვილად არსებობს და დღესაც იმ აზრზე ვარ, რომ **რუსეთში, უკრაინასა და საქართველოში ნავალნის, პოროშენკოსა და სააკაშვილის შემოყვანა ერთი პროექტია!** ნავალნის საერთაშორისო საზოგადოება უმაგრებს ზურგს და ხადარკოვსკი ეხმარება თავისი ფინანსებით; პოროშენკო უკრაინაში ჩაიყვანეს, გაასამართლეს, გაამართლეს და „გაათეთრეს“. სხვათაშორის, რუსეთი ცდილობდა, **ზელენსკის** ნაცვლად უკრაინაში **მედვედჩუკი** გაემეფებინა, მაგრამ პოროშენკოს უკრაინაში ჩაყვანით ეს გეგმა ჩაიშალა, რადგან პოროშენკოს, სულ მცირე, მოსახლეობის 25 პროცენტი მაინც უჭერს მხარს. რაც შეეხება სააკაშვილს, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ნაძირალა ძალით შემოხტა თემაში, რის გამოც დასავლეთმა დასაჯა და ციხეში გაუშვა. დარწმუნებული ვარ, ასე რომ არ ყოფილიყო, სააკაშვილი დღეს ბევრად უკეთეს პირობებში იქნებოდა.

**— მაშინ ვინ მფარველობს სააკაშვილს და ვინ გაუბედვინა მას საქართველოში შემოსვლა?**

— **სააკაშვილის უკან დგას ის ვიწრო ფინანსური ჯგუფი, რომელიც მის იარაღით მოვაჭრე ბიძასთან თემურ ალასანიასთან არის დაკავშირებული.** სხვა სერიოზული პოლიტიკური გუნდის ალიანსი სააკაშვილთან გამორიცხულია. არც ამერიკა და არც დასავლეთი საქმეს სერიოზულად არ დაიჭერს გაქცეულ მთავარსარდალთან, რომელიც გორში მიწაზე ფორთხავდა. შესაბამისად, ყველაზე მეტად ერთი რამ მაინტერესებს —

**რატომ არ არის სააკაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული ღალატის გამო და რატომ გაიქცა და ფორთხავდა ის მიწაზე? აი, ამას უნდა უპასუხოს სააკაშვილმა და არა ე.წ. პიჯაკების საქმეს!**

სხვათაშორის, სააკაშვილმა ქვეყნის არევა რომ ვერ მოახერხა და მომიტინგეებამდე ვერ მიაღწია, ეს სწორედ დასავლეთის





**„რუსეთში, უკრაინასა და საქართველოში ნავალნის, პოროშენკოსა და სააკაშვილის შემოყვანა ერთი პროექტია!“**

## კვირგვინოსნები

**ბიძინა გიორგობიანი**
*ყოფილი პარლამენტარი*



არ უნდა გადავდგათ ისეთი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს სისხლიან კონფლიქტში ჩაითრევს. **საქართველოს ხელისუფლების კი არ მრცხვენია, არამედ ამაყი ვარ, რომ ძალიან რთულ დროში მოახერხა, ემოციებს არ აჰყვა და ისეთ პროცესს არ შეუერთდა, რომელი პროცესიც საქართველოს დააზიანებდა.** გაიხსენეთ, **„ლუკოილი“** ბაზარზე როდის შემოვიდა, **„ლუკოილის“** შემოყვანას ვინ ლობირებდა, ვისი ძმა იყო **„ლუკოილის“** მთავარი ლობისტი. **ეს იყო სააკაშვილის ძმა.**

„ახალი თაობა“

**დავით საგარელი**
*„კურიერის“ ჟურნალისტი*



ძალიან რთულია ფსიქოლოგიურად, როდესაც ომიდან ბრუნდები სახლში. **დღემდე ჩამესმის სირენებისა და ბომბების ხმები. ღამე მეღვიძება და კარგა ხანი ვერ ვხვდები, სად ვარ. ცოტა ხნის წინ ქარი იყო თბილისში და მთელი ღამე სახურავიდან ხმა ისმოდა. რაღაც მომენტში აფეთქების ხმას მივამსგავსე და წამოვხტი.** მეგონა, ისევ კიევში ვიყავი. ჩემს იქ ყოფნაში აგრესორმა ორი ჟურნალისტი მოკლა. უამრავ მშვიდობიან მოქალაქეს მოესწრაფა სიცოცხლე.

„სარკე“

**გიორგი ახვლედიანი**
*ანალიტიკოსი*



**ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას უნდოდა, მარტო ის გაგვეშუქებინა, რასაც ისინი აკეთებდნენ და დაგვემალა ის, რასაც აფუჭებდნენ.** ჩვენ წინააღმდეგ საზიზღარი ბრძოლა იყო. **ყველაზე დიდი შოკი 7 ნოემბერი იყო.** ამ დღეს საშინელ რეალობას შევეჯახეთ. მე და ჩემი მეუღლე ტელევიზიიდან თავდასხმამდე 15 წუთით ადრე გამოვედით. იქვე, დიღომში ვცხოვრობდით და როგორც კი სახლში შევედით და ტელევიზორი ჩავრთეთ, ეს ამბავი დაგვხვდა. უკან დავბრუნდით, ზარზე აღარავინ მპასუხობდა და **მეგონა, რომ ცოცხალი არავინ დატოვეს.**

„თბილისელები“



# „თუ პუტინი კიევს აიღებს, ის გაიმეორებს ზუსტად იმავე შეცდომას, რომელიც ავღანეთში შეჭრით ლეონიდ ბრეჟნევმა და საბჭოთა კავშირმა დაუშვეს!“

## „რუსეთის სპეცსამსახურები პუტინს კატეგორიულად აფრთხილებდნენ, უკრაინაში არ შესულიყო, მაგრამ მან არავის მოუსმინა!“

სპეცსამსახურების დამსახურება, რომლებმაც, ჩვენი ინფორმაციით, ქართული სპეცსამსახურები საქმის კურსში დროულად ჩააყენეს და სააკაშვილი გაანეიტრალეს!

**— რა მოხდებოდა, თუ სააკაშვილი 2021 წლის შემოდგომაზე თბილისში სიტუაციასააყირავდებდა?**

— გადატრიალების მოწყობას ის ვერ შეძლებდა, მაგრამ ქვეყანას არევდა. **თუ სააკაშვილი ხელისუფლების შეცვლას მაინც მოახერხებდა, დღეს საქართველო უკრაინასთან ერთად ჩაბმული იქნებოდა რუსეთის წინააღმდეგ ომში და დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელი მაგისტრალი — ავტობანი გადაკეტილი იქნებოდა რუსეთის მიერ.** ამ ე.წ. ავტობანზე რუსეთი ტვირთებს ზუსტად იმ რეჟიმში გაატარებდა, როგორც დღეს ენგურის ხიდზე იქცევა. ტვირთების მიმოსვლა შეწყდებოდა როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის მიმართულებით...

რასაც დღეს ნაციონალები აკეთებენ, როცა საქართველოს ომისკენ ექაჩებიან, ეს სხვა არაფერია, თუ არა თემაში ძალით შეხტომა. სწორედ ასე შეეტენა სააკაშვილი და მისი ხროვა 2008 წელს მაკკეინის ჯგუფს, რის გამოც მაგრად დაინაყა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ყველაფერს ქვეყანაც შეეწირა. **2008 წლის აგვისტოს ომში, რომელიც მოგებული გვქონდა, სააკაშვილმა სამი დღეც ვერ გაძლო და ლორივით დაწვა.** სამი დღე რომ გაეძლო, უკრაინა მონაგონი იქნებოდა, დასავლეთისგან ისეთი დახმარება წამოვიდოდა... ამის შემდეგ სააკაშვილმა კაპიტულაციაზეც მოაწერა ხელი, რუსეთს საქართველოში შემოჭრაც დაუკანონა, ხოლო მერე მთელი ოქრო და ენერგეტიკაც გადასცა.

**— რატომ ერჩიან საქართველოს ზელენსკი, უკრაინის რადას თავმჯდომარე, ნაცები და განსაკუთრებით დავით არახამია?**

— ზელენსკიმ საქართველოდან ელჩის გაწვევა იჩქარა. მისი სწორხაზოვანი პოლიტიკა, რომელიც დასავლეთის კრიტიკით გამოირჩევა, შედეგიანია, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, უკრაინაში ჩაბუდებულმა ნაცებმა ეს სწორხაზოვანი პოლიტიკური ვექტორი საქართველოსკენ გადმოიტანეს და ახლა ცდილობენ, საქართველოს ხელისუფლება გამუდმებული შანტაჟის ქვეშ მოაქციონ! ეს არის გეგმა, რომელსაც ორი მიზანი აქვს — ნაცების პოლიტიკურად გაცოცხლება და საქართველოს ომში ჩათრევა!

**— მოდით, პირდაპირ ვთქვათ — ვის უნდა საქართველოს ომში ჩათრევა, ამერიკას თუ რუსეთს?**

— ცხადია, რუსეთს! ამერიკას ეს რომ უნდოდეს, მას საკმარისზე მეტი ბერკეტი გააჩნია, ამას მიაღწიოს!

**— მაშინ რა გამოდის, ზელენსკი და მისი გუნდი, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას ლანძღავენ, რუსეთის აგენტები არიან?**

**– ზელენსკი რუსეთს ებრძვის, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ისეთი უსამშობლო ადამიანი, როგორიც დავით არახამიაა, ზელენსკის გარემოცვაში რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყოს ჩანერგილი.**

**ცხადია, რუსეთის სპეცსამსახურების წისქვილზე ასხამენ წყალს ნაცებიც, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოადგენენ „მეხუთე კოლონას“ და ნებისმიერ სიბინძურეზე აწერენ ხელს, რათა საქართველო დაღუპონ.**

სხვათაშორის, აფხაზეთი დავით არახამიასნაირმა ნაძირალებმა დაგვაკარგვინეს. არახამია ზუსტად იმ გაიძვერებისა და მედროვეების კრებსითი სახეა, რომლებიც აფხაზებთან აფხაზობდნენ და ქართველებთან ქართველობდნენ. დარწმუნებული ვარ, არახამია ზელენსკისა და მის გარემოცვას არწმუნებს, რომ საქართველოში მას რაღაც გავლენები აქვს. რაც შეეხება **ხატია დეკანოიძეს,** ჩვენი ინფორმაციით, ის უკრაინიდან ფულის მოპარვის გამო გამოაგდეს. ხაზგასმით ვაცხადებ — დღეს ამერიკისა და ევროპის ინტერესებში საქართველოს ომში ჩართვა არ შედის!

**— დღეს რუსეთსა და ამერიკას შორის ყოველგვარი კომუნიკაცია გაწყვეტილია?**

— არა, არ არის გაწყვეტილი! ჩვენი ინფორმაციით, კვირაში ერთხელ **„ბორტი №1“** მოსკოვიდან ამერიკისკენ მიფრინავს და პირველ პირებს შორის შუამავლების დონეზე კავშირი არსებობს. დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ არცერთი რუსი დიპლომატი ამერიკიდან რუსეთში არ წამოსულა და თავიანთი ოჯახებით კალიფორნიაში გაემგზავრნენ, სადაც ძვირადღირებული სახლები აქვთ!

**— როგორ წარმოგიდგენიათ ამ საშინელი სისხლისღვრის ბოლო? გაუძლებს თუ არა რუსეთი სანქციებს და რა ბედი ელის საქართველოს?**

— რუსეთის ეკონომიკა ამ საშინელ სანქციებს ვერ გაუძლებს. ახლა საუკეთესო გამოსავალია ომის სასწრაფოდ შეწყვეტა, მაგრამ ორივე მხარემ ისე ღრმად შეტოპა, აქედან ასე ადვილად გამოსვლა ყოვლად გამორიცხულია. **პუტინს, ხვალვე რომ გამოიყვანოს უკრაინიდან ჯარი, ორი-სამი წლის განმავლობაში ამ სანქციებს მაინც არ მოუხსნიან. რაც შეეხება საქართველოს, როგორც გინდა დასრულდეს ეს ომი, პუტინი გაიმარჯვებს თუ დასავლეთი, საქართველოს უჩნდება შანსი ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს!**

თუ ამერიკამ გაიმარჯვა და უკრაინიდან რუსის ჯარი გააგდო, საქართველოს გაერთიანებას წინ ვერაფერი დაუდგება! ხოლო, თუ პუტინმა გაიმარჯვა, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთს, რომელიც იზოლაციაშია, აუცილებლად მოუწევს მეზობლებთან დატკბობა და დათბობა და რაღაც საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების შექმნა, სადაც ეთნიკური და ტერიტორიული პრობლემები უნდა გადაწყდეს. **საქართველოს ამ სიტუაციაშიც უჩნდება სერიოზული შანსი, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი შემოიმტკიცოს.**

**— უკრაინა გაუძლებს?**

— უკრაინამ უკვე გაუძლო! ცნობისათვის, უკრაინის თავდაცვის ძალები მთლიანად არ არიან ამ კონფლიქტში ჩართული. უკრაინამ თავისი სამხედრო პოტენციალის მხოლოდ 30 პროცენტი გამოიყენა და დასავლეთ უკრაინაში 200-ათასკაციანი კბილებამდე შეიარაღებული არმია კონტრშეტევისთვის ემზადება.

**უკრაინა გაუძლებს! კიდევ ერთხელ მივმართავ ნაცებს, რომლებიც ძალიან არიან მოწადინებული, საქართველო ომში ჩაითრიონ: მუხლზე მფორთხავ თქვენს ლიდერს 2008 წლის აგვისტოში სამი დღე რომ გაეძლო, საქართველო დღეს პოლიტიკური ვაჭრობის თვალსაზრისით ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა!**






## „ხატია დეკანოიძე უკრაინიდან ფულის მოპარვის გამო გამოაგდეს!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**თემურ ნანეიშვილი**
*აკადემიკოსი*



ასეთ ტრაგიკულ ვითარებაშია მსოფლიო, ჩვენი ოპოზიციის მთავარი მიზანი კი არის, როგორ მოვიდეს ხელისუფლებაში. **იმის ნაცვლად, რომ ხელი არ შეუშალონ, ზუსტად იქ ურტყამენ, სადაც უჭირს ქვეყანას. ეს არის ავანტიურა და ღალატი ქვეყნის წინაშე.**

„რეზონანსი“

**შალვა ხაჩაპურიძე**
*[illegible]*



პოლიტიკური ძალების 99 პროცენტი **ეს არის რუსეთის აგენტურა.** მე ვლაპარაკობ როგორც ხელისუფლებაზე, ისე ოპოზიციაზე. **არ არსებობს საქართველოში პოლიტიკოსი,** რამდენიმე კაცის გამოკლებით, **რომელიც რუსეთის ეფესბეში არ იყო ნამყოფი.**

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



**ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა უკრაინასთან მიმართებით,** მიიღო რეზოლუცია, დაგმო აგრესია, მხარი დაუჭირა ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე. **დღემდე ვუწევთ ჰუმანიტარულ დახმარებას.** ევროკავშირში მიღებაზე შეიტანა განაცხადი, ეს პოლიტიკა არ არის? აბა, რა არის?

„რეზონანსი“

**რამზან კადიროვი**
*ჩეჩნეთის მეთაური*



**იაპონიის ხელმძღვანელობა ჩეჩნეთის მიწაზე ფეხს ვერ დადგამს,** გარდა ორი ადგილისა — სოფლების — ბრაგუნისა და სამაშკის ფსიქიატრიული საავადმყოფოებისა. მე არ ვარ მონსტრი, რომ მათ აუცილებელი მკურნალობის საშუალება არ მივცე. **ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი სანქციისთვის მიმიფურთხებია.** მე მხოლოდ ერთის მეშინია — ყოვლისშემძლე ალაჰის სანქციების ქვეშ მოქცევის.

„ახალი თაობა“

# «უკრაინის გამო ეს ქვეყანა





„ზედმეტ ვიშვიშს თავი დავანებოთ, გვერდით დავუდგეთ პრემიერ ღარიბაშვილს!“

## მიხეილ ცაგარელი:

## საქართველოს ნომერ პირველი მტერი არის ნაციონალური მოძრაობა, რომელიც უკრაინამ გულში ჩაიკრა. ეს არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს!

*— ზედმეტ ვიშვიშს თავი დავანებოთ და ჩვენს ქვეყანას მივხედოთ, რომელიც ახლა ბეწვის ხიდზე გადის!* ***— აცხადებს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი. მისივე თქმით, ეს არის იმ პროცესის გაგრძელება, რომელიც 2 წლის წინათ ე.წ. ბაქტერიოლოგიური ომით დაიწყო:***

— მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება ხდება, რომლის პოლიგონიც ამჯერად უკრაინაა. დაახლოებით იგივე პროცესია, რაც 2008 წელს საქართველოში მოხდა, ოღონდ უფრო დიდ მასშტაბებში. ამას წინ უსწრებდა ე.წ. პანდემიაც.

**— პანდემია რა კავშირშია სამხედრო მოქმედებებთან?**

— სამყაროში, როგორც წესი, დამთხვევა არ არსებობს, ყველაფერი კანონზომიერების პრინციპით ხდება. **ბაქტერიოლოგიური ომით ადამიანების დემორალიზაცია, დაზომბირება მოახდინეს, რაც გლობალიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.** გლობალისტები ამაზე ჯერ კიდევ წლების წინათ საუბრობდნენ. შეგიძლიათ, ინტერნეტში თავად ნახოთ უსაფრთხოების საკითხებში ამერიკის ყოფილი მრჩევლის **ბჟეზინსკის** სიტყვები — **ვიწყებთ კონტროლირებად ქაოსს, რომელიც დაკავშირებული იქნება ბაქტერიოლოგიურ ომთან და სამხედრო მოქმედებებთანო.** ახლა სწორედ ამ კონტროლირებადი ქაოსით სურთ, გავლენა განიმტკიცონ მათთვის სტრატეგიულ ადგილებზე. ჯერ კიდევ წინ არის მთელი რიგი პროცესები.

აქამდე თუ გვქონდა ორპოლუსიანი სამყარო — ერთ მხარეს შეერთებული შტატები და ევროპა, მეორე მხარეს კი რუსეთი, ახლა მსოფლიო მრავალპოლუსიანი ხდება. ჩინეთსაც თავისი პრეტენზია აქვს, ევროპასაც, ინგლისსაც... უკრაინელი ხალხის ბედი არავის აღელვებს, მითუმეტეს, დიდი ქვეყნების ლიდერებს, მათთვის ადამიანები ჩვეულებრივი საზარბაზნე ხორცია.

გლობალისტებს დიდი პროექტების განსახორციელებლად ძალიან ბევრ ქვეყანაში ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები, მათ შორისაა საქართველოც და უკრაინაც. ჩვენთან ამ გუნდს **სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა** წარმოადგენს, უკრაინაში — **ზელენსკი.**

**— ამით რისი თქმა გსურთ — არ უნდა დავუჭიროთ მხარი უკრაინელებს ისევე, როგორც სააკაშვილსა და ნაციონალებს?**

— უდანაშაულო უკრაინელ ხალხს, რომელიც ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, რა თქმა უნდა, სოლიდარობა უნდა გამოვუცხადოთ, მაგრამ ის, რაც საქართველოში ხდება, ზღვარგადასული ნევროზული ისტერიაა, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ და მათმა სატელიტმა რადიო-ტელევიზიებმა მოგვახვიეს თავზე. არცერთ სხვა ქვეყანაში არ არის ასეთი ბაქქანალია. ლამის პანაშვიდებს და პარაკლისებს იხდიან უკვე. აღარაფერს ვამბობ იმ ეგზალტირებულ ახალგაზრდებზე, რომლებსაც ვითომ გული შესტკივათ, სინამდვილეში კი პირდაპირ აქციაზე იღებენ ნარკოტიკებს. კიდევ ერთხელ ვამბობ — **სოლიდარობა და ზომიერი დახმარება აუცილებელია, მაგრამ უკრაინის გამო ეს ქვეყანა არ უნდა დავანგრიოთ!**

გავიხსენოთ უახლოესი ისტორიაც, რა ხდებოდა 2008 წლის აგვისტოში უკრაინაში? ჩემი კიეველი მეგობრისგან ვიცი, რომ რუსეთ-საქართველოს ომს უკრაინის საინფორმაციო საშუალებები მხოლოდ ერთ-ორწუთიან სიუჟეტებს უძღვნიდნენ. არც მიტინგები გაუმართავთ ქუჩაში საქართველოს დასახმარებლად.

### იქნებ, მე არ მახსოვს და შემახსენოთ, რამე განსაკუთრებული დახმარება გაგვიწიეს მაშინ?

### ვინმემ უკრაინაში ქართველი ლტოლვილები შეიფარა?

სამაგიეროდ, ყველას შეუძლია, ნახოს კადრები, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ როგორ დასცინოდა მსახიობი **ვოლოდიმირ ზელენსკი** ქართველებს. ადეკვატურები ხომ უნდა ვიყოთ?!

უკრაინას წლების განმავლობაში ჰქონდა ანტიქართული პოზიციები — **დაწყებული ზვიად გამსახურდიას მკვლელობით, დამთავრებული დამნაშავე ნაციონალური მოძრაობის შეფარებით.**

**— და მაინც, რა წვლილი მიუძღვის უკრაინას ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში?**

— 90-ან წლებში შავი ზღვის ფლოტს ერთდროულად პატრულირებდნენ უკრაინელები და რუსები. ამ ქვეყნის პრეზიდენტებს ემორჩილებოდა ადმირალი ბალტინი. რადგან ედუარდ შევარდნაძემ ჩათვალა, რომ ელცინი მასზე ნაწყენი იყო, უკრაინის მაშინდელ პრეზიდენტს კრავჩუკს სთხოვა დახმარება. სწორედ კრავჩუკის ბრძანებით გადმოსხა ადმირალმა ბალტინმა გემებით ფოთის პორტში სპეცჯგუფი, რომელმაც პირველი პრეზიდენტის ლიკვიდაცია მოახდინა. უკრაინელების ნაწილი მაშინ აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგაც იბრძოდა, თუმცა, ნაწილი ჩვენ გვეხმარებოდა. ამიტომ, მოდით, პირდაპირ ვთქვათ — **უკრაინელებსაც მიუძღვით ჩვენ წინაშე დანაშაული და რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ქვეყნის შეურაცხყოფა დღემდე გრძელდება.**

### უკრაინაში ბუდე მოუწყვეს დამნაშავე ნაციონალებს, საიდანაც ანტიქართული პროპაგანდა მოდის. სააკაშვილი სწორედ უკრაინიდან იმუქრებოდა საქართველოს მთავრობის დამხობით. ეს არის კეთილმეზობლური დამოკიდებულება?

**— ახლა, როცა უკრაინის თავზე ბომბები ცვივა, სწორია ამ ყველაფრის გახსენება?**

— ისტორია ზუსტად იმისთვის არის, რომ რაღაც-რაღაცები გავითვალისწინოთ, მეორედ იგივე შეცდომა რომ არ დავუშვათ. მეხსიერებაც ხომ იმიტომ აქვს ადამიანს, კარგი და ცუდი დაიმახსოვროს?! საქართველოს ნომერ პირველი მტერი არის ნაციონალური მოძრაობა, რომელიც უკრაინამ გულში ჩაიკრა. ეს არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს!

### ბევრ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა, რომელიც 90-ან წლებში ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იბრძოდა. დღეს აბსოლუტურად ყველა მათგანი ნანობს თავის საქციელს. ამ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მომავალში ის ადამიანები, ვინც ახლა ნაციონალებთან ერთად ყვირიან მიტინგებზე.

ზედმეტი ემოცია არ აძლევს ტვინს ნორმალურად მუშაობის საშუალებას. ემოციამ შეიძლება ადამიანის გონებრივი შესაძ-

# «ნატოზე ერთმნიშვნელოვნად

## კვირგვინოსნები



**ბაკურ ბაკურაძე**
*რეჟისორი*

მინდა, მადლობა გადავუხადო ხელისუფლებას, რომელიც **აბსოლუტურად დაბალანსებულ პოლიტიკას აწარმოებს** ამ რთულ პერიოდში.

„TV იმედი“



**ჯემალ სეფიაშვილი**
*მომღერალი*

რა გვაქვს, რომ რუსეთს სანქციები დავუწესოთ? **ჩემი ხელისუფლება არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა დაიცვა შენი ხალხი უბედურებისგან,** რომელიც შეიძლებოდა, მომხდარიყო.

„აჭარის ტელევიზია“



**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*

ოპოზიციის საუბარი ღალატზე სასაცილოც კი აღარ არის. **ეს არის ტიპური მე-5 კოლონა,** რომელიც ნებისმიერ ამბავს იყენებს იმისათვის, რომ ხალხში ყალბი ფსევდოპატრიოტული გრძნობები დათესოს.

„იმედინიუსი“



**ერეკლე საღლიანი**
*პოეტი*

საქართველოს პრეზიდენტი ისე **ღირსეულად** იქცევა, როგორც **ღირსეული** ქვეყნის **ღირსეულ** ხელმძღვანელს შეეფერება.

„კვირის პალიტრა“



**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*

სანამ დაძაბულობის ეს პიკი არ მორჩება, **მთავრობისა და პრემიერის გადადგომაზე ლაპარაკი არასწორია.**

„GTMEDIA“



**თაკო ჩარკვიანი**
*„კანონი და სამართალის“ ლიდერი*

უნდა შეწყდეს **ბურჯანაძის პოლიტიკური მარაზმი,** რუსის ჯარის შემოყვანის მცდელობა საკუთარ ქვეყანაში არაფრით არ „პრავდება“.

„აიპრესი“

# «...არ უნდა დავანგრიოთ!»




ლებლობებიც დაახშოს. ამის მიღწევას ცდილობენ დღეს ნაციონალები, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე მანიპულირებენ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორია არ იცის.

რომელი სანქციების დაწესებაზეა საუბარი, როდესაც ქვეყანაში ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა?! საქართველოში ბევრი ოჯახია დამოკიდებული რუსეთიდან შემოსულ თანხებზე. ექსპორტ-იმპორტის შეჩერების შემდეგ ელემენტარულად საჭმელი აღარ ექნებათ. ზუსტად ეს შედის ნაციონალური მოძრაობის ინტერესებში, რომ ხელისუფლებას ბუნტი მოუწყონ.

რუსებს ამ ეტაპზე საქართველოში შემოსვლის არანაირი ინტერესი არა აქვთ, არაფერში სჭირდებათ ტურისტებს უკან ტანკებით შემოჰყვნენ.

**საქართველოს განადგურება რომ უნდოდეთ, ეშერის ლაბორატორიაში ისეთი დანადგარები აქვთ, რომ საპიტაკის მიწისძვრა მონაგონი იქნება, თანაც კაციშვილი ვერაფერს დაუმტკიცებს.**

თუმცა, საკმარისია ერთი არასწორი ნაბიჯი და პროცესები უმართავი გახდება.

**— საბაბი სჭირდება კი რუსეთს საქართველოში შემოსასვლელად?**

— ამის გასარკვევად ერთი მთავარი კითხვა უნდა დავსვათ — **რატომ შევიდა უკრაინაში?**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ უკრაინის პრეზიდენტი **ზელენსკი** ამერიკულ-ევროპული პოლიტიკის მძევალია. შეიძლება ითქვას, მიხეილ სააკაშვილის „ბიძაშვილია“. დაახლოებით ერთი სტილის ტიპაჟები არიან. კარგად ვიცი მისი პირადი ჰოროსკოპი. ემოციური ცენტრი ლომის ზოდიაქოში აქვს. ზეამბიციური, ძალაუფლების მოყვარული ადამიანი და დიდი „პიარშიკია“. ორმეტრნახევრიანი ენა აქვს. შეუძლია, დაგიმტკიცოს, შავზე თეთრიაო. მისი ვიზუალური მხარე მხოლოდ გარეგნული ფასადია. **დღეს რომ გამოდის გმირის ამპლუაში, ადრე თუ გვიან უკრაინელი ხალხი მიხვდება, ვინც არის და რა გაუკეთა საკუთარ მოსახლეობას.**

ზელენსკი მასონური ჯგუფების მიერ არის პრეზიდენტად შერჩეული ისევე, როგორც თავის დროზე სოროსელებმა სააკაშვილი და მისი ჯგუფი დაგვასვეს თავზე ფსევდოლიბერალური პრინციპების განსავითარებლად. ამიტომაც შეიკედლა ზელენსკიმ ნაციონალური მოძრაობა. ერთად განახორციელეს ის, რაც უნდოდათ ამერიკელებსა და ევროპელებს.

**— მაინც რა არის დასავლეთის მიზანი?**

— რუსეთის გაღიზიანება და მაქსიმალურად დასუსტება! ამჯერად უფრო დიდ მასშტაბებში განახორციელეს თავიანთი გეგმა. **ამ ომის მეშვეობით ამერიკამ ევროპაც შეაფუცხუნა და კიდევ უფრო მეტად მიაბა შეერთებულ შტატებს.**

რასაკვირველია, რუსებს არ ვამართლებ, ომი ნებისმიერ შემთხვევაში უბედურებაა, მაგრამ ზელენსკის შეეძლო ნეიტრალიტეტის გამოცხადებით ამ ომის თავიდან აცილება ისევე, როგორც 2008 წელს სააკაშვილს. **მინსკის შეხვედრაზე გასაგებად უთხრეს რუსებმა — გვერდით სურთ, ჰყავდეთ ნეიტრალური ქვეყანა, რომელიც თავის საზღვართან ნატოს ჯარს არ დააყენებს.**

ყველა დიდ ქვეყანას ექსპანსიის განხორციელების თავისი მიდგომა აქვს. შტატებს საქართველო სხვადასხვა გრანტებით ყურებით ჰყავს დაჭერილი. ფინანსურად მათზე დამოკიდებულებს გვაიძულებს, გავაკეთოთ ის, რაც მათ სურთ. აგერ ბატონო, ამერიკის ელჩი პირდაპირ დირექტივებს იძლევა და თითსაც გვიქნევს. რუსებს სხვა სტილი აქვთ — ურჩევნიათ, ზედმეტი მეთოდოლოგიის გარეშე ხისტად მოიპოვონ შენზე გავლენა. ამიტომაც გაცილებით უარესად გამოიყურებიან. **ამერიკის ნალმი უფრო დამაქცევარია ქვეყნის გასაქრობად, ნელ-ნელა ანგრევს და აცლის ქვეყანას სულიერ საზრდოს.**

ერთია, ჩვენ რა გვინდა და მეორე — რა ფარგლებში შეგვიძლია, ვიმოქმედოთ. სხვაგვარად არ არის ეს სამყარო მოწყობილი. **როდესაც გვერდით გვყავს რუსეთი, რომელსაც შეუძლია, ნებისმიერ წამს გადაგყლაპოს, ძალიან ფრთხილად და ჭკვიანურად უნდა ვიმოქმედოთ.**

**— ანუ ნატოზე უარი უნდა ვთქვათ?**




— ნატოზე ერთმნიშვნელოვნად უნდა ვთქვათ უარი, ორი აზრი არ არის! წლებია, გვეუბნებიან, კარი ღიააო, როდემდე შეიძლება ეს გაგრძელდეს? ვის აშაყირებენ? **ერდოღანმა** სირიაში რუსული თვითმფრინავი რომ ჩამოაგდო, ნატოს გენერალურმა მდივანმა პირდაპირ უთხრა — თუ რუსეთთან ომს დაიწყებთ, ვერ დაგეხმარებითო. ამიტომაც გაიქცა ერდოღანი მოსკოვში და ბოდიშები უხადა პუტინს. წარმოიდგინეთ, ნატოს წევრ ქვეყანას თურქეთს უთხრეს უარი დახმარებაზე და საქართველოს შემთხვევაში როგორ მოიქცევიან?! გარდა ამისა, რითი უნდა შევიდეთ ნატოში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე?! ერთადერთი გამოსავალი ნეიტრალიტეტის გამოცხადებაა. **შვეიცარიის ტიპის ქვეყანა უნდა ვიყოთ. ეს არის საქართველოს კოსმიური მისია!**

პირადად ჩემთვის მიუღებელია ისეთი დემოკრატია, სადაც **სილქნეტი** რუსულ არხებს თიშავს. მხოლოდ საინფორმაციოებს ხომ არ უყურებდნენ ადამიანები რუსულ არხებზე?! თუ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, რატომ არ უნდა ვიცოდეთ, რას ამბობს თუნდაც მოწინააღმდეგე მხარე? საბჭოთა კავშირის დროსაც ეს პრეტენზია გვქონდა, როცა „ამერიკის ხმას“ ახშობდნენ!

**— თქვენი პროგნოზით, როდის და რა შედეგით შეიძლება დასრულდეს რუსეთ-უკრაინის ომი?**

— ამ დაპირისპირების ბედი სადღაც მარტის ბოლომდე უნდა გაირკვეს. უკრაინელები რომ ადვილად არ დანებდებიან, ეს მეორე მსოფლიომ ომმაც აჩვენა. ყველაზე ძლიერი პარტიზანული მოძრაობა სწორედ უკრაინასა და ბელორუსიაში იყო.

**ძალიან მნიშვნელოვანი იქნება 30 აპრილი. ამ დღეს მზის დაბნელება უკრაინის ზოდიაქოს ნიშანში – კუროში ხდება, რაც საბოლოოდ გადაწყვეტს ამ ქვეყნის ბედს.**

დიდი ალბათობით, სხვა დონეზე დაიწყება მოლაპარაკება რუსეთს, ევროპასა და ამერიკას შორის.

**სანქციები, რომელიც რუსებს დაუწესეს, რასაკვირველია, ზარალს მიაყენებს, მაგრამ არა ისეთს, რომ ქვეყანა ჩამოიშალოს. ამაზე უარესი სანქციები ირანს აქვს დაწესებული, მაგრამ ქვეყანა არ დანგრეულა, მითუმეტეს, რუსეთს საკუთარი ენერგორესურსები აქვს.** საბოლოოდ ეკონომიკური ინტერესები წინა პლანზე წამოიწევს და როგორც კი მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაში შევა, სანქციები მოიხსნება. თავად დაინახავთ, ერთი წლის შემდეგ ამ სანქციების უმრავლესობა აღარ იმუშავებს.

**— ზელენსკის პირადი ჰოროსკოპი ახსენეთ. საინტერესოა, პუტინის პირადი ჰოროსკოპი თუ გაქვთ შესწავლილი?**

— მაინცდამაინც არ ვეყრდნობი მის პირად ჰოროსკოპს. წლების წინათ პუტინის მეუღლემ გერმანელებს ინტერვიუ მისცა, სადაც ამბობდა — პუტინი მოკლეს და ეს მისი ორეულიაო. შეგიძლით, ეს ინტერვიუ მოიძიოთ. ასე რომ, კაცმა არ იცის, რეალურად ვისი მონაცემებია — მკვდარი პუტინის თუ მისი ორეულის?! რაც შეეხება **ბაიდენს,** ოქტომბერ-ნოემბერში, შესაძლოა, სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს, რაც ბევრ რამეს შეცვლის რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებებში.

**— საქართველოს ხელისუფლებაზე რას იტყვით, რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამს ამ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში?**

— პირდაპირ ვამბობ — **პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რომ არ ყოფილიყო, დავიღუპებოდით!** მისი მეთაურობით ქვეყანა ომსა და სისხლისღვრას გადაურჩა. სააკაშვილი ხომ სწორედ ამ მისიით დაბრუნდა საქართველოში — თავისი ზემდგომების დავალებით მეორე ფრონტი გაეხსნა რუსეთისთვის?!

**ღარიბაშვილის გარდა სხვა ვერავინ შეძლებდა გააფთრებული ნაციონალების თავდასხმების მოგერიებას. „ქართულ ოცნებაში“ სხვას არავის აქვს მისნაირი ავტორიტეტი, ძალა და თუნდაც ქიზიყური შეუპოვრობა!** ირაკლი ღარიბაშვილია ის პრემიერი, რომელიც ზომიერებას ინარჩუნებს და ბეწვის ხიდზე დანაკარგების გარეშე გაჰყავს ქვეყანა. ასე რომ, ზედმეტ ვიშვიშს თავი დავანებოთ, გვერდით დავუდგეთ მას, რომ როგორმე ეს ქვეყანა გადავარჩინოთ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# «...უნდა ვთქვათ უარი!»

## კვირგვინოსნები

**დათო ლომთათიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ხელისუფლება ვალდებულია ქვეყანაში სიმშვიდე შეინარჩუნოს.** ვაკეში, დიღომსა და ავლაბარში ბომბები რომ არ ცვივა, იმას არ ნიშნავს, პრობლემა არ არის. **ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვართ.**

„ახალი თაობა“

**დავით ქართველიშვილი**
*ექსპერტი*



**სააკაშვილის** მმართველობის დროს **„ლუკოილს“** ასობით მილიონის ტენდერები აქვს მოგებული. „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“ შესვლის პრობლემა რომ ჰქონდა რუსეთს წლობით, **ომის მერე, ოკუპაციისათვის მადლიერების ნიშნად მიშამ შეიყვანა.**

„იმედინიუსი“

**დავით უსუფაშვილი**
*პოლიტიკოსი*



**ეს უკვე ჩირგვებში დამალვის პოლიტიკაა** — სანამ შეუბერავენ, მანამდე წაქცეულები არიან, **„ტანკი თუ დაიქოქება, საქართველოსგან არაფერი დარჩებაო“,** მაშინ წავიდნენ სახლში და ისეთი მთავრობა მყავდეს, რომელიც იტყვის: **„ჩვენ ვიბრძოლებთ“.**

„პალიტრანიუსი“

**მამუკა არეშიძე**
*დამოუკიდებელი ექსპერტი*



13 ოქტომბერს შევიტანე პარლამენტში საინიციატივო პაკეტი, რომ **რუსეთის მოქალაქეებისთვის შეეზღუდათ საქართველოში მიწების და ბინების ყიდვა.** ხელისუფლებამ არ მომისმინა, მაგრამ ჩემს გაოგნებას რა იწვევს, იცით? პირადად მივმართე ოპოზიციონერ ლიდერებს და ყურად არ იღეს **არც ნაყოფიამ, არც მელიამ, არც ელენე ხოშტარიამ** და არც დანარჩენებმა.

„ახალი თაობა“

**„ირაკლი ღარიბაშვილმა სწორი ნაბიჯი გადადგა, საქართველო სანქციებს რომ არ მიუერთა!“**




## ნანა დევდარიანი:

# დღეს არამხოლოდ სამხედრო, არამედ ფეიკების ომიც მიდის!

*— ზელენსკი ახლა მიხვდა იმას, რასაც წლებია, ვამბობთ!* ***— აცხადებს ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი და მიიჩნევს, რომ ფეიკების ომში განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რათა ქვეყანა ზესახელმწიფოთა პოლიგონად არ იქცეს:***

— 2008 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პუტინის გამოსვლაში ერთ-ერთი საკვანძო საკითხი კოსოვო იყო. მან მწვავედ გააკრიტიკა დასავლეთის ქვეყნები და აღნიშნა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებით სახიფათო პრეცედენტს ქმნიდნენ. დიახ, კოსოვო სერბეთისთვის იგივეა, რაც ქართველებისთვის — დიდგორი. **ხვდებით, როგორი დარტყმა მიაყენეს სერბეთს, რომელიც ყოველთვის რუსეთის მჭიდრო მოკავშირე იყო?!**

**— ამას დღეს რატომ იხსენებთ, რა კავშირშია უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან?**

**— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული მსოფლიო წესრიგი სწორედ კოსოვოს აღიარების ცნობით დაარღვიეს.** დღეს რუსეთი აღარ არის ის სახელმწიფო, რომელიც ელცინის დროს იყო. თავისი ძალა სირიაშიც აჩვენა, სადაც, პრაქტიკულად, დასავლურმა კოალიციამ მარცხი განიცადა.

პუტინი წლებია, ამბობს — ნატოს გაფართოება რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ამას არ დავუშვებო. სამწუხაროდ, ესეც არავინ შეისმინა. სულ ახლახან ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან გამოყონა დოკუმენტმა, რომლის თანახმადაც დასავლეთის მხრიდან იყო დაპირება, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა და რუსეთის საზღვარს არ მიუახლოვდებოდა. ამ დროს რა ხდება? დიდი ზარ-ზეიმით გაწევრიანდნენ ნატოში ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, სერბეთის გარდა, რაც წითელი ხაზი იყო რუსეთისთვის!

რაც შეეხება უშუალოდ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, 2014 წლის სრულიად უკანონო სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნების მესამე ტურიც კი ჩაატარეს იმისთვის, რომ ქვეყნის სათავეში მათთვის სასურველი კანდიდატურა მოეყვანათ. ახალი ხელისუფლების ძალისხმევით გაგრძელდა საზეიმო სვლა ნატოსკენ.

**დათა თუთაშხიას გმირისა არ იყოს, თითქოს ერთი კაცის მოფიქრებული იყო, როცა საქართველოსა და უკრაინის კონსტიტუციაში ერთნაირი ჩანაწერი გაჩნდა – მთავარი მიზანი ნატოსკენ სწრაფვააო.**

**— ამის გამო რუსეთი უკრაინაში უნდა შეჭრილიყო?**

— რუსეთის უკრაინაში შეჭრა დასავლური პროპაგანდაა, რასაც ჩვენი სატელევიზიო არხებიც არიან აყოლილი. არადა, აქ მოვლენების მთელი ჯაჭვია. ჯერ მოხდა რუსული ენის შევიწროება. იყო რუსული სამყაროსგან უკრაინის ჩამოშორების მცდელობაც. ბზეჟინსკი ჯერ კიდევ 30 წლის წინათ წერდა — **თუ რუსეთს უკრაინა არ ჩამოშორდება, რუსეთი ევრაზიულ იმპერიად დარჩება, თუ ჩამოვაშორებთ, აზიური იმპერია იქნებაო.**

დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების რესპუბლიკებად გამოცხადება რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების ფონზე მოხდა, რაც ბოლოს რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარებით დასრულდა ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში. **მარიუპოლი,** რომელიც დღეს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, ძველი დაყოფით სწორედ დონეცკის ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედიოდა.

**დღეს არამხოლოდ სამხედრო, არამედ ფეიკების ომიც მიდის! ადრე მხოლოდ სააკაშვილის ფეიკებს ვადევნებდით თვალს, ახლა მსოფლიო ფეიკებს ვუყურებთ.**

**— რა არის ფეიკი, ის რომ რუსები უკრაინის ქალაქებს, დასახლებულ პუნქტებს ბომბავენ?**

— ორ დაზუსტებულ ინფორმაციას გეტყვით.

**ნაციონალების მომხრე ტელევიზიები ორი დღე აჩვენებდნენ კიევის დაბომბვის კადრებს, რაც ბუნებაში არ არსებობდა. ეს იყო 2019 წლის ღაზას სექტორის დაბომბვის კადრები. ისრაელიდან მაშინვე მოიწერა ხალხმა – რას ავრცელებთ, ეს სამი წლის წინანდელი კადრებიაო!!!**

ბეირუთის დაბომბვა ხარკოვის დაბომბვის კადრებად გაასაღეს. ამის დამადასტურებელი ფაქტებიც არის. რაც შეეხება სამშობიაროს დაბომბვის შემდეგ გავრცელებულ ცნობილ ფოტოს, ცარიელი ყაზარმის დაბომბილი შენობის წინა პლანზე არის ჩასმული ფეხმძიმე გოგონას სურათი — ცნობილი უკრაინელი **ბიუთი ბლოგერი.** როგორ ფიქრობთ, რეალურია სამშობიაროში ერთი ორსული ყოფილიყო და ისიც უკრაინელი ბიუთი ბლოგერი?! **ნაციონალური მოძრაობის მომხრე ტელევიზიები სრულიად არარეალისტურ სურათს აჩვენებენ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკრაინაში არაფერი ხდება, ერთი ბავშვიც რომ დაიღუპოს, საშინელებაა!**

ცხადია, ყველა ადამიანი სოლიდარულია უკრაინისადმი, ეს ყველაფერი გამოვლილი გვაქვს და ვიცით, რა საშინელებაცაა, მაგრამ ნაციონალები ხალხის ბუნებრივ სოლიდარობას საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ. თავად ჩაუდგნენ მიტინგებს სათავეში და პოლიტიკურ პროცესში გადაიყვანეს, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ როგორმე რუსეთის აგრესია გამოიწვიონ და საქმე სამხედრო ჩარევამდე მივიდეს. მათი ვარაუდით, მხოლოდ ამ გზით თუ შეძლებენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. ამიტომაც ჩასჩურჩულებენ ყურში ზელენსკის — დაძაბე საქართველოსთან სიტუაცია, გამოიწვიე ელჩი, იქნებ, მეორე ფრონტი გაიხსნას და თქვენც შვება იგრძნოთო. ჩვენ რომ სანქციებს შევუერთებოდით, ქვეყანა კოლაფსში ჩავარდებოდა!

**— მიუხედავად რუსეთის აგრესიისა, მაინც იმ აზრზე ხართ, რომ ჩვენი სწრაფვა ნატოსკენ შეცდომაა?**

— ეს შეკითხვა ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებს უნდა დაუსვათ, რომლებიც შავით თეთრზე აცხადებენ, რომ ნატოში ჩვენი გაწევრიანება ჯერ ვერ მოხდება. მათ არ სჭირდებათ ალიანსში ტერიტორიული კონფლიქტების იმპორტი. ასე რომ, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ვინ გვიშვებს ნატოში? ზელენსკი ამას ახლა მიხვდა!

არსებულ რეალობაში ერთადერთი გამოსავალია — ნეიტრალიტეტი! ეს არ ნიშნავს ვინმესთან კონტაქტის გაწყვეტას. შეგვიძლია, ნატოსთანაც ვითანამშრომლოთ, მისიებში და წვრთნებშიც მივიღოთ მონაწილეობა, ოღონდ ეს საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს. საზოგადოების გასაგონად კიდევ ერთხელ განვმარტავ — **ნეიტრალიტეტის შემთხვევაში საქართველოში არცერთი ქვეყნის შეიარაღებული სამხედრო ბაზა არ იქნება.** დიახ,

**არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, ჩვენი პატარა ქვეყანა, რომელსაც მოკვეთილი კიდურებივით აქვს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ზესახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონი გახდეს, თორემ აღვიგვებით პირისაგან მიწისა და აქ სულ სხვა ხალხი დასახლდება.**

**— ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების პოზიცია როგორია? თქვენი აზრით, საით მიჰყავს ქვეყანა?**

— ოპოზიციაში ყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას ყველაფერზე კრიჭაში ჩაუდგე. ირაკლი ღარიბაშვილმა სწორი ნაბიჯი გადადგა, საქართველო სანქციებს რომ არ მიუერთა, მაგრამ ვისურვებდი მეტი გაბედულობა გამოიჩინოს და თავად დაიწყოს ნეიტრალიტეტზე საუბარი.

**— შეიძლება თქვენი ამ განცხადებების შემდეგ აგრესორი რუსეთის მხარდამჭერად შეგრაცხონ?!**

— იმდენი რამ გამოვიარე და იმხელა ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს, ასეთ სულელურ შეფასებებს ყურადღებას აღარ ვაქცევ. **ნანა დევდარიანი რუსეთს კი არა, საკუთარ სამშობლოს უჭერს მხარს!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***






**„ცარიელი ყაზარმის დაბომბილი შენობის წინა პლანზე არის ჩასმული ფეხმძიმე გოგონას სურათი — ცნობილი უკრაინელი ბიუთი ბლოგერი. როგორ ფიქრობთ, რეალურია სამშობიაროში ერთი ორსული ყოფილიყო და ისიც უკრაინელი ბიუთი ბლოგერი?!“**

***სტალინმა ყველა ხალხი — ერი თანასწორად გამოაცხადა. ქართული ნაციზმი ისევე, როგორც უკრაინული, ყოველთვის არსებობდა, უბრალოდ, ნაცისტები „კაგებეს“ შიშით სოროებში იმალებოდნენ. გასულ საუკუნეში ნაციზმმა თავი წამოსწია გერმანიაში, მაგრამ სტალინმა გერმანელი ფაშისტები გაანადგურა. დღეს დასავლეთმა უკრაინასა და საქართველოში ნაცისტები სოროებიდან გამოიყვანა, რათა გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვებისთვის დაესაჯა რუსეთი და სტალინის სამშობლო — საქართველო.***

აშშ, რომელიც ფორმალურად გმობს რასიზმს და ქსენოფობიას, მოხარულია, რომ **საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა დღეს ბულინგის მსხვერპლია ერთი მუჭა ნაცისტების მხრიდან, რომლებსაც შტატები ასობით მილიონი დოლარით აფინანსებენ!** ნაცისტებს ეროვნება არა აქვთ, **ქართველი ნაცისტები — ნაცები** — ქართველები მარტო ეთნიკურად არიან. **სააკაშვილის აფთრების ხროვით დაკომპლექტებულია თითქმის მთელი ოპოზიცია და ყველა მსხვილი ტელეკომპანია.** მხდალი იმპოტენტი ქართველი ნაცისტები, ნაცვლად იმისა, რომ ფიზიკური შრომით დაკავდნენ (გონებრივის უნარი არ შესწევთ), მთელი დღეები კომპიუტერის კლავიატურაზე აკაკუნებენ — იკაწრებიან და იფურთხებიან, ისტერიული მეძავებივით ცისფერი ეკრანიდან იტყლარჭებიან, რადგან პირში თქმის ეშინიათ; **და, უბრალოდ, „აკაკუნებენ“, როგორც მათი ჩამშვები მამები — „კაგებეს“ ცნობილი „ნასედკები“.**

ქართველი ნაცისტები, რომელთა უმეტესობა კაშკაშა ჰომოსექსუალია, კაფეებისა და რესტორნების ვიტრინებზე წერენ — **„რუსეთის მოქალაქეებს არ ვემსახურებით“,** როგორც უწინ წერდნენ ამერიკაში — **„მხოლოდ თეთრკანიანებისთვის“. უკვე ცხადია, რომ წელსაც საქართველოში ტურისტული სეზონი ჩავარდება ისევე, როგორც შარშანწინ, როცა ნაცები რუსეთის დუმის დელეგაციას ფიზიკურად გაუსწორდნენ!** ხოლო ნაცისტი ქალი-ნაციონალი **მახატია დეკანოიძე** უკრაინულ ტელეეთერში საქართველოს უთხრის ძირს! **ეს არ არის მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაული, ეს არის საბოტაჟი, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს ეკონომიკას, და, მაშასადამე, საფრთხეს უქმნის საქართველოს უსაფრთხოებას, ამიტომაც კანონით უნდა დაისაჯოს!**

ქართველი ნაცისტები პოლიციელებს სახეში „კეტჩუპს“ ასხამენ, ფქვილს აყრიან, ტუალეტის ქაღალდს ესვრიან! საღებავებს ესვრიან და აზიანებენ ტურისტების ავტომანქანებს, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ ნებისმიერს, ვინც გაბედავს რუსულად ლაპარაკს ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში. **უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ქართველი ნაცისტები, მათ შორის — მარიხუანის ბოლში გახვეული ახალგაზრდა ქართველი გოგონები, ყოველდღე კეტავენ თბილისის მთავარ გამზირს, სადაც ჩამორიგებული ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ აგინებენ რუსებს!**

მივმართავ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელებს: **საქართველოში ყველა მსხვილი ტელეკომპანია, „იმედის“ ჩათვლით, ახორციელებს ნაცისტურ პროპაგანდას, აღვივებს ერთაშორის შუღლს და უბიძგებს ქართველებს, გაუსწორდნენ რუსებსა და ყველას, ვინც ნაცისტებს არ ეთანხმება!** არადა, ნაცისტ პროვოკატორებს არ ეთანხმება საქართველოს მოქალაქეების დიდი უმრავლესობა, რომელსაც ნაცები რუსეთუმეებს უწოდებენ!

**ჩვენ სამი მილიონი ვართ, რა ვქნათ – წავეთრიოთ საქართველოდან, როგორც გვიბრძანებენ ადგილობრივი ნაცისტები, რომლებიც თავიანთ ლიდერებთან ერთად ორი ათასსაც არ აჭარბებენ?! როდის გაუთიშავთ ნაცებს ტელეეთერს?! როდის იქნება ამ სექტანტების გურუ სააკაშვილი საბოლოოდ იზოლირებული საზოგადოებისგან?!**

სახელმწიფო გადატრიალების მოწოდებები და შეკრებები მისი სახელობის ბიბლიოთეკაში ქართველი საზოგადოებისთვის ნამდვილად შეურაცხმყოფელია!

**ბიძინა ივანიშვილს** თქვენზე ბევრად მეტი ჰქონდა დასაკარგი, მაგრამ მან გარისკა საკუთარი თავი, ოჯახი, მილიარდები და გაათავისუფლა საქართველო სააკაშვილისგან, თუმცა, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეეძლო, ბედნიერად ეცხოვრა! როგორც აღმოჩნდა, ბოლომდე არა... **პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა, რომლის წყალობითაც დღეს საქართველომ არ გაიზიარა უკრაინის ბედი, ივანიშვილის მიერ დაწყებული საქმის დასასრულებლად საკუთარი თავი და ოჯახი დარტყმის ქვეშ დააყენა.** „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **კობახიძემ** უშიშრად განაცხადა, რომ ნაცისტების წინააღმდეგ პრევენციული ზომები გატარდება!




**არნო ხიდირბეგიშვილი**

# ქართველი ნაცისტები გერმანელი ფაშისტებისა და ამერიკელი რასისტების ბედს გაიზიარებენ!

**მერედა, სად არის ეს პრევენციული ზომები?! რას ელოდებით?! სანამ ნაცისტები სვასტიკით არ დაიწყებენ მსვლელობას ქუჩებში ან პირველ მსხვერპლამდე, როგორც ამას იმუქრებიან სოცქსელებში?!**

ან ეგებ ელოდებით რუსეთის არმიის შემოსვლას საქართველოში? იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გაძლიერებულად ახდენენ რუსეთის პროვოცირებას ქართველი ნაცისტები, დიდხანს ლოდინი არ მოგვიწევს...

**ბატონო ძალოვნებო, თუ თქვენ არ შეგწევთ ძალა, შეასრულოთ თქვენი სამსახურებრივი მოვალეობები, ამას თქვენ ნაცვლად ქართველი ხალხი გააკეთებს და ქართველი ნაცისტები გაიზიარებენ გერმანელი ფაშისტებისა და ამერიკელი რასისტების ბედს, რომელთა შთამომავლები დღეს ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის ქუჩებში აფროამერიკელებს ფეხებს უკოცნიან!**





**უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ქართველი ნაცისტები, მათ შორის – მარიხუანის ბოლში გახვეული ახალგაზრდა ქართველი გოგონები, ყოველდღე კეტავენ თბილისის მთავარ გამზირს, სადაც ჩამორიგებული ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ აგინებენ რუსებს!**

## კვირგვინოსნები

**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



**რა ტურისტები, ხალხო, რა ტურისტები?!** რა დროებით და რა საცხოვრებლად ჩამოსვლა, ვერ ხვდებით, რა ხდება?! ვინც რუსეთის და, ზოგადად, იმპერიების ხასიათს იცნობს, ძალიან კარგად ხვდება, რას ნიშნავს ამ **„პუტინზე განაწყენებულების“** მასობრივი ჩამოსვლა! ამიტომ ხალხი აბსოლუტურად მართალია, როცა მათ სახლის კარს არ უღებს! თუ ვინმეს ნათესავი ან მეგობარი ჰყავს, დაპატიჟოს და თავისთან აცხოვროს, მაგრამ **ეს „გადამფრენი ფრინველები“ თუკი აქ დაიბუდებენ, უნდა გვახსოვდეს, რომ „ცივ ქვეყანაში“ აღარ გაფრინდებიან — აქ გადმოიტანენ იმ ქვეყანას!**

„ალია“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**საბჭოთა რეჟიმის აღდგენა,** პირველ რიგში, მოგვცემდა შესაძლებლობას, რომ გაგვეგო, ვინ შემოდის, რა მიზნით შემოდის. **პუტინის ემისრები შემოდიან, დივერსანტები თუ ადამიანები, რომლებიც მართლა გამოექცნენ პუტინის რეჟიმს.** ამიტომ მე ერთმნიშვნელოვნად მომხრე ვარ, აღდგეს საბჭოთა რეჟიმი.

„ახალი თაობა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ჩვენი ხელისუფლება უყურებს სიტუაციას და ვინც გაიმარჯვებს, იმის მხარეს იქნება. **თუ გაიმარჯვებს უკრაინა,** გააგრძელებენ ყვირილს, ნატოს გაუმარჯოსო, **თუ რუსეთი გაიმარჯვებს,** იტყვიან, რომ გაუმარჯოს წითელ არმიას.

„ახალი თაობა“

**ჯიმ რიში**
*ამერიკელი სენატორი*



**დროა, დავარტყათ ჩაქუჩი. მთლიანად დავხუროთ ეკონომიკა რუსეთში.**

„ახალი თაობა“



„გარყვნილთა სექტის პარპაში მსოფლიოში მთავრდება!“

# „2008 წელს, როცა რუსეთი გვჯიჯგნიდა, უკრაინა რუსეთთან ვაჭრობდა, რუსეთში ბიზნესსაც აკეთებდა და ჩვენი გულისთვის თავი არ მოუკლავს!“

## ედიშერ გვენეტაძე:

# რომ არა ირაკლი ღარიბაშვილი, აქაური და უკრაინელი ნაცები საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრევდნენ, რაც ჩვენი სამშობლოს დასასრული იქნებოდა!



*ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს უკრაინაში ატეხილი საშინელი ომის ფონზე მიმოიხილავს და მიიჩნევს, რომ სააკაშვილმა და მისმა ხროვამ მას შემდეგ, რაც თავდაპირველი ჩანაფიქრი ჩაეფუშათ, სამარქაფო გეგმა აამოქმედეს და სასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებული პანიკის უკანაც ნაცები დგანან:*

— მოდით, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი და ვთქვათ, რომ უკრაინაში **მესამე მსოფლიო ომი** დაიწყო. დედამიწაზე თითქმის არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ამ ომში არ მონაწილეობს. ჩემი აზრით, მესამე მსოფლიო ომის მიზეზი ის არის, რომ ბოლო 30 წელია, იმდენი ყურადღება სახელმწიფოს უსაფრთხოებას არ ექცეოდა, რამდენიც ლიბერალურ დემოკრატიებსა და ლგბტ თემის უფლებების დაცვას. უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, **ვიღაც „ქესარიას“ მკერდისა და უკანალის ოპერაციაზე უფრო მეტად ფიქრობდნენ სახელმწიფოს ლიდერები და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, ვიდრე სახელმწიფოებრივ პრობლემებზე!**

**— ბატონო ედიშერ, ანუ მესამე მსოფლიო ომამდე კაცობრიობა ზნეობრივმა დეგრადაციამ და გახრწნილებამ მიიყვანა?**

— დიახ, ზუსტად ეგ არის მიზეზი, მაგრამ სულ მალე ჩვენ დავინახავთ, რომ დედამიწა მნიშვნელოვნად შეიცვლება. რასაც აქვს დასაწყისი, იმას აუცილებლად ექნება დასასრული... უკრაინელები ძალიან მეცოდებიან და ვწუხვარ, რომ ამ უბედურებას სრულიად უდანაშაულო ადამიანები, ბავშვები ეწირებიან, მაგრამ გლობალურად თუ შევხედავთ, უაღრესად საინტერესო პროცესებთან გვაქვს საქმე. **აშკარაა — გარყვნილთა სექტის პარპაში მსოფლიოში მთავრდება!** მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკოსი პრეზიდენტი **რონალდ რეიგანი** ამბობდა — **თუ ამერიკაში ოდესმე ფაშიზმი შემოაღწევს, იცოდეთ, რომ ის აუცილებლად მოვა ლიბერალიზმის სახით!**

სწორედ ლიბერალ-ფაშისტებმა დაიმონეს მთელი მსოფლიო და სადაც კი შეაღწიეს, წმინდა აღარაფერი დატოვეს. მაგალითად, საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრი **გია ნოდია,** რომელიც თავის თავს რატომღაც ლიბერალს უწოდებს, სინამდვილეში გამოკვეთილი ფაშისტია! აი, მისი ფაშისტური განცხადებაც — **„სანამ ჩამოვყალიბდებოდეთ, რა ვუყოთ აქ ჩამოსულ თუ მცხოვრებ რუსებს, ერთი მარტივი, პრაქტიკული რჩევა შეგვიძლია, მივცეთ — იარონ უკრაინის ან საქართველოს სიმბოლიკით და მოერიდონ რუსული ენის გამოყენებას! თუ არადა, ძალიანაც არ უნდა გაუკვირდეთ, თუ აგრესიის მსხვერპლი გახდებიან!“** მგონი, ამის შემდეგ ყველაფერი გასაგებია... ვაცხადებ კატეგორიულად: საქართველოში სააკაშვილი შემთხვევით არ შემოსულა!

**— დააკონკრეტეთ — რისთვის შემოიყვანეს?**

— სააკაშვილი შემოიყვანეს, რათა ის უჩუმრად მისულიყო ნაცების მიერ დაგეგმილ მიტინგზე, ასულიყო ტრიბუნაზე და პიკურ სიტუაციაში დაახლოებით 20-30 ათასი კაცი დაეძრა ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, **მას უნდა მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება, აეღო ძალაუფლება და ამის შემდეგ დალოდებოდა შესაფერის მომენტს, რათა უკრაინაში ატეხილი ომის პარალელურად მეორე ფრონტი გაეხსნა რუსეთის წინააღმდეგ და საქართველოც ჩაეთრია ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში!**

**— ფაქტია, რომ სააკაშვილისა და მისი პატრონების ეს გეგმა ჩავარდა, ახლა რას გეგმავენ?**

— ახლა სააკაშვილი არის ყოველმხრივ გაკოტრებული და უკაცრაული პასუხია, გაბანძებული... ვის სჯეროდა იმის, რომ სააკაშვილი შიმშილობდა? მაგრამ იმდენად ურცხვი და ტუტუცია, ახლა ასეთი რამ გამოიგონა — **უკრაინელმა მთავარსარდლებმა მითხრეს, შენი რჩევები გვჭირდება, ცოცხალი გვჭირდები, ამიტომაც შიმშილობა შეწყვიტე და მეც ვწყვეტ შიმშილობასო!** უკრაინელ მებრძოლებს, რომლებიც სამშობლოს იცავენ, დავიჯერო, სააკაშვილი ადარდებთ? დიახ, სააკაშვილსა და მის პატრონებს გეგმა ჩაუფლავდათ, მაგრამ ახლა ეს ყოველმხრივ გაბანძებული კაცი ცდილობს, ციხიდან გამოგზავნილი წერილებით არიოს მონასტერი, ჩაითრიოს ქვეყანა რუსეთთან ომში და მერე მღვრიე წყალში თევზი დაიჭიროს!

პანიკის უკან, რომელიც სასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებით არის შექმნილი, ნაცები დგანან! დიახ, პანიკას ხალხში სწორედ ეს „მეხუთე კოლონა“ თესავს, რომელიც ძალიან არის დაინტერესებული საქართველოში სიტუაციის არევით. ამ სამარცხვინო სექტას სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა ის, რომ ქვეყნის დამცველ პოლიციელებს ტუალეტის ქაღალდები ესროლოს, ფქვილი შეაყაროს და კეჩუპი შეასხას. ამ ბინძურ კამპანიაში ჩართული არიან **ნანუკა ჟორჟოლიანის ქალიშვილი მარიამ გეგუჩაძე,** რუსეთის აგენტი და „მგიმოს“ კურსდამთავრებული **ელენე ხოშტარია,** რომლის მამამაც პირველ პრეზიდენტს უღალატა და ზარბაზანი ესროლა და ასევე მთელი ნაცსექტის „შაიკა“, მათ შორის **გიგა მაქარაშვილიც,** რომელიც მინდია გულუას პრესსპიკერი იყო და გორში ნეხვით სავსე ვედრო თავზე ჩამოაცვეს!



**— ვინ შემოგვიგდო სააკაშვილი საქართველოში?**

— სააკაშვილის უახლოეს წრეს წარმოადგენდა კრემლის აგენტი, **მგიმოელი გრიგოლ ვაშაძე,** რომელიც სააკაშვილის ლოცა-კურთხევით საპრეზიდენტო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. სააკაშვილის ხაზინადარია კრემლის აგენტი და ასევე რუსული **მგიმოს** კურსდამთავრებული, სერგეი გენერალოვის ხელისბიჭი **კობა ნაყოფია,** რომელიც დღეს, ფაქტობრივად, მართავს ნაცმოძრაობას.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილმა მხარი დაუჭირა რუსეთის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. იმავე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა რუსეთის პასპორტიანი აგენტი **გრიგოლ ვაშაძე,** რომელიც ერთი თვის შემდეგ რუსეთს ეხვეწებოდა — ნება დაგვრთეთ და საქართველო კრემლში კონცერტებს ჩაატარებსო!

**ომიდან ცოტა ხანში სააკაშვილის წარმომადგენლებმა ევროსაბჭოში ხელი მოაწერეს №1633 რეზოლუციას და თქვეს, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს საქართველომ ცხინვალი დაბომბა კასეტური ბომბებით და რუსეთი მხოლოდ ამის შემდეგ შემოიჭრა საქართველოში!** 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილმა რუსეთს გადაულოცა მთელი საქართველოს ენერგოსისტემა, ხოლო ახლა რასაც ცდილობს თავის ხროვასთან ერთად, მთელი ქვეყანა ხედავს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მაშინ, როცა რუსეთს ძალიან უნდა, საქართველო კიდევ ერთხელ მოტყუვდეს და ომში ჩაებას, განა ძნელი მისახვედრია, თუ ვინ შეაგდო სააკაშვილი მაცივარში? გამოვიდა ბრიტანეთის ელჩი და თქვა — საქართველო აკეთებს მაქსიმალურს და ყველაფერს, რაც ბევრ ქვეყანას უკრაინისთვის არ გაუკეთებიაო! მიუხედავად ყველაფრისა, ესენი, ეს ნაძირალები, გამოდიან, ხელისუფლებას ლანძღავენ და გაიძახიან — **გვრცხვენია, რომ ქართველები ვართო!**

**— ამ ყველაფრის ფონზე რატომ იქცევიან ასე უკრაინის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები და საქართველოს ხელისუფლებას რატომ ლანძღავენ? ნაცსექტანტ დავით არახამიაზე რომ არაფერი ვთქვათ, ახლა უკვე რადას სპიკერმაც მოიცალა ჩვენთვის...**

— 2008 წელს, როცა რუსეთი გვჯიჯგნიდა, მახსოვს, უკრაინის ხელისუფლებას არც საპარლამენტო და არც სამთავრობო დონეზე საქართველოსთვის, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია. უკრაინა რუსეთთან ვაჭრობდა, რუსეთში ბიზნესსაც აკეთებდა და ჩვენი გულისთვის თავი არ მოუკლავს! ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს და უკრაინელ ხალხს გვერდით ვუდგავართ. დიახ, უკრაინელი ხალხი ნამდვილად არ არის უკრაინის ხელისუფლება, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სააკაშვილის დამნაშავე ხროვის წევრებს კიევში იფარავდა და დღესაც იფარავს. ორი გვამის შემკვეთი ვანო მერაბიშვილი დღეს, თურმე, უკრაინაში ჰააგის ტრიბუნალისთვის იმას იკვლევს, სამხედრო დანაშაულს ხომ არ აქვს ამ საშინელ ომში ადგილი! ეს სამარცხვინოა ისევე, როგორც ამ მართლაცდა უსამშობლო კაცის, **დავით არახამიას** საქციელი, რომელმაც ქართული არ იცის და იმ ხალხის ენაზე მოგვმართავს და შეურაცხყოფას გვაყენებს, რომელიც უკრაინას მიწასთან ასწორებს!

პირდაპირ გეუბნებით, **რომ არა ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც ყველაზე მძიმე დარტყმები თავის თავზე აიღო, სახელმწიფოებრივად მოიქცა და ქართველ ერს სიმართლე უთხრა, აქაური და უკრაინელი ნაცები საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრევდნენ, რაც ჩვენი სამშობლოს დასასრული იქნებოდა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

### „საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრი გია ნოდია, რომელიც თავის თავს რატომღაც ლიბერალს უწოდებს, სინამდვილეში გამოკვეთილი ფაშისტია!“

## კვირგვინოსნები

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ვრეკავ პარასკევს** „თიბისი ბანკში“, ვეკითხები რუსეთის მოქალაქეებზე ანგარიშების გახსნის შესახებ. პასუხია, რომ არ უხსნიან. **ვრეკავ ორშაბათს,** ვეკითხები იმავეს. პასუხია, რომ უხსნიან, ოღონდ ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიხედვით, ანუ ზოგს — კი, ზოგს — არა. თუ რა კრიტერიუმებით მოხდება ეს, არ ვიცით. უნდა ვივარაუდოთ, რომ **„თიბისი ბანკმა“ ყველა ფილიალში სიცრუის დეტექტორი დადგა და ვინც პუტინ ხუილოს იტყვის, ხმის ტემბრისა და გულისცემის მიხედვით დაადგენს, ნამდვილი ანტიპუტინისტია თუ იტყუება.**

„აიპრესი“

**დავით კირკიტაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ამ ხელისუფლებასთან ბრძოლა რთული არ არის.**

„ახალი თაობა“

**გიორგი კანდელაკი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



საქართველო არ უნდა იქცეს **ხვრელად** რუსეთის სანქციებისგან თავის ასარიდებლად.

„ახალი თაობა“

# „საქართველოს არავითარი რესურსი არ გააჩნია, რუსეთს ეკონომიკური ზიანი მიაყენოს!“



## პეტრე მამრაძე:

# უკრაინის ელჩის გაწვევა არის კიევსა და თბილისში მყოფი ნაცების ერთობლივი პროვოკაცია!

*ნაციონალური მოძრაობა, ვითომდა უკრაინის მხარდაჭერის სოუსით, მარგინალური აქციების გამართვას აგრძელებს. მაგალითად, გასულ კვირას, მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან, სააკაშვილის სექტის წარმომადგენლებმა ქართველ პოლიციელებს ფქვილი შეაყარეს და ტუალეტის ქაღალდები ესროლეს, რასაც რამდენიმე მათგანის ადმინისტრაციული წესით დაკავება მოჰყვა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა კი განაცხადა, რომ სამართალდამცავთა შეურაცხყოფა არავის ეპატიება და ყველა მკაცრად დაისჯება. რა მიზანი ამოძრავებთ პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებულ ნაცებს და რა შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ მოწყობილ პროვოკაციებს? ამ თემაზე საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, „მართვის სტრატეგიული ინტიტუტის“ ხელმძღვანელს, ანალიტიკოს პეტრე მამრაძეს ვესაუბრებით:*

— რასაც ნაცები აკეთებენ, ეს არის უბინძურესი პროვოკაცია — ე.წ. **გავრილოვის ღამის მსგავსი სპექტაკლი,** რომელიც მათ 2019 წელს რუსეთის „ფეესბესთან“ ერთად მოაწყვეს. შეგვიძლია, გავიხსენოთ ჟურნალისტ **გიორგი გაბუნიას** ცნობილი ტელემონოლოგიც, როცა მან რუსეთის პრეზიდენტს პირდაპირი ტექსტით მიაყენა პირადი შეურაცხყოფა და მკვდარი მშობლების საფლავებიც კი შეუგინა. სხვათაშორის, **გაბუნიას ეს გამოსვლა ობიექტურმა რუსმა ანალიტიკოსებმაც კრემლიდან ნაკარნახევ პროვოკაციად შეაფასეს.**

**— რა შეიძლებოდა, მომხდარიყო, თუ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს შეუერთდებოდა და უკრაინაში რუსეთთან საომრად მოხალისეებს ჩარტერული რეისით გაგზავნიდა?**

— სრულიად ცხადია, რომ **საქართველოს არავითარი რესურსი არ გააჩნია, რუსეთს ეკონომიკური ზიანი მიაყენოს! სამაგიეროდ, თუ სანქციებს შევუერთდებოდით, ამით ჩვენსავე ეკონომიკას მივაყენებდით სერიოზულ ზიანს!** საერთოდ, რაზე ვლაპარაკობთ, როცა რუსეთისათვის დაწესებულ სანქციებს ჩვენზე ბევრად დიდი და ძლიერი სახელმწიფოები, მათ შორის, ნატოს წევრი თურქეთი და ნატოსა და ევროკავშირის წევრი უნგრეთიც კი არ შეუერთდნენ!

**წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, თბილისის აეროპორტიდან აფრენილ თვითმფრინავს უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველი „ბოევიკები“ რომ ჩაესხა? ეს კადრები მთელ მსოფლიოს მოივლიდა და არამარტო რუსეთში, არამედ ყველგან გაკეთდებოდა შეფასება, რომ საქართველო, როგორც მხარე, რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტში ჩაება!** ამას ნატოს წევრი ქვეყნებიც კი ვერ ბედავენ და საქართველოს რომ გაებედა, შედეგსაც შესაბამისს მივიღებდით!

**— კერძოდ?**

— მაგალითად, **პუტინს მიეცემოდა საბაბი, ხელი მოეწერა დეკრეტისათვის, რომლითაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთდებოდა.** ეს დეკრეტი მისი თანხმლები ყველა დოკუმენტით კრემლში კარგა ხანია, დევს, რაც პუტინის ადმინისტრაციასთან დაახლოებულმა პირებმა პირად საუბრებში არაერთხელ დამიდასტურეს.

გარდა ამისა, **შეიძლებოდა, ოკუპირებული აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან და სომხეთის ტერიტორიიდან — გიუმრიდან რუსეთის სამხედრო ნაწილები დაძრულიყვნენ ახალქალაქისა და ვაზიანის მიმართულებით, რათა ის ტერიტორიები დაეკავებინათ, სადაც ადრე მათი ბაზები იყო განლაგებული.**

**— დავიჯეროთ, ნაციონალური მოძრაობა შეგნებულად ცდილობს, საქართველო ამ დონის უბედურებაში გახვიოს?**

— ნაცები მოქმედებენ პრინციპით — **„რაც უარესი, მით უკეთესი“**, ანუ რაც უფრო დიდი უბედურება დაატყდება საქართველოს, მათთვის უკეთესია, რადგან ყველაფერს ხელისუფლებას დააბრალებენ და მის დამხობას ეცდებიან!

**— უკრაინის პრეზიდენტის მიერ საქართველოდან ელჩის გაწვევაც პროვოკაციის ნაწილია?**

— დიახ, უკრაინის ელჩის გაწვევა არის კიევსა და თბილისში მყოფი ნაცების ერთობლივი პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ. მოგეხსენებათ, დღეს უკრაინაში იმყოფებიან და საკმაოდ დიდი გავლენებით სარგებლობენ **ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი** და მისი ყოფილი მოადგილე **გია ლორთქიფანიძე,** რომელიც სააკაშვილს დაეხმარა, საქართველოში არაყნებთან ერთად შემოპარულიყო. გარდა ამისა, უკრაინაში გავლენიანი კავშირები აქვთ **ხატია დეკანოიძესა და ეკა ზღულაძეს,** რადგან პირველს 2015-2017 წლებში უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროსის თანამდებობა ეკავა, ხოლო მეორე 2014-2016 წლებში უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა.

საერთოდ, **ნაციონალური მოძრაობა არის თავიდან ბოლომდე ანტიქართული, ანტიეროვნული ძალა, რომელიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ პროვოკაციების მოსაწყობად ყველანაირ საბაბს იყენებს და თუ ეს საბაბი არ არსებობს, თავად იგონებს მას.**

**— ნაციონალური მოძრაობა თავისი პროპაგანდისტული საშუალებების გამოყენებით ახერხებს, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში შექმნას წარმოდგენა, თითქოს საქართველოს ხელისუფლება უკრაინას მხარს არ უჭერს და მეტიც, რუსეთის მხარეს დგას! ამის საპირისპიროდ რისი თქმა შეგიძლიათ?**

— საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინის მხარდასაჭერად გააკეთა ის, რაც ბევრ ქვეყანას არ გაუკეთებია — **ხმა მისცა გაეროს რეზოლუციას, რომელიც გმობს რუსეთის შეჭრას უკრაინაში, მხარი დაუჭირა რუსეთისათვის უფლებამოსილების შეჩერებას ევროსაბჭოში და შეუერთდა დასავლეთის ქვეყნების სარჩელს რუსეთის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში.** აღარაფერს ვამბობ ჰუმანიტარულ დახმარებაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნიდან უკრაინაში უწყვეტ ნაკადად მიედინება.

საგულისხმოა, რომ იმ ფონზე, როცა ნაციონალური მოძრაობა და მისი პროპაგანდონები საქართველოს ხელისუფლებას უკრაინისადმი არასაკმარის მხარდაჭერაში სდებენ ბრალს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა **კელი დეგნანმა** ორჯერ განაცხადა — საქართველომ ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე უკრაინის მიმართ მკაფიო და გულწრფელი მხარდაჭერა გამოხატაო!

მოკლედ, ნაცებისა და მათთან დაკავშირებული ელემენტების უბინძურესი პროვოკაციების მიუხედავად, ხელისუფლებამ მოახერხა, საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ინტერესები და ღირსება დაეცვა ისე, რომ წითელი ხაზები არ გადაეკვეთა და არ გადაედგა ნაბიჯები, რომლებიც საქართველოს ძვირად დაუჯდებოდა.

**— ბოლო დღეების განმავლობაში აჟიოტაჟია ატეხილი იმასთან დაკავშირებითაც, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეები დიდი რაოდენობით შემოდიან. როგორ ფიქრობთ, ეს ქართული სახელმწიფოსათვის საფრთხის შემცველია?**

— რუსეთის მოქალაქეების შემოსვლაში ამ ეტაპზე ვერავითარ საფრთხეს ვერ ვხედავ! როგორც ვაკვირდები, ესენი არიან ინტელიგენტი ადამიანები, რომლებიც მხარს არ უჭერენ კრემლის აგრესიას უკრაინაში და არ ექვემდებარებიან რუსულ პროპაგანდას, რომლის მიხედვითაც პუტინი „უკრაინის გადარჩენის ოპერაციას აწარმოებს“.

ასე რომ, **ნაცებმა, თავიანთი სრულიად გამარგინალებული ბელადის — სააკაშვილის თაოსნობით, რამდენიც უნდათ, იმდენი იყვირონ. მთავარია, საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით სწორად და შექმნილი ვითარების ადეკვატურად მოქმედებს!** შესაძლოა, მთავრობის წარმომადგენელთა ზოგიერთ განცხადებაში რაღაც არ მოგვეწონოს, ფრაზები არასწორად იყოს დალაგებული, მაგრამ ქმედებების დონეზე შეცდომა ჯერ არ დაუშვიათ და, იმედია, ასეც გააგრძელებენ!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**



## „გაბუნიას ეს გამოსვლა ობიექტურმა რუსმა ანალიტიკოსებმაც კრემლიდან ნაკარნახევ პროვოკაციად შეაფასეს!“

## კვირგვინოსნები

**გიორგი კევანიძე**
*ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი*



**თუკი ეს ომი დიდხანს გაგრძელდა, ეს ჩვენს ტურისტულ ინდუსტრიას მნიშვნელოვნად დაარტყამს.** უმეტესწილად ჩვენ კვლავაც დსთ-ის ქვეყნებზე ვიყავით დამოკიდებული, საიდანაც ტურისტები შეგვიმცირდება. **ევროპელი ტურისტები კი თავს აარიდებენ იმ რეგიონში ჩამოსვლას, სადაც იციან, რომ კონფლიქტის საფრთხე არსებობს.**

„კვირის პალიტრა“

**ფრიდონ ინჯია**
*„ევროპელი სოციალისტების“ წევრი*



**თუ ჩვენ დროზე არ მივიღეთ ზომები, შეიძლება ხორბლის, საწვავის გარეშე დავრჩეთ.** ხომ არ დადგა დრო, როგორც ეს გააკეთა თურქეთმა და სხვა ქვეყნებმა, მათ შორის, ჩინეთმა, **МИР-ის სისტემას შევუერთდეთ?!**

„ინტერპრესნიუსი“

**ვახტანგ მაისაია**
*სამხედრო ექსპერტი*



დღეს **პუტინი** თავს გრძნობს, როგორც თევზი წყალში — აქვს გარანტიები, რომ ვერავინ მის წინააღმდეგ ხმას ვერ ამოიღებს და, მითუმეტეს, მის ძალით დასამხობად თუ სხვა გზით შესაცვლელად, ვერავინ ვერ იმოქმედებს. **2008 წლის აგვისტოს ომის დროს ნავალნი მიემხრო პუტინს და თქვა, სწორია, რომ რუსეთმა მოახდინა ცხინვალის ოკუპაციაო.** დღევანდელი დასავლეთისთვის ნავალნი პუტინის ოპოზიციონერია და ეს არის ტრაგიზმი.

„ალია“

**ოთარ შამუგია**
*გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი*



**არანაირი საფუძველი არ არსებობს შაქრის კუთხით მომარაგების შეფერხების,** რადგან ჩვენი ძირითადი მომწოდებელი არ არის არც რუსეთი და არც უკრაინა — **ეს პროდუქტი შემოდის ბრაზილიიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან.**

„იმედინიუსი“

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი* ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ იოსებ სტალინი არა მარტო უდიდესი სტრატეგი და მთავარსარდალი, არამედ ბრწყინვალე დიპლომატიც იყო, რომელსაც გონივრული კომპრომისის გზით მტრების დამოყვრება შეეძლო. ის თავმდაბლობა და წინდახედულობა, რომელიც ძლევამოსილმა ბელადმა თეირანის კონფერენციის მსვლელობისას დასუსტებული და, ფაქტობრივად, გაყოფილი ირანის ახალგაზრდა შაჰთან მოჰამედ რეზა ფეჰლევთან სტუმრობისას გამოამჟღავნა, მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა, როგორც პოლიტიკისა და დიპლომატის ვირტუოზის სვლა:**



# სვიმონ მასხარაშვილი:
# სტალინი ასე არ მოიქცეოდა!

## „სტალინს ჰქონდა ზომიერების შეგრძნება, რაც რუსეთის დღევანდელ ხელისუფალს არ გააჩნია!“



— 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე, რომელიც 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე გაგრძელდა, სტალინის, როგორც დიპლომატის ნიჭი და შესაძლებლობები სრულად გამოვლინდა. მოგეხსენებათ, 1941 წლის 25 აგვისტოს, როცა სტალინმა ირანში 45-ე არმია გადაისროლა, ირანის შაჰი **რეზა ფეჰლევი** სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიქცა და 1944 წელს იქვე, იოჰანესბურგში, გარდაიცვალა. **რეზა ფეჰლევმა** ირანში დატოვა სრულიად ახალგაზრდა მემკვიდრე, ირანის მომავალი შაჰი **მოჰამედ რეზა ფეჰლევი,** რომელიც საბჭოთა და ბრიტანული ოკუპაციის დროს, სულ რაღაც, 22 წლის იყო. **მოჰამედ რეზა** თავის ახალგაზრდა და უმშვენიერეს მეუღლესთან ერთად სასახლეში ცხოვრობდა. როგორც ამბობენ, ახალგაზრდა შაჰის ბებია **აბაშიძის ქალი** იყო. მოჰამედი სპარსელ კაზაკთა გარემოცვაში იზრდებოდა და ბევრი მეგობარი ქართველი ჰყავდა, მათ შორის, **ქარბარეთელი, მიქელაძე** და სხვები. უფრო მეტიც, მამამისს **რეზა შაჰს** ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის ცოლის დისშვილთან — **სტაროსელსკისთან,** რომელიც რეზა ფეჰლევამდე კაზაკთა კორპუსის მეთაური და გენერალი გახლდათ, ანუ ფეჰლევების სამეფო ოჯახი ქართულ სივრცეს ძალიან კარგად იცნობდა. აქედან გამომდინარე, ფეჰლევები ჯერ ბოლშევიზმსა და მერე ქართველ სტალინს დიდი შიშითა და მოწიწებით შეჰყურებდნენ. ამ ბოლო ხანს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის შორეული ავიაციის მთავარი მარშლის **ალექსანდრე გოლოვანოვის** უაღრესად საინტერესო მოგონებები, სადაც სტალინისა და ახალგაზრდა მოჰამედ რეზა ფეჰლევის შეხვედრის დეტალებია აღწერილი.

**— ცნობილია, რომ მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი ისევე, როგორც მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი, სტალინს განსაკუთრებით უყვარდა...**

— საერთოდ, ირანის ახალგაზრდა შაჰისა და სტალინის შეხვედრის ისტორია მითოლოგიზირებულია, მაგრამ ალექსანდრე გოლოვანოვის მოგონებები სიმართლესთან ძალიან ახლოს უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, გენერალ **კაპიტონ ნაჭყებიას** მოგონებებისგან განსხვავებით, გოლოვანოვის მოგონებები აშკარად უფრო სანდო ჩანს. სხვათაშორის, **მარშალი გოლოვანოვი** ნიკიტა ხრუშჩოვმა სრულიად უსახსროდ დატოვა და სამსახურიდან დაითხოვა. რომ არა უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი **დათიკო ჩხიკვიშვილი** და **ვასილ მჟავანაძე,** გოლოვანოვი, ალბათ, მშიერი მოკვდებოდა. ოდესღაც დათიკო ჩხიკვიშვილი გოლოვანოვის ჯარისკაცი იყო და ამ მართლაცდა სამაგალითო პიროვნებასა და დიდ სამხედრო მოღვაწეს მან ამაგი დაუფასა.

**— დათიკო ჩხიკვიშვილმა მარშალ გოლოვანოვის ყურადღება რით მიიპყრო?**

— დათიკო ჩხიკვიშვილი 19 წლის ჯარისკაცი იყო, როცა წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. საქმე ის გახლავთ, რომ საბჭოთა თვითმფრინავებს ტყვიამფრქვევი მხოლოდ ერთი მიმართულებით — წინ ჰქონდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საჰაერო ბრძოლის დროს მტრის თვითმფრინავს გვერდიდან რომ შემოეტია, თავს ვერაფრით დაიცავდი და მოწინააღმდეგეს ცეცხლს ვერ გაუხსნიდი. 19 წლის დათიკო ჩხიკვიშვილმა ისე გააკეთა, რომ კაბინაში ორი ტყვიამფრქვევი დაამონტაჟა — ერთი წინა მხრიდან უტევდა, ხოლო მეორე გვერდიდან შემოპარულ მტერს უსპობდა სიცოცხლეს. **ამ მეორე ტყვიამფრქვევის სასხლეტი დათიკოს წვრილი თოკით ფეხის თითზე ჰქონდა გამობმული და სწორედ ამ გზით ხდებოდა ცეცხლის მართვა.** მარშალ ალექსანდრე გოლოვანოვს ისე მოეწონა 19 წლის ბიჭის გონებამახვილობა და შეუპოვრობა, დათიკო ჩხიკვიშვილი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

> **„სტალინსა და პუტინს შორის ის სხვაობაც არის, რომ ამ უკანასკნელს მუხრუჭი არა აქვს! მან რუსეთისთვის ყველაზე ახლობელი მართლმადიდებელი ერები – ქართველები და უკრაინელები მიწასთან გაასწორა და ამ პოლიტიკას არავითარი მომავალი არა აქვს!“**

**— მოდით, ისევ თეირანის კონფერენციას მივუბრუნდეთ, სადაც სტალინმა მთელ მსოფლიოს მართლაც დიპლომატიის მასტერკლასი ჩაუტარა!**

— აი, რას იგონებს საბჭოთა კავშირის შორეული ავიაციის მთავარი მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვი:** *ერთ მშვენიერ დღეს თეირანში, სტალინის აპარატში, ტელეფონმა დარეკა. მე იქ ვიყავი და ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა. რეკავდა ირანის შაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის აპარატის უფროსი, რომელმაც უკიდურესი მოწიწებით იკითხა — თუ არის შესაძლებლობა, მარშალმა სტალინმა გამოყოს დრო, რათა მიიღოს ირანის შაჰი? ინფორმაცია ამ თხოვნის შესახებ მაშინვე გადასცეს სტალინს, რომელმაც შაჰის აპარატის უფროსს იქით დაუსვა შეკითხვა — პირიქით, შაჰი როდის ინებებს და როდის ექნება დრო, რათა პირადად ვეახლო? ჩამოვარდა რამდენიმეწუთიანი პაუზა და შაჰის აპარატის უფროსი, საოცრად დაბნეული და შემკრთალი, საქვეყნოდ ცნობილი ირანული მაამებლური ტერმინების გამოყენებით ასეთ რამეს ამბობს — არა, თქვენ ვერ გაგვიგეთ, აქვს თუ არა უფლება შაჰს, რომ მარშალ სტალინს ეახლოს? აი, სწორედ მაშინ სტალინმა აპარატის თანამშრომელს ტელეფონი გამოართვა და იმ გაოგნებულ ირანელს კიდევ ერთხელ გაუმეორა — პირიქით, ჩემთვის იქნება დიდი პატივი, თუ შაჰი დროს გამონახავს და ნებას დამრთავს, რომ მის წინაშე აუდიენციაზე წარვდგე! ირანელები სულ გამოშტერდნენ... ეს ყველაფერი ხდება იმის ფონზე, როცა ჯერ რუზველტმა და შემდეგ ჩერჩილმა ახალგაზრდა შაჰი შეურაცხყვეს და თავის ქვეყანაში ჯერ ამერიკის და მერე ბრიტანეთის საელჩოში დაგეგმილ აუდიენციაზე საათობით ალოდინეს. მოკლედ, დათქმულ დროს სტალინი შაჰის რეზიდენციაში მივიდა, რათა ახალგაზრდა მოჰამედ რეზა ფეჰლევთან პირისპირ ელაპარაკა. შაჰის სასახლის ეზოში მოჰამედ რეზა ფეჰლევის სრულიად ახალგაზრდა მეუღლე ველოსიპედით სეირნობდა. დაზვერვისგან ვიცოდით, რომ ახალგაზრდა შაჰი, რომელიც კარგი მფრინავი იყო, თვითმფრინავებზე ჭკუას კარგავდა. სწორედ აქედან გამომდინარე, სტალინმა საბჭოთა ხალხის სახელით მოჰამედ რეზა ფეჰლევს იქვე უსახსოვრა მცირე გაბარიტების საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავი, რამაც შაჰი შოკში ჩააგდო. ირანის ახალგაზრდა შაჰი სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა...* როგორც **გოლოვანოვი** ამტკიცებს, შაჰი მარად მოხიბლული დარჩა სტალინით და მიუხედავად იმისა, რომ ირანში შემდეგ ამერიკელები შევიდნენ, **მოჰამედ რეზა ფეჰლევს** სტალინზე სიცოცხლის ბოლომდე აუგი არ დასცდენია. სტალინს ჰქონდა ზომიერების შეგრძნება, რაც რუსეთის დღევანდელ ხელისუფალს არ გააჩნია!

**— დააკონკრეტეთ, თუ შეიძლება!**

— 1945-1946 წლებში ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა **ირანის აზერბაიჯანისა და ირანის ქურთისტანის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკები.** ამ ფაქტმა ირანის დანარჩენ მოსახლეობაში დიდი მოწონება ვერ პოვა, ქვეყნის ძირი-



> **„19 წლის დათიკო ჩხიკვიშვილმა ისე გააკეთა, რომ კაბინაში ორი ტყვიამფრქვევი დაამონტაჟა – ერთი წინა მხრიდან უტევდა, ხოლო მეორე გვერდიდან შემოპარულ მტერს უსპობდა სიცოცხლეს!“**

## კვირგვინოსნები



**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი*

**სალომე ზურაბიშვილი** ხელისუფლებაში ერთადერთი ნათელი წერტილია. 2012 წელს ყველა, ვინც მაშინ **ბიძინა ივანიშვილთან** მივედით, ღრმა პოლიტიკურ შეცდომაში აღმოვჩნდით.

„ახალი თაობა“



**გიგა კვენეტაძე**
*რუსეთში მოღვაწე კომპოზიტორი, მომღერალი*

**დაანებეთ თავი ქართველი ცნობილი სახეების ბულინგს, რომლებიც რუსეთში მოღვაწეობენ** და თუ მაინც ნამუსი ერთი ბეწოც არ შეგრჩათ, ლოკაციას დაგიდებთ, **საიდან უნდა გამოექანოთ.**

„ახალი თაობა“



**ალექსანდრე ბეგალიშვილი**
*მსახიობი*

დღეს **„ქოც-ნაცებად“** ვართ გაყოფილი. ჩემი სამშობლო **არც ქოცეთია და არც — ნაცეთი.**

„კვირის პალიტრა“



**მანანა თოქმაჯიშვილი**
*თბილისის მერიის სპეცსამსახურის უფროსი*

ჰუმანიტარული დახმარებისთვის განკუთვნილი **50 ტონა ტვირთი** თბილისიდან უკრაინისკენ დაიძრა.

„აიპრესი“



**მიხეილ ყაველაშვილი**
*პარლამენტარი*

**დამისახელეთ ერთი სახელმწიფო, რომელიც** საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში **უკრაინისთვის საქართველოზე მეტს აკეთებს.**

„ინტერპრესნიუსი“



**ნანი ბრეგვაძე**
*მომღერალი*

ჩვენ **ერთი საერთო მტერი გვყავს** და ეს პუტინის რუსეთია.

„სარკე“

## „რეზა ფეჰლევმა ირანში დატოვა სრულიად ახალგაზრდა მემკვიდრე, ირანის მომავალი შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი, რომელიც საბჭოთა და ბრიტანული ოკუპაციის დროს, სულ რაღაც, 22 წლის იყო!“



მოჰამედ რეზა ფეჰლევი

თადი მასა ამ პროცესს ეწინააღმდეგებოდა. ამ პროცესს ასევე სასტიკად ეწინააღმდეგებოდა დიდი ბრიტანეთიც, რომელიც მთელი ირანის სამხრეთს აკონტროლებდა. სტალინი დადგა არჩევანის წინაშე — ან უნდა გაეყო ქვეყანა და თავრიზის ჩათვლით, მთელი ჩრდილოეთ ირანის ტერიტორია შემოეერთებინა, ანდა ბრიტანელებთან ერთად ქვეყანა დაეტოვებინა. ბელადი ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაზე შეჩერდა და 1946 წელს საბჭოთა კავშირმა ირანიდან 45-ე არმია გამოიყვანა.

**— ცხადია, სტალინს შეეძლო, წასულიყო კონფრონტაციისა და ომის გზითაც!**

— ცხადია, შეეძლო, მაგრამ სტალინმა ეს არ გააკეთა. არ გააკეთა იმიტომ, რომ **1946 წლის 5 მარტს უინსტონ ჩერჩილს ფულტონში უკვე წარმოთქმული ჰქონდა თავისი ცნობილი სიტყვები, ამერიკას ხელთ ჰქონდა ატომური ბომბი და აქედან გამომდინარე, ირანს საბჭოთა კავშირისა არ ეშინოდა.** ბელადი რომ პუტინის მსგავსად მოქცეულიყო და იმ საბჭოთა ავტონომიების დაცვის მიზნით ქვეყანა შეეყარა, ცხადია, ეს გამოიწვევდა ხანგრძლივ კონფრონტაციას და საბჭოთა კავშირის იმიჯი ძალიან დაზარალდებოდა. ბუნებრივია, სტალინმა შესანიშნავად იცოდა, რომ, როგორც კი ირანიდან არმიას გაიყვანდა, მის მიერ შექმნილი ხელოვნური საბჭოთა ავტონომიები მაშინვე შეწყვეტდნენ არსებობას, მაგრამ სტალინი მაინც წავიდა ამ ნაბიჯზე იმის იმედით, რომ **მოჰამედ რეზა ფეჰლევთან** ურთიერთობაში ჩაგდებული კეთილი მარცვალი წლების შემდეგ მაინც გამოიღებდა კეთილ ნაყოფს.

**— სტალინი არჩევანში შეცდა?**

— ერთი მისხალითაც კი არ შემცდარა! **როგორც კი საბჭოთა კავშირი და დიდი ბრიტანეთი ირანიდან გავიდნენ, შაჰმა ირანი მაშინვე გააერთიანა და საბჭოთა ავტონომიები მოსპო.** მიუხედავად ამისა, სტალინის გარდაცვალების შემდეგაც კი, ვიდრე 1979 წლამდე, როცა ირანში რევოლუცია მოხდა და ხელისუფლებაში **აიათოლა ჰომეინი** მოვიდა, ირანი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სანდო პარტნიორი გახლდათ. უფრო მეტიც, ეს პარტნიორული ურთიერთობები ირანსა და რუსეთს შორის დღემდე გრძელდება. **სტალინს რომ ირანის წინააღმდეგ 1946 წელს ომი დაეწყო, ცხადია, რაღაც წარმატებას აუცილებლაად მიაღწევდა, მაგრამ რუსეთის იმპერიული ოცნების ასრულება — რუსის ჯარისკაცმა თავისი ჩექმა ინდოეთის ოკეანეში უნდა გარეცხოს — ძალიან გაუჭირდებოდა.** აგრესიულ ომს მოჰყვებოდა ძალიან დიდი მსხვერპლი და სტალინის იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე შეილახებოდა. ამიტომ ბელადმა არჩია უკან დახევა, რითიც ძალიან მოიგო და ირანის სახით მარადიული მტერი კი არა, ერთგული მოკავშირე და მეგობარი შეიძინა.

ცხადია, პუტინის შედარება სტალინთან სასაცილოა, მაგრამ ყველაფერთან ერთად სტალინსა და პუტინს შორის ის სხვაობაც არის, რომ ამ უკანასკნელს მუხრუჭი არა აქვს! მან რუსეთისთვის ყველაზე ახლობელი მართლმადიდებელი ერები — ქართველები და უკრაინელები მიწასთან გაასწორა და ამ პოლიტიკას არავითარი მომავალი არა აქვს!

დიახ, პუტინმა უკრაინაში ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც რუსეთი საუკუნეების განმავლობაში ვერ გამოასწორებს. არადა, სტალინი ასე არ მოიქცეოდა... როცა ფაშისტებისგან კიევის გათავისუფლების ოპერაცია დაიწყო, მის განკარგულებაში 5-მილიონნახევრიანი უძლეველი არმადა იყო მაშინ, როცა პუტინის ჯარს გზაში საწვავი უთავდება, ხოლო 14 წლის უკრაინელი ბავშვები რუსულ ტანკებს „ბელარუსის“ ტრაქტორებით იტაცებენ! აი, ეს განსხვავებაა სტალინსა და ტროცკის, სტალინსა და ხრუშჩოვს და სტალინსა და პუტინს შორის! არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც რუსეთის დღევანდელ პრეზიდენტს სტალინისგან რადიკალურად განასხვავებს, ეს არის მართვის სტილი.

**— აკი, პუტინს სტალინს ადარებდნენ, აქაოდა, ბელადის მსგავსად ისიც კოლექტიურად იღებს გადაწყვეტილებებსო?**

— რუსეთის უშიშროების საბჭოს უკანასკნელი სხდომა აშკარად ადასტურებს იმას, რომ სინამდვილეში საქმე გვაქვს აბსოლუტურად საპირისპირო მოვლენასთან. არათუ ლუგანსკისა და დონეცკის „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარების, არამედ უკრაინაში შეჭრის შესახებ პუტინს გადაწყვეტილება უკვე ერთპიროვნულად ჰქონდა მიღებული. სწორედ აქედან იღებს სათავეს ის კატასტროფული შედეგები, რომელსაც დღეს პუტინის რუსეთი ყველგან განიცდის! ტროცკის პლუს ხრუშჩოვი უდრის პუტინს, რომელიც რუსეთს საბოლოოდ დაღუპავს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

გაგრძელება იქნება

## „1946 წლის 5 მარტს უინსტონ ჩერჩილს ფულტონში უკვე წარმოთქმული ჰქონდა თავისი ცნობილი სიტყვები, ამერიკას ხელთ ჰქონდა ატომური ბომბი და ირანს საბჭოთა კავშირისა არ ეშინოდა!“



# იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ ვარიანში სტალინის ძეგლს თავი მოამტვრიეს და შემდეგ მიაწებეს!

***გასულ კვირას იაკობ გოგებაშვილის სოფელ ვარიანში თავი მოამტვრიეს და რამდენიმე საათში ისევ მიაწებეს სოფლის დასაწყისში, წყაროსთან დადგმულ სტალინის ქანდაკებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლი ვარიანელებმა ორი თვის წინათ კერძო მესაკუთრის — კრივში მსოფლიო ჩემპიონ გიორგი კანდელაკის ნაკვეთში აღმართეს, ზოგიერთმა უკმაყოფილო ახალგაზრდამ გააპროტესტა და ჯერ წითლად შეღება, შემდეგ კი ჩაქუჩით თავიც მოატეხა. ეს მოხდა პოლონეთის ელჩის მარიუშ მაშკიევიჩის გამოსვლის შემდეგ, როდესაც მან გააკეთა საჯარო განცხადება გორში არსებული სტალინის მუზეუმის დახურვის მოთხოვნით. გვესაუბრება გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ვარიანში რამაზ როსტომაშვილი:***





რამაზ როსტომაშვილი



— ვარიანის მოსახლეობა უკმაყოფილოა ზოგიერთი ახალგაზრდის საქციელით, რომლებმაც სოფელში დადგმული სტალინის ძეგლი ორჯერ დააზიანეს — ჯერ წითლად შეღებეს, გასულ კვირას კი ჩაქუჩით თავი მოატეხეს. ეს კადრები ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა. შემთხვევა ღამით მოხდა, კადრში ჩანს, ნიღაბაფარებული და შავსათვალიანი ახალგაზრდა ჩაქუჩით როგორ ატეხს თავს ქანდაკებას. **საბოლოოდ, მაინც ამაო აღმოჩნდა მისი გარჯა, ხალხმა ძეგლი უმალ აღადგინა და დილით რომ მივედი, თავი ადგილზე ჰქონდა.**

**— სტალინის ქანდაკება ვარიანში ცენტრალურ ადგილას ვინ დადგა?**

— ქანდაკება დგას გზასთან, წყაროს სიახლოვეს, კონკრეტულად კი კერძო პირის ტერიტორიაზე. ეს სხვადასხვა რამაა.

**— ითქვა, რომ ეს ტერიტორია ეკუთვნის კრივში მსოფლიო ჩემპიონ გიორგი კანდელაკს, რომლის საკუთრებაშია აქვე არსებული რესტორანიც — „რანჩო ვარიანში“.**

— რანჩო სხვა ადგილასაა, აქაურობაც კერძო საკუთრებაა და არა საჯარო სივრცე, სადაც კომუნისტური იდეოლოგიის შემცველი სიმბოლიკები იკრძალება.

**— ვინ არის სტალინის ქანდაკების ავტორი?**

— ეს ქანდაკება საიდან მოიტანეს, არ ვიცი, თუმცა, ძველი გაკეთებულია და ახლა რესტავრაცია ჩაუტარდა. ხალხთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს, უმრავლესობას უნდოდა, რომ სტალინის ქანდაკება უშუალოდ სოფელში დადგმულიყო. ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში, ვისაც კი გული სტკიოდა სტალინის ძეგლების განადგურებაზე, ბევრმა მათგანმა ისინი არ დაამსხვრია, არც გადაყარა და საკუთარ სახლში წაიღო, დღემდე უფრთხილდებიან.

**— რა ბედი ეწია გორის ცენტრიდან 2010 წელს მოხსნილ სტალინის ქანდაკებას?**

— ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის ეზოშია, სად აპირებენ მომავალში მის დადგმას და, საერთოდ, სადმე დადგამენ თუ არა, ჩემთვის უცნობია.

●

არსებული ინფორმაციით, ტერიტორია, სადაც სტალინის ქანდაკება დგას, რესტორან „რანჩო ვარიანს“ ეკუთვნის, რომლის მფლობელია მსოფლიო ჩემპიონი კრივში, ვარიანის მკვიდრი **გიორგი კანდელაკი.** სოფლელების თქმით, გიორგი კანდელაკის საკუთრებაშია გორში არსებული რესტორანი **„ჟოზეფი“,** რომლის სახელიც სტალინის სახელთან — იოსებთანაა ასოცირებული. **რესტორანში არსებობს სტალინის კუთხეც, სადაც პერიოდულად თავს იყრიან ბელადის მაქებარი ადამიანები. ამიტომაც სულაც არ გვიკვირს, რომ გიორგი კანდელაკმა ვარიანში საკუთარ ტერიტორიაზე სოფლელებს სტალინის ქანდაკების დადგმის უფლება მისცა.**

*ესაუბრა* ***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**გიორგი რუხაძე**
*„სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელი*



**რუსეთის ეკონომიკას ჩვენც ჩავყვებით საფლავში, თუ დროზე არ ჩავეხსენით** — ჩემოდნით ჩამოიტანენ თელავში ფულს? — რაც შეეხება **პუტინს,** ტრიბუნალამდე რუსი ხალხი მოუვლის, რადგან **პური და არაყი გაძვირდება.**

„პალიტრანიუსი“

**ზურაბ ბატიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



საქართველოს ადგილი დასავლურ სამყაროშია, **კობახიძეები და ძმანი მისნი** ქართველ ხალხს საუკუნეების წინ გაკეთებულ ისტორიულ არჩევანს ვერ შეაცვლევინებენ.

„კვირის პალიტრა“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



ჩვენ უნდა ვიყოთ იქ, სადაც არის მთელი ცივილიზებული სამყარო და არა რუსეთის გვერდით. ხელისუფლებას ვურჩევ, **„ჯაყოს ხიზნები“** გადაიკითხოს.

„ახალი თაობა“

**მალხაზ დოლიძე**
*პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი*



მართალია, უკრაინაში ომია, ლარი უფასურდება, მაგრამ **პურის გაძვირება მოსალოდნელი არ არის.** ახლა იმაზე მეტი ფქვილია შემოსული, ვიდრე ქვეყანას სჭირდება.

„რეზონანსი“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

## სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

სააკაშვილი თავის მემუარებში, ყმაწვილკაცობის პერიოდის აღწერისას, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თავის ბავშვობისდროინდელ ინგლისურის მასწავლებელს **ბელა ჩარკვიანს!**

თუმცა, აქაც კი ახერხებს სტალინის კბენას: **ბელა ჩარკვიანი** საბჭოთა საქართველოს ლიდერის **კანდიდ ჩარკვიანის** შვილი იყო და ბავშვობაში სტალინის რამდენჯერმე ნახვის შემდეგ მასზე ცუდი მოგონება აკავშირებსო:

> ***„ბელა ხშირად სტუმრობდა სტალინის აგარაკს*** *(აფხაზეთში — გ.გ.).* ***იოსებ ბესარიონის ძე მას მანიაკალურ და ბრაზიან ადამიანად დაამახსოვრდა. სტალინის გვერდით თავს ყველა ცუდად გრძნობდა. ის ამოუცნობი და საშიში იყო. იგივე ბერია, ბელას სიტყვებით, ცინიკოსი იყო, მაგრამ სტალინისაგან განსხვავებით, კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა. ის აბსოლუტურად გაწონასწორებული ადამიანი იყო*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 41).*

ჯერ ერთი, თავად **ბელა ჩარკვიანი** ამბობდა, რომ ბავშვობაში სულ ორჯერ თუ სამჯერ ჰყავს ნანახი სტალინი და სააკაშვილის დაბრეხვებული „ბელა ხშირად სტუმრობდა სტალინის აგარაკსო“, მტკნარი სიცრუეა!

ისე კი, როგორ წარმოგიდგენიათ სტალინის აგარაკზე „ხშირად მოარული“ 10-ოდე წლის ბელა ჩარკვიანი, როდესაც იქ „ხშირად“ თვით მამამისი კანდიდ ჩარკვიანიც ვერ დადიოდა!

ანდა ეს რა იაფფასიანი ვირეშმაკობაა — **ბერია რომ ბერიაა, ისიც კი ანგელოზი იყო სტალინთან შედარებითო?!** მაგრამ სააკაშვილისათვის მთავარია, ყველა დააჯეროს, სტალინი მანიაკი იყოო და ამისათვის, „მამალ ტყუილებსაც“ არ ერიდება!

მემუარისტი თითქოს აქებადიდებს **ბელა ჩარკვიანს,** მაგრამ ამასაც თავის წარმოსაჩენად აკეთებს და თანაც, იმდენად უტაქტო და სულმდაბალია, რომ მის პირად ტრაგედიასაც კი არაფრად დაგიდევთ, როდესაც აი, ამას წერს:

> ***„ბელა საქართველოში უძრაობის პერიოდის მთავარი ლიბერალი იყო. წერდა როკ-ოპერებს და ყოველთვის ჰქონდა ამერიკული ჟურნალები. მისი მასწავლებლად დაქირავება ძალიან მოდური იყო. მისი ვაჟი ირაკლი, რომელიც სანამ ჩვენ ვმეცადინეობდით, იმავე ოთახში გიტარას აჟღარუნებდა, 80-90-იანი წლების ქართველი ახალგაზრდა თაობის მთავარი სიმბოლო იყო. ის ნარკოტიკებით დაიღუპა 2006 წელს“*** *(იქვე, გვ. 41).*

დიახ, აქ მთავარი გზავნილი სწორედ ეს არის: **ბელა ჩარკვიანის მასწავლებლად დაქირავება ძალიან პრესტიჟული იყოო,** ანუ მეც იმდროინდელი ელიტის სისხლი სისხლთაგანი ვიყავიო!

და სააკაშვილს, ბოდიში და, სულ ფეხებზე ჰკიდია, რომ თავისი საამაყო მასწავლებლის შვილი **ნარკომანად** გამოაჭენა მთელი მსოფლიოს წინაშე! თან აი, ასე: **„80-90-იანი წლების ქართველი ახალგაზრდა თაობის მთავარი სიმბოლო იყო. ის ნარკოტიკებით დაიღუპა 2006 წელს“,** ანუ ქართველი ახალგაზრდობის მთავარი სიმბოლო ნარკომანი იყოო!

მემუარისტი ასევე იხსენებს თავის ფრანგული ენის კერძო მასწავლებელს — 80 წლის ქალბატონ **მარა ჭავჭავაძესაც,** ვინც, არც მეტი, არც ნაკლები, მთლად, ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის მეთაურად გამოჰყავს:

> ***„13 წლის ვიყავი, მარამ „არქიპელაგი გულაგი“ რომ მომცა წასაკითხად. მისი „გარეუბანში“ მდებარე „ხრუშჩოვკიდან“ მეტრომდე საკმაოდ დიდი გზა იყო გასავლელი. მანქანამ კინაღამ გამიტანა, ვინაიდან ქუჩაში მოვდიოდი, „არქიპელაგს“ ვკითხულობდი და ვერ ვწყდებოდი. მარას წყალობით წავიკითხე: სოლჟენიცინი, პლატონოვი, ზამიატინი. ეს იყო არალეგალური გამოცემები, ტექსტი სიგარეტის სიფრიფანა ქაღალდზე იყო დაბეჭდილი. ის მაძლევდა წიგნებს, მაგრამ ყოველთვის მაფრთხილებდა, რომ დედასთვის ამის შესახებ არაფერი მეთქვა“*** *(იქვე, გვ. 41).*

ახლა წარმოიდგინეთ: 13 წლის მიშიკო სააკაშვილი ქუჩაში მოაბიჯებს და არალეგალურ საბჭოთა ლიტერატურას კითხულობს!

ანუ 1980 წელს — სააკაშვილი ხომ 1967 წელს დაიბადა!

ეს ის დროა, როდესაც ამისთვის ციხე იყო! **ანუ სააკაშვილს სურს, დაგვაჯეროს, რომ მისი მასწავლებელი საციხედ იხდიდა თავს და 13 წლის წვინტლიან ბიჭს სახლში არალეგალურ ლიტერატურას ატანდა და თან აფრთხილებდა — დედაშენ ბიჟულის არ უთხრაო!**

და კიდევ: მარა მასწავლებელმა თითქოს არც იცოდა, რომ მიშიკოს ბიძა თემურ ალასანია კარიერული კაგებეშნიკია!



*მიხეილ სააკაშვილი და გიული ალასანია*

სააკაშვილი ისეთ ეშხშია შესული თავისი **„დისიდენტობის“** მტკიცებით, რომ თითქოს ანტისაბჭოთა პროპაგანდის მუხლით დაპატიმრებასაც კი ეთამაშებოდა გელა ჩარკვიანთან ერთად:

> ***„გელასთან ერთად კი ხელით ვწერდით ანტისაბჭოთა გაზეთებს ინგლისურ ენაზე. კვირაში ერთ ნომერს ვუშვებდით. დასავლური გაზეთების სტილს ვბაძავდით, თუმცა, მათ ქართული ელფერიც დაჰკრავდა“*** *(იქვე, გვ. 41).*

გესმით, ხალხო?! მიშა ბავშვობაში **„დისიდენტი“** ყოფილა — ანტისაბჭოთა გაზეთებს გამოსცემდა საქართველოს კომპარტიის ცეკას იდეოლოგიის განყოფილების თანამშრომელ **გელა ჩარკვიანთან** ერთად საბჭოთა საქართველოს ცენტრალურ ტელევიზიაში გამოსვლებისას, „დამპალი ამერიკული კაპიტალიზმის“ მხილებაში რომ გვეხმარებოდა!

და ეს ის „დისიდენტი“ მიშიკოა, რომელიც სულ რამდენიმე წელში კაგებეშნიკი ბიძის მეცადინეობით უკრაინაში კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში მოაწყვეს და საბჭოთა დიპლომატობაზე ოცნებობდა, სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე რომ უნდა მდგარიყო ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ გლობალური დაპირისპირებისას!

მიშიკო სააკაშვილი გელა ჩარკვიანთან ერთად, ალბათ, მართლაც ჩხაპნიდა რაღაც ინგლისურენოვან „გაზეთებს“, მაგრამ ეს ისეთივე „ანტისაბჭოთა გაზეთები“ იყო, როგორც მიშიკო — „დისიდენტი“!

მოკლედ, ვგონებ, ყველა ჭკუათამყოფელისთვის დღესავით ნათელია, სააკაშვილის სახით როგორი სიყალბით გაჟღენთილ და განდიდების მანიით შეპყრობილ არსებასთან გვაქვს საქმე!

ეს მანიაკალური განდიდების მანია მშვენივრად ჩანს მემუარისტის იმ მონათხრობიდანაც, სადაც ის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე ყვება!

ანუ თვითონ ბავშვობიდან **„თავზეხელაღებული ანტისაბჭოთა დისიდენტი“** ხომ იყო, აი, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა კი, როგორც იტყვიან, ისე, გაკვრით ჰყავს ნახსენები:

> ***„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში თითქმის არაფრიდან აღმოცენდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვყავდა დისიდენტები — ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე და ბევრი სხვა. მათ ჰქონდათ საკუთარი სტრუქტურები, უკრაინელებთან და ყირიმელ თათრებთან კონტაქტები, ავრცელებდნენ ლიტერატურას, მაგრამ მათი იდეა საერთო-სახალხო არ იყო...“*** *(იქვე, გვ. 44).*

ეს არის ზვიად გამსახურდიას პირველი ხსენება! მეორე ხსენება კი ასეთია:

> ***„1990 წლის ბოლოს ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია მოვიდა. ბევრი სწორედ მასთან აკავშირებდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას“*** *(იქვე, გვ. 45).*

ანუ მემუარისტმა საქართველოს ისტორიული, ეპოქალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წიგნის სულ სამიოდე აბზაცში — ერთ არასრულ გვერდში ჩატია და ზვიად გამსახურდიას ღვაწლი მხოლოდ ასე აღნიშნა: **ნუ, სხვებთან ერთად, ისიც იყო დისიდენტი და 1990 წელს ხელისუფლებაში მოვიდაო, რა!**

**არცერთი სიტყვა** 1991 წლის 31 მარტის ისტორიული „დამოუკიდებლობის რეფერენდუმის“ შესახებ!

**არცერთი ბწკარი** 1991 წლის 9 აპრილის ისტორიულ „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე“!

და მესამედ, ზვიად გამსახურდიას პირადად აღარც ახსენებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი მსოფლიოს წასაკითხად აი, ამას წერს:

> ***„როდესაც 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში გადატრიალება მოხდა და ГКЧП-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლებას საკუთარ ხელში იღებდნენ, ქართულ ხელისუფლებას შეეშინდა. მათი პირველი რეაქცია ქართული გვარდიის დაშლა იყო...“*** *(იქვე, გვ. 45).*

როგორც ხედავთ, თვითონ **ჰალსტუხიჭამია კურდღელმა** სააკაშვილმა ზვიად გამსახურდია **მშიშარად** გამოაცხადა, მისი პირველი რეაქცია ეროვნული გვარდიის დაშლა იყოო!

**სააკაშვილო,** მოსკოვის პუტჩისას საქართველოს ისტორიაში ერთადერთი ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირველი რეაქცია ის იყო, რომ მოსკოვის პუტჩი საჯაროდ დაგმო და 1991 წლის 19 აგვისტოს მთელი მსოფლიოს ლიდერებს ოფიციალურად მიმართა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება მოსთხოვა — ეს მიმართვა იმდროინდელ ოფიციოზშიც არის გამოქვეყნებული!

და გვარდია კი არ გააუქმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარა, საბჭოთა კრემლს ქართული შეიარაღებული შენაერთების განადგურების საბაბი რომ არ მისცემოდა, რადგან მაშინ საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებული და არ გვქონდა საკუთარი თავდაცვის სამინისტროს ყოლის შესაძლებლობა!

რაღა თქმა უნდა, სააკაშვილი თავის მემუარებში აღარც თბილისის სისხლიან პუტჩს ახსენებს, არც პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობის ისტორიულ დანაშაულს, არც საქართველოში დაბრუნებული შევარდნაძის ხუნტის მიერ ქართველთა მასობრივ კვლასა და წამებას.

**რატომ?!**

**იმიტომ, რომ ის ამ ყველაფერს ამართლებდა თავის ინტერვიუებში და ზვიად გამსახურდიას „კავკასიის ჰუსეინსაც“ უწოდებდა — დასამხობი იყო, აბა, რაო!**

ვგონებ, რუსთავის ციხეში გამოკეტილი სააკაშვილი უკვე მიხვდა, რომ ზვიად გამსახურდიას ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს!

ზვიადი არაჟნის კონტეინერით არ შემოპარულა სამშობლოში!

ზვიადმა საკუთარი სამშობლოს თავისუფლებას სიცოცხლე შესწირა, შენ კი იხვეწები, ავადმყოფი ოღონდ ციხიდან უცხოეთში გამიშვით და გპირდებით, ნაცსექტის საპროტესტო გამოსვლები შეწყდებაო!

დაბოლოს, **სააკაშვილო, თითქმის 30 წლის წინათ მკვდარი გამსახურდია რომ უფრო დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქართველ ერში, ვიდრე შენი ცოცხალი ლეში, ესეც ხომ ფაქტია და უკვე შენც ხვდები?!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# კურდღელმა სააკაშვილმა ზვიად გამსახურდია მშიშარად გამოაცხადა!

4






# გიორგი ფოფხაძე: საფრანგეთის პრეზიდენტმა რომ ჩაიდინოს ის, რაც ხატია დეკანოიძემ გააკეთა, აუცილებლად დააპატიმრებენ!



***საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე მიიჩნევს, რომ „ბებერი ევროპა" ევროკავშირის ვერსალის სამიტზე სულ ტყუილად შეიკრიბა და უკრაინისთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე უარის თქმა ტელეფონითაც შეიძლებოდა. ჩვენი კოლეგა დარწმუნებულია, რომ 2008 წელს საქართველოსა და უკრაინისთვის რომ მაპი მიეცათ, რუსეთი მეზობლებთან ურთიერთობაში უფრო მოზომილი და თავშეკავებული იქნებოდა:***

— 2022 წლის 10-11 მარტს ვერსალში გამართულ სამიტზე ევროკავშირმა უკრაინისთვის არავითარი გამონაკლისი არ დაუშვა და, სამწუხაროდ, იმ ადმინისტრაციული ჩარჩოებიდან არ გამოვიდა, რომელიც მას დიდი ხანია, შემუშავებული აქვს. უკრაინისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის მინიჭებას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდნენ დანია, ნიდერლანდები და ბელგია. რაც შეეხება გერმანიას, საფრანგეთს, იტალიასა და ესპანეთს, „ბებერმა ევროპამ", როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც თავი შეიკავა და უკრაინის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო!

**— ბატონო გიორგი, ამ სამიტზე უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას ვინმე ლობისტი ჰყავდა?**

— ევროკავშირის აღმოსავლეთ ბლოკის წევრები — **პოლონეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ხორვატია და ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკა,** რომლებმაც ძალიან კარგად იციან, თუ რას ნიშნავს რუსული ოკუპაცია, **საქართველოს, მოლდოვასა** და განსაკუთრებით ომის ქარცეცხლში გახვეული **უკრაინისთვის** ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სასწრაფოდ მინიჭებას ძალიან გულშემატკივრობდნენ. სამაგიეროდ, ბელგიის პრემიერ-მინისტრმა **დე კროუმ** პირდაპირ განაცხადა — **უკრაინისთვის ევროკავშირი ძალიან ადრეა და მან ძალიან დიდი გზა უნდა გაიაროს, რათა ჩვენი ოჯახის წევრი გახდესო!** პრეზიდენტმა მაკრონმაც იქვე დაამატა — **ომში ჩაბმული ქვეყანა არ შეიძლება, ევროკავშირის წევრი გახდესო!**

**— კი მაგრამ, თუ უკრაინას კანდიდატი ქვეყნის სტატუსს არ აძლევდნენ, ვერსალში რისთვის შეიკრიბნენ?**

— ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიანიჭებდნენ თუ არა, უკრაინისთვის ამით არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ ამას ექნებოდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ევროპა არც ამაზე წავიდა... დავწერე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **რისთვის შეიკრიბნენ ვერსალში, ამდენი ფინანსები და დრო რისთვის დახარჯეს? უკრაინისთვის უარის თქმა ტელეფონითაც ხომ შეეძლოთ?**

**— ევროპა ვერ ხვდება, რომ თუ უკრაინამ დაიჩოქა, რუსეთი მერე პოლონეთსა და ბალტიისპირეთს ერთბაშად გადაყლაპავს და შესაძლოა, სტალინივით ესპანეთამდეც გავიდეს?**

— ევროპის მოსახლეობა, რიგითი ადამიანები და განსაკუთრებით ფრანგები, ამას ძალიან კარგად ხვდებიან, მაგრამ, საუბედუროდ, ამას არ ხვდებიან ევროპული ქვეყნების, განსაკუთრებით „ბებერი ევროპის" ხელისუფლები და პოლიტიკური ელიტები. ვნახოთ, საფრანგეთში 10 აპრილს არჩევნების პირველი ტური გვაქვს... შესაძლოა, მეორე ტურში სარკოზის პარტიიდან გავიდეს **ვალერი პეკრესი,** ანდა ულტრამემარჯვენე მარი ლეპენი.

**— მარი ლეპენისა და პუტინის ურთიერთდამოკიდებულებაზე რას იტყვით?**

— დღეს **მარი ლეპენი** ერთადერთი ფრანგი პოლიტიკოსია, რომელიც პუტინის საომარ პოლიტიკას ყველაზე მეტად აკრიტიკებს და პირდაპირ აცხადებს — ჩვენ უნდა მივიღოთ სერიოზული და ქმედითი გადაწყვეტილება, რომელიც უკრაინაში ომს შეაჩერებსო! ასე რომ, ევროპა დიდი ცვლილებების მოლოდინშია... საფრანგეთში ვცხოვრობ და აქ უკვე დიდი ხანია, ჩამოყალიბდა ასეთი პარადიგმა — **„რუსეთს სანქციები დავუწესოთ! აბა, მეტი რა ვქნათ, ხომ არ ვიომებთ?"** ამ მიდგომამ — **„აბა, მეტი რა ვქნათ?"** — 2 მილიონზე მეტი უკრაინელი ლტოლვილი ჩამოიყვანა ევროპაში და კიდევ რამდენი მილიონი დაემატება ამ საცოდავ ხალხს, ღმერთმა უწყის. ვხედავთ, რუსები უკრაინის წინააღმდეგ მონღოლურ ტაქტიკას იყენებენ — იმის გამო, რომ ქალაქებს ვერ იღებენ და სახმელეთო ბრძოლებში უკრაინასთან მარცხდებიან, რაკეტებით ანგრევენ ქალაქებს და ბომბავენ მშვიდობიან მოსახლეობას! იმ დროს, როცა უკრაინაში ამდენი ხალხი იხოცება, ევროპაში მშვიდად ჯდომა და ტელევიზორის ყურება, მგონი, არ არის მთლად ზნეობრივი საქციელი...

**— მოდით, პირდაპირ მიპასუხეთ — ევროპას რუსეთის ეშინია და იმიტომაც არ დაკეტა უკრაინის ცა და არ მისცა უკრაინას თვითმფრინავები?**

— ევროპასა და ამერიკას რუსეთის კი არა, **ატომური ბომბის აფეთქების ეშინიათ,** რადგან იციან, რომ პუტინი ამაზე წამსვლელია! დასავლეთმა დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა 2008 წელს საქართველოსა და უკრაინას **მაპი** არ მიანიჭა. ეს რომ მომხდარიყო, დარწმუნებული ვარ, რუსეთი უფრო თავშეკავებული იქნებოდა.

**— თქვენ გჯერათ, რომ ევროპა და ამერიკა რუსეთს სანქციებით დაამარცხებენ?**

— დასავლეთი სანქციებით მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგს დაამარცხებს, თორემ დანარჩენი რუსეთი დიდი ხანია, ისედაც სანქციების ქვეშ ცხოვრობს! **გადახედეთ რუსულ ქალაქებს ურალს იქით და მოსკოვიდან 30 კილომეტრში, განა რუსეთის 80 პროცენტს ათეული წლებია, სანქციები არა აქვს დაწესებული?! გზა მაგათ არა აქვთ და საჭმელი...** 50 წელია, ირანი სანქციების ქვეშ ცხოვრობს, მაგრამ რამე პრობლემა აქვს? პუტინი გამოვიდა და თქვა — საბჭოთა კავშირი სამოცდაათი წელიწადია, სანქციების ქვეშ ცხოვრობდაო! სანქციებით ისევ და ისევ უბრალო მოსახლეობა დაზარალდება, თორემ მმართველი ელიტა სანქციებით არასოდეს დაზარალებულა. თავიდან ბოლომდე სანქცირებულია ჩრდილოეთ კორეის ლიდერი **კიმ ჩენ ინი,** მაგრამ მშვენივრად ცხოვრობს და არაფერი უჭირს!

**— როგორ აფასებთ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას, რუსეთს უნდა შევეტაკოთ და ვეომოთ, თუ ზომიერი და ფრთხილი პოლიტიკა ვაწარმოოთ?**

— **საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსს ძალიან ვიწონებ და ვეთანხმები, მაგრამ გამყიდველებისა და კრიმინალების პარტია — ნაცმოძრაობა რომ ასეთ დღეშია, ეს „ქართული ოცნების" პირდაპირი დამსახურებაა!**

რუსეთს ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავეტაკოთ... **45-მილიონიანი უკრაინა დაინგრა და რუსეთი ჩვენ რას გვიზამს, ხომ წარმოგვიდგენია? მაგრამ „ქართულ ოცნებას" იმაში ვადანაშაულებ, რომ 2012 წელს ნაცმოძრაობა არ აკრძალა!**

**— რაც ხატია დეკანოიძემ ჩაიდინა, რომელიმე ფრანგმა პოლიტიკოსმა რომ ჩაიდინოს, საფრანგეთის პარლამენტის წევრის სტატუსი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან დაიცავს?**

— არათუ პარლამენტის წევრმა, არამედ საფრანგეთის პრეზიდენტმა რომ ჩაიდინოს ის, რაც **ხატია დეკანოიძემ** გააკეთა, აუცილებლად დააპატიმრებენ! ასეთი რამ საფრანგეთში არ ხდება, ქვეყნისა და ხელისუფლების იმიჯს ყველა უფრთხილდება. **პრეზიდენტი მაკრონი** შესაძლოა, რომელიმე ფრანგ პოლიტიკოსს არ მოსწონდეს, მაგრამ არ გამოვა და გერმანიის ტელევიზიაში მაკრონის არ გალანძღავს. ეს დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია... ვუყურე დეკანოიძის გამოსვლას და ვიცი, რომ სისულელეები ილაპარაკა. **2012 წელს მე სააკაშვილი და ნაცსექტა დავამარცხე, მაგრამ ეს დამნაშავეები, რომლებიც დღეს ციხეში უნდა ისხდნენ და ამ დროს პარლამენტიდან მორალს გვიკითხავენ, „ქართულმა ოცნებამ" არ დაამარცხა!** ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა ნაცებისთვის თავზე ხელის გადასმის პოლიტიკამ... „ქართულ ოცნებას" შეეძლო და ყველა რესურსი ჰქონდა, სააკაშვილი და მისი გარეწრები ერთხელ და სამუდამოდ დაესრულებინა, მაგრამ ასე არ მოიქცა და აი, ამის ბრალია ყველაფერი!

**— უკრაინის ხელისუფლება ქართველებს რას გვერჩის?**

— ამ კითხვაზე მხოლოდ იმის გამო არ გიპასუხებთ, რომ დღეს უკრაინაში ომია! **მოდით, დასრულდეს ომი და მერე გავარჩიოთ ეს საქმე!** შესაძლოა, ძალიან ვბრაზდები **დავით არახამიაზეც** და სხვებზეც, მაგრამ... გპირდებით, როგორც კი ომი დასრულდება, ძალიან ბევრ უკრაინელ პოლიტიკოსზე ბევრ რამეს ვიტყვი! ერთი რამის თქმა ახლავე შეიძლება: **ეს მავნებლები — ნაცები რომ გვირევენ, აშკარაა!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***




**„რისთვის შეიკრიბნენ ვერსალში, ამდენი ფინანსები და დრო რისთვის დახარჯეს? უარის თქმა ტელეფონითაც ხომ შეეძლოთ?"**

**ევროპის ლიდერები საფრანგეთში — ვერსალის სასახლეში ევროკავშირის საგანგებო სამიტზე. 2022 წლის 10-11 მარტი**

## კვირგვინოსნები

**ჯანო იზორია**
*მსახიობი*



ზოგიერთისთვის **2008 წლიდან იწყება ყველაფერი** და აფხაზეთში წლების წინ მომხდარი არ ახსოვთ. **ოკუპაცია 2008 წლიდან არ იწყება,** ეს არ უნდა დავივიწყოთ და მომავალ თაობებსაც უნდა ვასწავლოთ ჩვენი ისტორია.

„თბილისელები"

**მარიტა რუხვაძე**
*მომღერალი*



სათითაოდ გამოგაჭენებთ სულ ყველას ფოტოებ-ოჯახიანად, **ვინც აქამდე 500-600 ლარად აქირავებდით ბინებს და უცებ, ჰოოპ, 500-600 დოლარი დაადეთ ფასი და რუსებს მიაქირავეთ!** გაყიდვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი! საკუთარ ხალხს გარეთ ყრიან და რუსებს უშვებენ, ხალხო, გესმით, რა ხდება?! **მიმიფურთხებია თქვენნაირი ქართველებისთვის, თქვე გამყიდველებო!**

„სარკე"

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



ნაცმოძრაობა, მისი პოლიტიკური სატელიტები და მათთან აფილირებული ექსპერტები **შარვლებიდან და კაბებიდან ხტებიან,** რომ საქართველომ „ქართული ოცნების" მმართველობის დროს არ მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

„იმედინიუსი"

**ნიკა შენგელია**
*ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში*



**ლარის კურსი თუ არ გააჩერეს 3.50-ის ფარგლებში,** საქართველოში გამოიწვევს კატასტროფას. **ბენზინის ფასი შესაძლოა, მალე 4 ლარს გასცდეს.** არაერთხელ მოვუწოდეთ ხელისუფლებას, რომ მოეხსნა აქციზის გადასახადი.

„ახალი თაობა"



## შალვა ოგბაიძე:

# არ შეიძლება საწვავთან სიგარეტით მიახლოებაც კი, რაც რუსთავში მოხდა, დაუჯერებელი ამბავია!

***რუსთავში, მეშვიდე მიკრორაიონის მე-17 კორპუსთან, ის ნახევრად დამწვარი ავტომობილი, ვერცხლისფერი „იაგუარი“ დგას სახელმწიფო ნომრით — GU-200-RL, რომლის მფლობელსაც ავზის ავსების დროს სიგარეტის ნამწვი ბენზინში ჩაუვარდა და ხანძარი გამოიწვია. სამაშველო სამსახურის ეკიპაჟმა ხანძარი მალევე ჩააქრო და კორპუსის ბინადრებს ტრაგედია თავიდან აარიდა. დამწვარია ავტომობილის მარჯვენა მხარე.***

*შემთხვევა მოხდა არა ავტოგასამართ სადგურზე, არამედ რუსთავში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, სადარბაზოსთან. მობინადრეებმა დღემდე არ იციან იმ ნახევრად დამწვარი ავტომობილის მფლობელის ვინაობა, რომელსაც, მათი თქმით, პირველ სართულზე ბინა აქვს დაქირავებული.*

***სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა ოგბაიძე შეგვახსენებს იმ საფრთხეების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს მძღოლის მიერ ავტომანქანასთან დაუფიქრებელ მოქმედებას:***

— ლამის აქსიომაა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ბენზინთან, ბუნებრივ აირთან თუ ისეთ ნარევებთან ურთიერთობის დროს, რამაც შეიძლება აფეთქება და ადამიანის ან ადამიანების სიცოცხლის მოსპობა გამოიწვიოს. ცხადია, ზემოხსენებული შემთხვევა გაუფრთხილებლობით მოხდა. ნუთუ ამ ავტომობილის მფლობელმა არ იცის, ან არ გაუგია, რომ საწვავთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სიგარეტისა და ასანთის მოხმარება, ან ანთებული სიგარეტით მიახლოება?! დაუჯერებელი ამბავია, სხვა ასეთი შემთხვევის შესახებ არც მსმენია, ამ დროს შეიძლება, ბომბის აფეთქების მსგავსი რამ მომხდარიყო. კიდევ კარგი, შემთხვევა მსხვერპლით არ დამთავრდა.

**— ძირითადად, რა მიზეზით ხდება აფეთქება?**

— ბენზინი თავისთავად არ ორთქლდება, არ ფეთქდება, ორთქლდება ბენზინისა და ჰაერის ნარევი, ე. წ. მგრგვინავი აირი, რასაც დამანგრეველი ძალა აქვს. თუმცა, იმ მომენტისთვის, როდესაც ადგილი აქვს აფეთქებას, ამას რა მასშტაბის ნგრევა მოჰყვება, არავინ იცის. ზემოაღწერილი შემთხვევა აღარ უნდა განმეორდეს, ეს ის არ არის, სახლში ბუნებრივი აირი მოშვებული რომ რჩება და ნათურის ანთების შემთხვევაში ხდება აფეთქება, აქ ის სიტუაციაა, როდესაც ადამიანი არ ფიქრობს საკუთარ საქციელზე და შედეგებზე. მილიონ ადამიანს რომ უამბოთ, რაც რუსთავში მოხდა, მილიონივე გიპასუხებთ, რომ საწვავთან ანთებული სიგარეტით მიახლოება არ შეიძლება! **თანაც, საყურადღებო და გასათვალისწინებელია, რომ შემთხვევა მოხდა არა ავტოგასამართ სადგურზე, არამედ საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, რაც ყოვლად დაუშვებელია.**

**— ავტომანქანის მფლობელი ბენზინის ავზში საწვავს პლასტმასის ბოთლიდან ასხამდა...**

— ბრენდულ ავტოგასამართ სადგურებში კატეგორიულად აკრძალულია საწვავის მოთავსება თხელკედლიან პლასტმასის ჭურჭელში. ნაპერწკალიც კი საკმარისია, რომ აფეთქება მოხდეს. მსგავსი შემთხვევა არ უნდა განმეორდეს, მოგმართავთ ყველას, გამოიჩინეთ სიფრთხილე ავტომანქანაში საწვავის ჩასხმის დროს.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიტაშვილი***






***უკრაინაში ატეხილი საშინელი ომის ქარცეცხლის ფონზე, როცა მსოფლიო ბირთვული ავარიის საფრთხეზე ალაპარაკდა, საქართველოს აფთიაქებიდან ცნობილი და გამოცდილი პრეპარატი — კალიუმის იოდიდი გაქრა. ქართველი მეცნიერი და ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ბირთვული რადიაციის არსს განმარტავს და საქართველოს მოსახლეობას კატეგორიულად აფრთხილებს, რომ კალიუმის იოდიდის პროფილაქტიკის მიზნით გამოყენება დაუშვებელია:***






## კახა საბახტარიშვილი:

# რა უნდა ვიცოდეთ რადიაციული საფრთხის შესახებ

— მოგეხსენებათ, დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია უკრაინისკენ, სადაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ რუსეთმა ან ატომური იარაღი გამოიყენოს, ანდა ატომურ ელექტროსადგურებზე ავარიის პროვოცირება მოახდინოს. პირველი ნაკლებად სავარაუდო მგონია, რადგან ატომური იარაღის ამოქმედება ერთ ადამიანს, რაგინდ მაღალი თანამდებობის პირი და გავლენის მქონე იყოს, პრაქტიკულად, არ შეუძლია. მაგრამ ატომურ ელექტროსადგურებზე თავდასხმისა და შემდეგ ამით გამოწვეული საშინელი ბირთვული კატასტროფის რისკი ნამდვილად მაღალია. **შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ უკრაინაში ომის გაჩაღებიდან პირველსავე დღეებში რუსებმა ჯერ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური დაიკავეს, ხოლო შემდეგ ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურიც თავის კონტროლს დაუქვემდებარეს.** შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ევროპაში ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგურია და ექვსი რეაქტორისაგან შედგება.

**— ბატონო კახა, ჩერნობილის 1986 წლის 26 აპრილის ტრაგედია ყველას გვახსოვს, როცა რადიაქტიურმა ღრუბელმა არათუ საქართველომდე, არამედ შეერთებულ შტატებამდეც კი მიაღწია. ბოლო დროს სოციალურ ქსელებში ატომური რადიაციის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება და იქნებ გვითხრათ, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ღმერთმა გაგვწირა და უკრაინაში ჩერნობილის მსგავსი ავარია მაინც დაფიქსირდა?**

— საერთოდ, ნებისმიერ ატომურ აფეთქებასა თუ ავარიასთან სდევს ატმოსფეროში დიდი რაოდენობით რადიაქტიური იზოტოპების გაფრქვევა. ამ იზოტოპებს შორის განსაკუთრებით საშიშია **ცეზიუმ-137, სტრონციუმ-90** და **რადიაქტიური იოდი.** ჩერნობილის კატასტროფის დროს ატმოსფეროში ყველაზე მეტად სწორედ რადიაქტიური იოდი მოხვდა. იოდი ისეთი მიკროელემენტია, რომელსაც ორგანიზმი ვერ გამოიმუშავებს და ის აუცილებლად საკვების საშუალებით უნდა მივიღოთ. **ფარისებრი ჯირკვალი ერთმანეთისგან ვერ არჩევს ჩვეულებრივ იოდს, რომლისგანაც ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები წარმოიქმნება და რადიაქტიურ იოდს, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეს იწვევს. ფარისებრი ჯირკვალი ორივე იოდის აბსორციას, ანუ შთანთქმას ახდენს...** არსებობს ასეთი სამკურნალო პრეპარატი — **კალიუმის იოდიდი.** ეს პრეპარატი ფარისებრი ჯირკვლის პრობლემების მქონე პაციენტებში გამოიყენება და ხელს უშლის რადიაქტიურ იოდს, რათა ფარისებრ ჯირკვალში მოხვდეს და სიმსივნე გამოიწვიოს!

**— რა მეცნიერული ახსნა აქვს კალიუმის იოდიდის მოქმედებას რადიაქტიური იოდის წინააღმდეგ?**

— როდესაც **კალიუმის იოდიდს** მივიღებთ, მასში შემავალი **სტაბილური იოდი** შთაინთქმება ფარისებრი ჯირკვლის მიერ. იმის გამო, რომ კალიუმის იოდიდი ძალიან ბევრ სტაბილურ იოდს შეიცავს, ფარისებრი ჯირკვალი „გადაივსება“ ამ სასარგებლო იოდით და მას უკვე რადიაქტიური იოდის შთანთქმა აღარ შეუძლია. აქედან გამომდინარე, რადიაქტიური იოდის საფრთხე მინიმუმამდეა დაყვანილი.

**— ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ ამის საჭიროება დადგა, კალიუმის იოდიდი რა დოზით და რამდენჯერ უნდა მივიღოთ?**

— საჭიროების შემთხვევაში **კალიუმის იოდიდი** უნდა მივიღოთ 24 საათში მხოლოდ ერთხელ ერთი დღიური დოზის ოდენობით! **კალიუმის იოდიდის ზედმეტმა დოზამ შესაძლოა, გამოიწვიოს უმძიმესი პრობლემები და თვით სიკვდილიც კი. ვაფრთხილებ მოსახლეობას, პრევენციის, ანუ პროფილაქტიკის მიზნით, როცა ღვთის წყალობით ჯერჯერობით არავითარ რადიაციას ადგილი არა აქვს, არ მიიღოთ კალიუმის იოდიდი! თუ ეს პრეპარატი ექიმმა ფარისებრი ჯირკვლის სამკურნალოდ დაგინიშნათ, ეს უკვე სულ სხვა შემთხვევაა და იმოქმედეთ ექიმის რეკომენდაციის მიხედვით!**

**— შესაძლებელია თუ არა, რომ კალიუმის იოდიდი შევცვალოთ იოდიზირებული მარილით, ანდა იოდით მდიდა-**

## ვაფრთხილებ მოსახლეობას:

### პროფილაქტიკის მიზნით არ მიიღოთ კალიუმის იოდიდი!

## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე მოგინავა**
*ექიმი-ინფექციონისტი*



დიდი ალბათობით, თუ **„ომიკრონის“** გარდა სხვა შტამი არ გამოჩნდა, არის ოპტიმისტური პროგნოზი და მოლოდინი, რომ **ეს იყო უკანასკნელი მძლავრი ბოლო ტალღა და რამდენიმე თვის განმავლობაში პანდემია დასასრულისკენ წავა.**

„რეზონანსი“

**ბიძინა კულუმბეგოვი**
*ადვოკატი-იურისტი*



**გარე სივრცეში პირბადის სავალდებულო ტარება უნდა გაუქმდეს.**

„რეზონანსი“

**ზაზა იაკაშვილი**
*მსახიობი*



**პოპულარობა თავისთავად ცუდი არ არის,** მაგრამ შენ თუ იფიქრე, ვაა, რა მაგარი ვარ, ქუჩაში მცნობენ, ინტერვიუს იღებენ, ავტოგრაფს მთხოვენ, უკვე ვარსკვლავი ვარო, **მორჩა, დაღუპული ხარ!**

„სარკე“

**ზურაბ აზარაშვილი**
*ჯანდაცვის მინისტრი*



აფთიაქებში **რამდენიმე ათეული დასახელების თურქული მედიკამენტია შემოსული და ფასები არის მკვეთრად დაბალი,** ზოგ შემთხვევაში 80-90 პროცენტით.

„აიპრესი“

**თიკა მახალდიანი**
*მომღერალი*



ჯერ იყო და, პანდემიის გამო **ნერვული სისტემა აღარ გვივარგოდა** და ახლა ამ ომმა უარესი დაგვმართა.

„სარკე“




**რი საკვებით?**

— არც **იოდიზირებული მარილი** და არც იოდით მდიდარი საკვები პროდუქტები არ შეიცავს საკმარისი რაოდენობით იოდს, რომელიც ხელს შეუშლის **რადიაქტიური იოდის** ფარისებრ ჯირკვალში მოხვედრას! ამდენად, შეცვლას არავითარი ეფექტი არ ექნება.

**— რამდენად სახიფათოა რადიაქტიური სტრონციუმი და ცეზიუმი?**

— ბირთვული რადიაციის შედეგად ჰაერში გაფრქვეული **რადიაქტიური ცეზიუმი,** ანუ **ცეზიუმ-137** იწვევს კიბოს ერთ-ერთ სახეობას, რომელსაც სარკომა ეწოდება. რაც შეეხება **რადიაქტიურ სტრონციუმს,** ანუ **სტრონციუმ-90-ს,** ის კალციუმს ანაცვლებს ძვლებსა და ქალის რძეში და იწვევს ლეიკემიას, მკერდის სიმსივნესა და ძვლის კიბოს. როცა ჩერნობილის ავარია მოხდა, „კატრექსის" ლაბორატორიიდან უკრაინაში მიმავლინეს. სპეციალიზებულ და გასაიდუმლოებულ ინსტიტუტში დავესწარი საგანგებო კვლევებს, სადაც ადამიანის ორგანიზმზე რადიაციის გავლენას სწავლობდნენ. **ჩემთვის სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ, კვლევების თანახმად, რადიაქტიურ სტრონციუმს, რომელიც ძვლებში „ლაგდება", ყველაზე ეფექტურად ებრძვის, ანუ „რეცხავს" და ორგანიზმიდან აძევებს ქართული საფერავი.** აღმოჩნდა, რომ საფერავის სტრუქტურა ძალიან ჰგავს სისხლის ჰემოგლობინის სტრუქტურას და ის შეუდარებელია რადიაციით გამოწვეული სისხლნაკლებობის, ანუ ანემიის სამკურნალოდ.

საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ რადიაქტიური ნივთიერებების ორგანიზმიდან გამოსადევნად ძალზე კარგია **პექტინების შემცველი საკვები, ანუ ხილი,** განსაკუთრებით კი — **ვაშლი!** ხილში შემავალი პექტინები უკავშირდებიან რადიაქტიურ ნივთიერებებს, გადაჰყავთ ისინი მყარ, უხსნად ფორმაში და მერე უცვლელი სახით გამოჰყავთ ორგანიზმიდან.

**— რა ერთეულებში იზომება რადიაცია?**

— საერთო გამოსხივება იზომება **ზივერტებში,** ხოლო ორგანიზმის მიერ შთანთქმული დოზა — **ბრეიში.** ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ არსებობს რადიაციის საზომი კიდევ ერთი ერთეული, რომელსაც **„ბანანის ეკვივალენტი"** ეწოდება! ბანანი ბუნებრივად შეიცავს K-40 იზოტოპს, რომელიც აბსოლუტურად უვნებელია. ერთ ბანანში შემავალი K-40 იზოტოპის რაოდენობა ერთი ბანანის ეკვივალენტია. 10 ბანანში შემავალი K-40-ის რაოდენობა ზუსტად იმდენივეა, რამდენ გამოსხივებასაც რენტგენით გამოკვლევის დროს ვიღებთ. 1 ბანანის ეკვივალენტი უდრის 1 მილი ზივერტს. შედარებისთვის — **თვითმფრინავით მგზავრობისას 400 მილი ზივერტ რადიაციას ვიღებთ, რომელიც აბსოლუტურად უვნებელია.** ამ ბოლო დროს უკრაინაში მიმდინარე საშინელი ომის ფონზე საქართველოში კალიუმის იოდიდს ყველა მასიურად ყიდულობს და სვამს კიდეც. ეს დაუშვებელია, რადგან ამ პრეპარატს ძლიერი გვერდითი მოქმედებები გააჩნია. **კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჯერჯერობით არავითარი ატომური რადიაციის საფრთხე არ არსებობს და კალიუმის იოდიდი არ მიიღოთ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# „ვაფრთხილებ მოსახლეობას:

## რადიაქტიური ნივთიერებების ორგანიზმიდან გამოსადევნად ძალზე კარგია ვაშლი!"

## კვირგვინოსნები



**გიორგი ცუცქირიძე**
*ფინანსისტი*

პირდაპირ ვამბობ, რომ **ლარი ზედმეტად არის გაუფასურებული** და, ჩემი შეფასებით, **3.10-3.15-ის ფარგლებში** იქნება სულ მალე.

„რეზონანსი"



**ოთო აბესაძე**
*ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში*

**ლარი ნელ-ნელა ხდება სამუზეუმო ექსპონატი.**

„ახალი თაობა"



# საკაშვილ-ზელენსკის პარტიულმა ტელევიზიამ პარიზი დაბომბა,

## ანუ „მოდელირებული ქრონიკა" უკრაინულად

***საკაშვილის რეჟიმის მიერ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისათვის ყაჩაღურად წაგვრილმა ტელეკომპანია „იმედმა" 2010 წლის 13 მარტს ეთერში „მოდელირებული ქრონიკა" რომ გაუშვა, ხომ კარგად გახსოვთ? რუსეთმა ვითომ საქართველოს სრული ოკუპაცია მოახდინა, პრეზიდენტი საკაშვილი ვითომ ბუნკერში მოკლეს, ოპოზიციამ კრემლის ხელდასხმით ვითომ სახალხო ხელისუფლება ჩამოაყალიბა და თბილისის თავზე ვითომ რუსული დროშა აფრიალდა.***




აი, დაახლოებით ასეთი **„მოდელირებული ქრონიკა"** შექმნეს **უკრაინულმა ტელეარხებმაც,** რომლებმაც ეთერში გაუშვეს დამონტაჟებული ვიდეო, თუ **როგორ ეცემა რუსული ჭურვები საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს, როგორ ფეთქდება ეიფელის კოშკი და როგორ სწორდება მიწასთან ევროპის შუაგული.**

უკრაინელ მოდელირებულ ვიდეოს, რომელიც ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიების ეთერშიც გავიდა, ასეთი პირობითი დასათაურება ჰქონდა — **„როგორი იქნებოდა ერთი დღე პარიზში, იქ რომ რუსული ჭურვი ჩამოვარდნილიყო!"**

უკრაინულ მედიაში **„მოდელირებული ქრონიკის"** გაშვებას **პრეზიდენტ ზელენსკის** განცხადება უსწრებდა — **სანამ რუსული ჭურვები იმ კაფეებს არ დაეცემა, სადაც ევროპელები ყავას სვამენ, ევროპა მანამდე ვერ მიხვდება, რა უბედურ დღეშია უკრაინა და უკრაინელი ხალხიო!**

მოგეხსენებათ, ზელენსკი ერთ კვირაზე მეტია, ნატოსა და ევროკავშირისაგან უკრაინის თავზე ცის დაკეტვას ითხოვს, რათა რუსულმა სამხედრო ავიაციამ უკრაინული ქალაქების დაბომბვა ვეღარ შეძლოს, მაგრამ დასავლეთის ქვეყნები მის მოთხოვნას უარით პასუხობენ, რადგან უკრაინის თავზე ცის ჩაკეტვა რუსეთთან **სამხედრო კონფლიქტში ნატოს ჩართვისა და, შესაბამისად, მესამე მსოფლიო ომის დაწყების რეალურ საფრთხეს შეიცავს.**



საქმე ის არის, რომ, თუ ნატო და ევროკავშირი უკრაინის თავზე ცას ჩაკეტავენ, მაგრამ რუსეთი მაინც გააგრძელებს უკრაინული ქალაქების დაბომბვას, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იძულებული გახდება, რუსული ბომბდამშენები ჩამოაგდოს, რითიც იგი ავტომატურად აღმოჩნდება ჩაბმული რუსეთთან საომარ დაპირისპირებაში.

მარტივად რომ ვთქვათ, ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები თავიანთ უსაფრთხოებას უფრთხილდებიან და უკრაინელების ბედზე მეტად თავიანთი მოსახლეობის ბედი აღელვებთ.

**საერთოდ, ნატოსა და ევროკავშირს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში შესვლა რომ ნდომოდათ,** უკრაინასაც და საქართველოსაც დიდი ხნის წინათ მიიღებდნენ თავიანთ რიგებში!




**ევროპელებსა და ამერიკელებს ევროკავშირისა და ნატოს არაწევრი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვა თავიანთი უსაფრთხოების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებად რომ უღირდეთ,** სულ რამდენიმე დღის წინათ ვერსალის სასახლეში გამართულ საგანგებო სამიტზე, საქართველოს თუ არა, ომში მყოფ უკრაინას მაინც მიანიჭებდნენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს!

**მაგრამ რეალური პოლიტიკა ემოციებსა და განცდებს კი არა, პრაგმატულ ინტერესებს ემყარება!**

**რეალური პოლიტიკა ძალიან ხშირად ადამიანურ და მორალურ ასპექტებსაც უგულებელყოფს!**

სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლება, ყოფილი შოუმენის **ვოლოდიმირ ზელენსკის** მეთაურობით, მხოლოდ ახლა ხვდება, რას ნიშნავს რეალური პოლიტიკა და მწარე რეალობასთან შუბლით შეჯახებული ცდილობს, კოლექტიური დასავლეთი **„მოდელირებული ქრონიკის" მსგავსი კომპიუტერული ჟონგლიორობით** შეაგდოს ნამუსზე.

შეიძლება ითქვას, რომ უკრაინული მედიის მიერ **მოდელირებული ვიდეოს** გავრცელება იმის შესახებ, თუ როგორ ბომბავს პარიზს რუსული ავიაცია, **დასავლეთის მორალური დაშანტაჟების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს,** თუმცა, ზელენსკი ახლა არც სერიალში თამაშობს და არც — „კავეენის" სცენაზე, რომ ასეთი შოუს ელემენტებით გავიდეს ფონს.

**არც რუსული ავიაცია დაბომბავს პარიზს და არც ფრანგული ავიაცია დაბომბავს მოსკოვს!**

**არც ნატო და ევროკავშირი გადაკვეთენ კრემლის წითელ ხაზებს და არც კრემლი გადაკვეთს ნატოსა და ევროკავშირის წითელ ხაზებს!**

**თამაშის ეს წესები დიდ მოთამაშეებს შორის დიდი ხანია, შეთანხმებულია!**

ამდენად, **„მოდელირებული ქრონიკით"** რეალობის შეცვლა შეუძლებელია, უკრაინის ხელისუფლებას კი ნაცების ხელწერით მოქმედება კიდევ უფრო ვიწრო და გამოუვალ ჩიხში შეიყვანს!

სხვათაშორის, საქართველოში **„მოდელირებულ ქრონიკას"** ადამიანის სიცოცხლე შეეწირა — მისი ყურებისას დუშეთის რაიონის მკვიდრი, 50 წლის **ბაიოზ ოდიშელიძე** გულის შეტევით გარდაიცვალა!

**იმედია, უკრაინულ „მოდელირებულ ქრონიკას" რომელიმე პარიზელის სიცოცხლე არ უმსხვერპლია!**

***ჯაბა ხუბუა***

# „ნავიზორი“

FitoSana

## გაიწოვს კატარაქტას, ანადგურებს გლაუკომას, ახდენს მხედველობის ნორმალიზებას!

## აქცია!!! მხოლოდ პენსიონერებისთვის! თითო კოლოფზე ფასდაკლება 3 ლარი!



ბატონი იგორ დორენკო




გლაუკომა და კატარაქტა - ხანდაზმულებში სიბრმავის გამომწვევი მთავარი მიზეზებია. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობა ებრძვის ამ დაავადებებს ჰიპოკრატეს დროიდან, მედიცინა ამ ბოლო პერიოდამდე მათ განუკურნებლად თვლიდა. რა შეიცვალა ახლა? ნუთუ, დასრულდა გლაუკომითა და კატარაქტით დაავადებული ადამიანების ტანჯვა?! ეს კითხვა ჩვენ დავუსვით ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრის თანამშრომელს, ოფთალმოლოგ იგორ დორენკოს.

**იგორ დორენკო:** ჩვენთვის, ოფთალმოლოგებისათვის, 2021 წელი ძალიან აღსანიშნავი გამოდგა. გაკეთდა რამდენიმე აღმოჩენა – ნაპოვნია თვალის დაავადებების მკურნალობის ადრინდელი მეთოდების არაეფექტურობის მიზეზები და აღმოჩენილია სრულიად ახალი მოქმედების მქონე პრეპარატები, რომლებიც მთლიანად აღმოფხვრიან პრობლემას.

**- რატომ იყო არაეფექტური ადრე გამოყენებული მეთოდები?**

- ორი მიზეზის გამო. პირველი - მკურნალობდნენ შედეგს და არა დაავადების გაჩენის მიზეზს. მეორე - წამლები უბრალოდ ვერ აღწევდა მიზნამდე. საქმე იმაშია, რომ თვალს აქვს გარკვეული ბარიერი, რომელიც ხელს უშლის ნებისმიერი ნივთიერების შეღწევას ორგანოს ღრმა ფენებში.

**- რა არის გლაუკომისა და კატარაქტის გამომწვევი მიზეზები და როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა?**

- კატარაქტის დროს ცილოვანი სტრუქტურები, რომლისგანაც შედგება თვალის ბროლი, იკუმშება, როგორც კვერცხი ტაფაზე. ეს გამოწვეულია ფიბრინოგენის დეფიციტით, რომელიც პასუხისმგებელია ბროლის გამჭვირვალობის შენარჩუნებაზე. რაც შეეხება გლაუკომას, თვალშიდა წნევის მომატებისა და მხედველობის ნერვის სიკვდილის მიზეზი ჭარბი შარდოვანაა. ერთიც და მეორეც განპირობებულია თვალის ქსოვილებში მეტაბოლური პროცესების დარღვევებით. მეცნიერებმა იპოვეს ამის გამოსწორების გზა სპეციალიზირებული კომპლექსის "ნავიზორის" კაფსულების და წვეთების სახით. ორივე პროდუქტი ადვილად ლახავს თვალის ბარიერს, რადგან წარმოებულია ნანოტექნოლოგიების გამოყენებით. მათში შემავალი მცენარეული მოლეკულები მარტივად აღწევენ უჯრედის მემბრანაში. წვეთებში არსებული აქტიური ნივთიერებები ასტიმულირებს ფიბრინოგენის წარმოქმნას და შარდოვანას გამოყოფას, ხოლო კაფსულები აღადგენენ ბიოქიმიურ ბალანსს თვალის ქსოვილებში, უზრუნველყოფენ როგორც სრულფასოვან კვებასა და ჟანგბადის მიწოდებას, ასევე მავნე ნივთიერებების გამოყოფას. კონცენტრირებული ფიბრინოგენი იწყებს კატარაქტის აქტიურად გაწოვას, რა დროსაც აღადგენს ბროლის სტრუქტურას და უბრუნებს მას გამჭვირვალობას. იწმინდება თვალის შიდა სტრუქტურები, უმჯობესდება სითხის გადინება, წესრიგდება თვალშიდა წნევა.

**- და ადამიანი კვლავ კარგად ხედავს?**

- რა თქმა უნდა. როცა კატარაქტა და გლაუკომა დამარცხებულია, არც მათი სიმპტომები არსებობს. თვალებში აღარ არის ნისლი და შავი წერტილები, ქრება ქავილი, ცრემლდენა და სიწითლე, ნორმალიზდება მხედველობის მაჩვენებლები, ფართოვდება მხედველობითი კუთხე.

**- მოქმედებს თუ არა ეს კომპლექსი თვალის სხვა დაავადებების დროსაც?**

- ოფთალმოლოგიური პრობლემების უმეტესობას „ნავიზორი“ კიდევ უფრო სწრაფად უმკლავდება. მაგალითად, ბადურის დისტროფიას, დიაბეტურ რეტინოპათიას, კონიუნქტივიტს, ბლეფარიტს, „მშრალი თვალის“ სინდრომს. კარგი შედეგები აღინიშნება ასაკობრივი შორსმხედველობისა და მიოპიის შემთხვევებშიც.

**- ალბათ, "ნავიზორის" კომპლექსი დიდ დეფიციტშია, ვიანიდან უამრავი ადამიანი იტანჯება გლაუკომითა და კატარაქტით ...**

- კომპლექსი უკვე იძენს პოპულარობას მთელ მსოფლიოში, მაგრამ ჯერჯერობით ის ხელმისაწვდომია მხოლოდ უკრაინის, საქართველოს, რუსეთის, სომხეთის და ზოგიერთი სხვა მეზობელი ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ამიტომ, სანამ არ გაძვირებულა და არ შეიქმნა დეფიციტი, გირჩევთ არ დააყოვნოთ და გამოიყენოთ შესაძლებლობა კარგი მხედველობის დასაბრუნებლად.



ნებისმიერ ნამდვილ მამაკაცს უყვარს ჭამა. მიყვარდა მეც, სანამ შაქრიანი დიაბეტი არ დამემართა. დაავადების დასამარცხებლად, ყველა მცდელობის მიუხედავად, მხედველობა მაინც დამაკლდა: სიმკვეთრე დავკარგე, თვალწინ ლაქები გამიჩნდა. დაბრმავება ნამდვილად არ შედიოდა ჩემს გეგმებში. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემს სიდედრს კიდევ უფრო ნაკლებად აწყობდა ბრმა სიძე. მერე ვინ წაიყვანდა ნათესავებთან მანქანით? სწორედ მან მიყიდა მხედველობის კომპლექსი „ნავიზორი“ და დიაბეტის კაფსულები „ფრიდიალი“. თქვენმა პრეპარატებმა საუკეთესო შედეგი მომცეს. არადა მთელი ცხოვრების განმავლობაში სააფთიაქო წამლებს ვიღებდი და ვერანაირ გაუმჯობესებას ვერ ვგრძნობდი. ახლა შაქარი 5,8-6 ერთეულია, ადრე კი 12-მდე ადიოდა. და რაც მთავარია, ლაქები გაქრა, ოფთალმოლოგებმა ვერც **დიაბეტური რეტინოპათია**, ვერც **ბადურის დისტროფია** აღმომიჩინეს. ახლა არც **კონიუნქტივიტი** და არც **ჯიბლიბო** არ ეკარება ჩემს თვალებს. ისევ საჭეს მივუჯექი, საღამოობით ვუყურებ ტელევიზორს შეუზღუდავად.

*კობა რეხვიაშვილი, ქ.თელავი, საქართველო*



გაზეთში რედაქტორად ვმუშაობდი, 8 საათის განმავლობაში სტატიებში თითოეულ სიტყვას ვამოწმებდი. ჯილდოდ **მიოპია** მივიღე, სათვალე 35 წლის ასაკში გავიკეთე. პენსიაზე გასვლის დროისთვის უკვე **მხედველობის ასაკობრივი დაქვეითების** პროცესი დამეწყო, რომლის ფონზე **კატარაქტა** განვითარდა. თითქოს თვალებზე აპკი გადამაფარეს, ხანდახან ფერებსაც ვერ ვარჩევდი. წიგნების გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელი იყო. თვალებზე ოპერაციის გაკეთება ვერ გავბედე და „ნავიზორის“ წვეთებსა და კაფსულებს მივენდე. არ შევმცდარვარ. ორი კურსი საკმარისი აღმოჩნდა აპკის მოსაშორებლად და მხედველობის გასაუმჯობესებლად. შოკირებული ვარ! სათვალეების გარეშე ყოფნაზე არ მიოცნებია, ამდენი წელი ვიცხოვრე მათთან ერთად. ამ კომპლექსის წყალობით კი ცხოვრებაც გამიადვილდა და აზრიც შეიძინა. შორიდან ვხედავ ავტობუსის ნომრებს, სიამოვნებით ვათვალიერებ შვილიშვილის ნახატებს, ვქარგავ და ვქსოვ, ბევრს ვკითხულობ. ოპერაციის შემდეგ შევძლებდი ასეთ რამეს?

*ვერა პავლოვიჩი, ქ.ჩერიკოვი, ბელარუსი*



ვცხოვრობ პატარა სამთო ქალაქში. მთელი ცხოვრება მაღაროში ვმუშაობდი, რამაც ძალიან შეარყია ჩემი ჯანმრთელობა. კერძოდ, **მხედველობა დამიქვეითდა**, თვალწინ გამიჩნდა „დიდი სველი ლაქა“. ჩვენი ქალაქის ექიმებს დიდად არ აქებენ, ამიტომ წავედი რაიონულ ცენტრში. დამიდგინეს **გლაუკომა** და მირჩიეს წვეთებით დაავადების მიმდინარეობის შენელება. ამასთანავე, გამაფრთხილეს, რომ დროთა განმავლობაში მხედველობას მაინც დავკარგავდი. ამ ამბავმა დამანაღვლიანა. მაგრამ მაინც ვიწვეთებდი ექიმის დანიშნულ სხვადასხვა წვეთებს. მდგომარეობა მხოლოდ გამიუარესდა - თვალების ტკივილი დამეწყო. უბრალოდ სასოწარკვეთილი ვიყავი! მეუღლე გამუდმებით მამშვიდებდა: „არ დანებდე, რამეს მოვიფიქრებთ“. და, მართლაც, მოვიფიქრეთ! თქვენს გამოფენა-გაყიდვაზე „ნავიზორის“ წვეთები და კაფსულები ვიყიდეთ. კომპლექსის მიღებიდან რამდენიმე დღეში უკვე ტკივილი გამიქრა, თვალებში გამოვიხედე. მოგვიანებით შევამჩნიე, რომ არაფერი მაწუხებს - ლაქა გაქრა, საღამოსაც კი კარგად ვხედავ. თვალშიდა წნევა ასევე ნორმაშია. რომ არა „ნავიზორი“, დიდი ხნის წინ დავბრმავდებოდი.

*ილია რომანჩენკო, ქ.იენაკიევო, უკრაინა*



შვილის გარდაცვალების შემდეგ, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. ისიც არ მაინტერესებდა, რომ **გლაუკომა და კატარაქტა** აღმომიჩინეს. ექიმები მაფრთხილებდნენ, რომ დავბრმავდებოდი! საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია! მაგრამ მე არაფერი არ მინდოდა. მხოლოდ ექიმის მიერ დანიშნულ სააფთიაქო წვეთებს ვიყენებდი - და მეტს არაფერს! მაგრამ ეს წვეთები არანაირად არ მეხმარებოდა. ყველაფერს ბუნდოვნად ვხედავდი, სახეებს ვერ ვარჩევდი, სათვალის გარეშე ვერ ვკითხულობდი. როცა თქვენი გაზეთი მივიღე, მაშინვე „ნავიზორის“ კომპლექსის ვირწმუნე. წვეთებისა და კაფსულების 4-4 კოლოფი გამოვიყენე და შედეგიც ვიგრძენი! ასჯერ გიხდით მადლობას, მადლობა იმისთვის, რომ ჩვენთან ჩამოდიხართ და ჩამოგაქვთ ეს მცენარეული საშუალებები! ახლა კარგად ვხედავ, სიბნელეშიც კი, გამიქრა ანთება და სიწითლე, ბროლი გამეწმინდა და თვალის წნევა მომიწესრიგდა. სათვალის გარეშე ვწერ და ვკითხულობ. მშვენიერად ვხედავ შვილიშვილების სახეებს, რვა შვილიშვილი მყავს. უარი ვთქვი ოპერაციაზე! თვალები - ჩემი ყველაფერია, ჩემი ცხოვრებაა და ეს ცხოვრება თქვენ დამიბრუნეთ.

*სედა რაგაპიანი, ქ.ერევანი, სომხეთი*



როგორც შემეძლო, ისე ვებრძოდი შაქრიან დიაბეტს. ძალიან მეშინოდა მხედველობის დაკარგვის, რომელიც რატომღაც სწრაფად მიქვეითდებოდა. ამიტომ, როგორც კი თვალებში საეჭვო გაორება შევამჩნიე, ოფთალმოლოგთან გავიქეცი. ექიმმა განაჩენი გამომიტანა - **დიაბეტური რეტინოპათია** და **ბადურის დისტროფია**, და სამომავლოდ - სიბრმავე. ჩემი მეუღლე ინვალიდია და მეც რომ იგივე დამემართოს, ორივე დავიღუპებით. ცოლს გავუმხილე ჩემი დიაგნოზი და მან თქვენი კომპანიის შესახებ მიამბო. დავუჯერე და დავიწყე დიაბეტისთვის "ფრიდიალისა" და თვალებისთვის "ნავიზორის" კომპლექსის მიღება. მალევე უკეთ ვიგრძენი თავი: შაქარი მუდმივად ნორმაში მაქვს, ჩამიცხრა თვალების ანთება, გაორებულად აღარ ვხედავ. ექვსი თვის შემდეგ პოლიკლინიკაში გამახარეს, მითხრეს, რომ სისხლძარღვებისა და ბადურის მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესებულია, შეშუპება გაქრა და ჩემს მხედველობას ცუდი არაფერი მოუვა.

*დიმიტრი ტრუბაჩი, ქ.კიევი, უკრაინა*



მთელი ცხოვრება ტელეგრაფისტად ვმუშაობდი. მხედველობა ისე მეძაბებოდა, რომ ზოგჯერ ბრმად მიწევდა ტექსტის აკრეფა. 2001 წელს ჩემს ოჯახში ტრაგედია დატრიალდა - ქმარი და სიძე ავარიაში დამეღუპნენ. დიდხანს ვგლოვობდი, სულ ვტიროდი. დროთა განმავლობაში სათვალე გავიკეთე, მაგრამ მხედველობა მაინც მიქვეითდებოდა, თვალებში ნისლი გამიჩნდა. სახლში უზარმაზარი ბიბლიოთეკა მაქვს და ძალიან მიყვარს კითხვა. სამწუხაროდ, საყვარელი წიგნების კითხვით სიამოვნებას ველარ ვიღებდი - თვალებზე ბინდი მეფარებოდა. გარეთ ცხვირსახოცის გარეშე არ გავდიოდი, საშინელი **ცრემლდენა** მქონდა. მხედველობის დაკარგვის მეშინოდა, **მიოპიის** გარდა, **კატარაქტა** განვითარდა. ჩემი მული ამ დაავადებამ დააბრმავა. მტერს არ ვუსურვებ. არ დავაყოვნე და მაშინვე ვიმოქმედე. "ნავიზორის" კაფსულების და წვეთების ორი კურსი ჩავიტარე. და მოხდა სასწაული, რომელზეც არც მიოცნებია: ნისლი მთლიანად გამიქრა, ცრემლდენა შემიწყდა. კარგად ვხედავ, სათვალეც აღარ მჭირდება. ახლა საათობით ვკითხულობ წიგნებს და თვალები არ მეღლება.

*ბურაია მარია, ქ.მინსკი, ბელარუსი*

## ასევე გაყიდვაშია შემდეგი პროდუქცია

**„ნავიზორი“** (კაფს.) 31.7 ლ, (აქციით 28,70ლ.) **„ნავიზორი“** (წვეთები) 31.7 ლ, (აქციით 28,70ლ.) **„სუსტალაქსი“** (კრემი) 31.7 ლ. (აქციით 28,70ლ.) **„სუსტალაქსი“** ( კაფს.) 31.7 ლ. (აქციით 28,70ლ.) **„ზდრავია“** 31.7 ლ. (აქციით 23,80ლ.) **„პრომიოდ ფორტე“** 31.7, (აქციით 28,70ლ.) **„არტეპრილი“** 31.7ლ, (აქციით 4+1) **„ფრიდიალი“** (კაფ.) 31.7 (აქციით 28,70ლ.) **„ლი პეპტინი“** 31.7 ლ., (აქციით 23,80ლ.) **„იმოქსინი“** 31.7ლ, (აქციით 28,70ლ.) **„პროსტერექტი 120“** 91.5, (აქციით 88,50ლ.) **„ადენომი 60“** 51.5 ლ, (აქციით 48,50ლ.) **„ადენომი 120“** 91.5ლ (აქციით 88,50ლ.)

კომპანიამ დაიწყო ონლაინ გაყიდვები. თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ პროდუქცია

FACEBOOK გვერდზე @ApifitoGeorgia2015 ან დარეკოთ 514295005

და ჩვენ მოგაწვდით სასურველ პროდუქციას სახლში მთელი საქართველოს მასშტაბით.

## თუ თქვენ არ შეგიძლიათ მოსვლა

**დარეკეთ ნომერზე (+995) 551 30 98 98 თბილისის და რუსთავის მასშტაბით სახლში მოგაწვდით**

**(საპენსიო ფასდაკლება არ მოქმედებს მიწოდების სერვისის შემთხვევაში)**

## გელოდებით ჩვენს გამოფენა-გაყიდვაზე

**სადაც მიიღებთ დაწვრილებით ინფორმაციას პრეპარატების შესახებ, შემდეგ მისამართებზე:**

### 15, 16, 17, 18, 19, 20, 21 მარტი

**თბილისი** 1. ბახტრიონის №22. -------- 15.00-17.00 სს.
2. ვარკეთილი-3. -------- ყოველდღე, 10.00-20.00 სს.
2-მ/რ, ს. თაყაიშვილის 1 „სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი“

### 19 მარტი

**თელავი** 26 მაისის №5, ჭადრაკის სახლი -- 11.00-12.00 სს.

### 20 მარტი

**რუსთავი** დუმბაძის №10, სასტ. „ელიტა“ --- 12.00-13.00სს

### 21 მარტი

**გორი** სტალინის გამზ. №24. --------- 12.00-13.00 სს
სამედიცინო სახლი „მკურნალი“

### 22 მარტი

**ბათუმი** ყაზბეგის №4. სასტ. „ლაით ხაუზ“.- 10.00-11.00 სს.
**ოზურგეთი** იოანე პეტრიწის №1, - -------- 12.00-13.00 სს.
რესტორანი „იზაბელა“.
**ფოთი** 9 აპრილის №10. -------- 14.00-15.00 სს.
ბავშვთა გასართობი ცენტრი „ბალუ“
**ზუგდიდი** გამსახურდიას №28, კაფე „აქატი“ - 16.00-17.00 სს.

### 23 მარტი

**სამტრედია** რუსთაველის №21, რესტ. „ჭურჭავა“ 10.00-11.00 სს.
**ქუთაისი** II გამსახურდიას №45 --------- 12.00-13.00 სს.
სასტუმრო „ტირიფი ჰოლიდეი“
**ზესტაფონი** აღმაშენებლის №61ა ,აფთიაქი ----- 14.00-15.00 სს.
**ჭიათურა** აღმაშენებლის №91, -------- 16.00-17.00 სს.
სასტუმრო „ნელი ტაბატაძე“.

### 24 მარტი

**ხაშური** კოსტავას №6. აფთიაქი 1 -------- 10.00-11.00 სს.

## უფასო კონსულტაციის ცხელი ხაზი (+995) 551 30 98 98 დაგვიკავშირდით 9^00 – 21^00 სს

**– ჩემმა დამ გადაწყვიტა, ქმარ-შვილი და შვილიშვილები მიატოვოს და სოფელში მართლმადიდებლურ თემში იცხოვროს. მან პასპორტი ჩააბარა, რადგან ეშინია, რომ ხელში ჩიპს ჩაუნერგავენ და მის მართვას შეძლებენ. გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ?**

— ამასწინათ მოვისმინე, რომ ელექტრონულმა პასპორტმა კანქვეშ ჩანერგილი ჩიპის სახით ენერგია ტემპერატურათა სხვაობისგან უნდა მიიღოს, მაშინ ის გააქტიურდება. ადამიანს მაქსიმალური სხვაობა მარჯვენა ხელსა და შუბლზე აღენიშნება. ძალაუნებურად გაგახსენდება აპოკალიფსი და მისი გაფრთხილება. როდესაც ტელეგადაცემაში მოვისმინე, რომ ვიღაც ხელმარჯვეებმა ერთდოლარიანი ბანკნოტის სიმაღლე გაზომეს, სახაზავი ავიღე და პირადად შევამოწმე. მართლაც, სიმაღლე 66,6 მმ აღმოჩნდა. ჩემთვის ეს და სხვა ნიშნები ღვთაებრივ ლოგიკაზე ადამიანურის გამარჯვებას ნიშნავს. ექვსიანი, როგორც მე მესმის, არ არის ექვსი დღე, რომელთა განმავლობაში უფალმა სამყარო შექმნა, ანუ შექმნილი ადამიანურის სიმბოლო. სამი ექვსიანი დროის, სივრცისა და მატერიის, ანუ რეალური მეორადი სამყაროს სიმბოლოა.

შემჩნეული მაქვს, რომ, თუ გარშემო ექვსიანებს ხშირად ვხვდები, ეს ნიშნავს, რომ სამყაროზე დამოკიდებულება გამიძლიერდა. ერთ ბარათში საინტერესო შეკითხვა დამისვეს: როდესაც ისრაელის ერთ-ერთმა პირველმა მეფემ მოსახლეობის აღწერა ჩაატარა, ღმერთმა ამისთვის მკაცრად დასაჯა. რატომ? აქ, ვფიქრობ, ასეთი აზრი დევს. მოსახლეობის აღწერა ერთგვარად სახელმწიფო კონტროლისა და აღრიცხვის სიმბოლოა, ანუ ყოველი ადამიანის მართვა უკვე არა ღმერთიდან, არამედ სახელმწიფოდან მოდის, რომელიც ადამიანის მატერიალური, ფიზიკური მოთხოვნილებებიდან გამოდის.

**რა არის სახელმწიფო? ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ადამიანთა არსებობის მატერიალურ ასპექტებს აწესრიგებს.** ცნებები — ხელისუფლება და სახელმწიფო — განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გარეშე სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია. ხელისუფლების სამივე სახე ურღვევად უკავშირდება ადამიანის ცნობიერებას.

სახელმწიფოს რელიგიასთან შერწყმა, ანუ ცნობიერებისა და ქვეცნობიერების ხისტად გაერთიანების მცდელობა ცნობიერების შელახვას იწვევდა. მატერიალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში რელიგიური დოგმების გადატანას მისი გადაგვარება მოსდევდა, ხოლო, თუ სახელმწიფო მეცნიერებას ერწყმოდა, განვითარება მიმდინარეობდა არა სხეულის, არამედ სულის საზიანოდ. და ეს გაცილებით უფრო სახიფათო პროცესია. როდესაც სახელმწიფო ადამიანის ფიზიკურ საქმიანობას აკონტროლებდა, ეს, გარკვეულწილად, სულს აზიანებდა, მაგრამ მის განვითარებას ხელს არ უშლიდა. **ახლა ადამიანის სხეულის კონტროლიდან სახელმწიფო შეუმჩნევლად გადადის ყოველი მოქალაქის ცნობიერებისა და გრძნობების კონტროლზე. ამას კი კატასტროფის სუნი ასდის.**

თუ ცნობიერება ქვეცნობიერების მთლიანად შეცვლას ცდილობს, ის უნდა დაიღუპოს, რამეთუ სამყაროს სხეულში კიბოს უჯრედს ემსგავსება. ამჟამად სწორედ ეს ხდება. აშშ-ის მაგალითი ავიღოთ. ბოლო წლებში წარმოშობილი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ტერორიზმთან ბრძოლაა. ეს ბრძოლა სულ უფრო ძნელდება. ტერორიზმი უფრო და უფრო საშიში ხდება. სახელმწიფო აცნობიერებს, რომ მარცხდება. ერთადერთი გამოსავალი დასწრებაზე მუშაობაა. თავდაპირველად ეს დასწრება ფიზიკურ დონეზე ხდება: საჭირო არ არის ტერორისტების თავდასხმის ლოდინი, საჭიროა მათი ბაზების დაბომბვა; ბაზების დაბომბვის იმედად ყოფნას მათი შექმნის თავიდან აცილება, ანუ ტერორისტული ორგანიზაციების უფუნქციოდ დატოვება და მათი წევრების განადგურება აჯობებს. თუმცა, რისთვის ვიცადოთ, სანამ ტერორისტი მომწიფდება, ჩამოყალიბდება? იქნებ მისი გამოცნობა ბავშვობაშივე შეიძლება? ტერორიზმი განიხილება, როგორც აბსოლუტური ბოროტება, რომელსაც დასაბამითვე არა აქვს არსებობის უფლება. ესე იგი, ის ჩანასახშივე უნდა ჩაიკლას.

ჩანასახი კი ადამიანური გრძნობები და ცნობიერებაა. მაშასადამე, ტერორიზმთან წარმატებული ბრძოლისთვის ადამიანის ცნობიერებისა და სურვილების მართვა და მცირეწლოვან დამნაშავეთა წინასწარ გამოვლენა უნდა ვისწავლოთ, ხოლო იდეალში — ისინი გენეტიკური პარამეტრებით განვსაზღვროთ და დედის მუცელშივე გავანადგუროთ.

ნებისმიერი სახელმწიფო ესწრაფვის ამორალურ ქმედებებს და უზნეობას, რადგან მისთვის პირველადი ძალაუფლებაა, სული კი მეორადია. ფარგლები, რომლებსაც სახელმწიფო არ უნდა გასცდეს, მეცნიერებამ უნდა განსაზღვროს, რომელიც სულისა და ცნობიერების შენარჩუნებაზე ზრუნავს. რელიგია შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს სასიკვდილოდ საშიში ექსპანსიის წინააღმდეგ გამოვიდეს, მაგრამ მოსახლეობის აღწერის, საგადასახადო ნომრების, ახალი პასპორტების შემოღების აკრძალვა რელიგიას არ ძალუძს. **ტექნიკური პროგრესის შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ მისი მართვა და შეზღუდვა აუცილებელია.** ეს მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც რელიგია მეცნიერებას შეუერთდება. სახელმწიფოს მხრიდან ყოველი ადამიანის მართვისა და კონტროლის სულ უფრო სრულქმნადი მეთოდები შეიძლება ადამიანის ცნობიერებასა და სულზე გაცილებით მეტი ზრუნვით, რელიგიური მსოფლმხედველობის განვითარებით, პრიორიტეტთა მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემით ანაზღაურდეს. სულის დაცვისა და ხსნისათვის მხოლოდ მსოფლიო ტრადიციული რელიგიების რელიგიური მიდგომა საკმარისი აღარ არის. სულის განვითარებისთვის მისი დახმარების ინტენსიურობა გაცილებით მაღალი უნდა იყოს. და მეცნიერებამ ამ პროცესში რელიგიის დახმარება უნდა დაიწყოს. ჯერჯერობით მსოფლიოში მიღებული თვალსაზრისი დამნაშავეობაზე ასეთია: დამნაშავეობა აბსოლუტური ბოროტებაა და განადგურებას ექვემდებარება. **ადამიანები არ უფიქრდებიან, რომ თავად სახელმწიფო წარმოშობს აგრესიას, დამნაშავეობას ფასეულობათა არასწორი სისტემით, საკუთარი შინაგანი დეგრადაციით.** გავიხსენოთ, რომ კაცობრიობის ისტორიაში უკვე იყო სრულყოფილ ადამიანთა გადარჩევის და არასრულყოფილებთან ბრძოლის მცდელობანი.

დღეს ეს ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით ვრცელდება. ოცდათხუთმეტი წლის წინ შეგრძნება გამიჩნდა, რომ მალე დადგება დრო, როდესაც ერთი ადამიანი — დედამიწაზე მცხოვრებთაგან ნებისმიერი — მთელი ცივილიზაციის განადგურებას დაიწყებს. მაშინ კაცობრიობას დაღუპვისგან ვერანაირი აკრძალვა და სასჯელი ვერ იხსნის. და მსოფლიოს გადარჩენას მხოლოდ ბავშვობიდანვე სწორად აღზრდა შეძლებს, რომლის არსი სულის სიყვარულით ავსებაა. მეორე ადამიანთან სრული ერთიანობა, მისი, როგორც საკუთარი თავის შეგრძნება და, მაშასადამე, მისი მოკვლის შეუძლებლობა მიიღწევა, თუ სული სიყვარულით არის სავსე, ხოლო, თუ სიყვარული ცოტაა, ის მხოლოდ საკუთარ თავს ყოფნის და მაშინ სხვის სიკვდილს გულგრილად აღვიქვამთ. თუმცა, არ ველოდი, რომ ეს დრო ასე მალე დადგებოდა.

ჯერჯერობით კი ამერიკის შეუცდომელი სახელმწიფო დამნაშავეობისა და ტერორიზმის ფესვებს ავლენს. ორიოდე წლის წინ ამერიკაში მცხოვრებმა ერთმა ქალმა უცნაური შემთხვევა მიამბო. მისი შვილის კლასში მასწავლებელმა ბავშვებს ასეთი დავალება მისცა:

— წარმოიდგინეთ, რომ სადისტები, ტერორისტები და მკვლელები ხართ და დაწერეთ თხზულება, რას გააკეთებდით, ვის მოკლავდით და რას როგორ ააფეთქებდით.

აღშფოთებულმა დედამ სკოლის დირექციას მიმართა. იქ უთხრეს, რომ ეს მასწავლებლის პირადი ინიციატივა გახლდათ, თანაც შემთხვევითი, ექსპერიმენტის სახის. როგორც ჩანს, ეს ბავშვის ხასიათში პათოლოგიური მიდრეკილებების გამოსავლენი ექსპერიმენტი იყო.

**ფაშისტები იდეალურ ადამიანზე ოცნებობდნენ. ტერორიზმთან თანამედროვე მებრძოლები იდეალურ ცნობიერებაზე ოცნებობენ.**

მსოფლიოში დამნაშავეობისა და ტერორიზმის სახიფათო შედეგების მასშტაბი დღითი დღე გაიზრდება, თვით მსოფლიო კატასტროფამდეც კი. ესე იგი, გაიზრდება სახელმწიფოს ძალაუფლებაც, კონტროლის სისტემა გართულდება და ეს შეუმჩნეველ კატასტროფამდე — გადაგვარებამდე და დაღუპვამდე მიგვიყვანს.

ბრძოლა საჭიროა არა იმდენად დამნაშავეობასთან, რამდენადაც მის მიზეზებთან, ხოლო იმ შინაგანი აგრესიულობის მიზეზი, რომელიც შემდეგ დამნაშავეობად გადაიქცევა, ღვთაებრივ ლოგიკაზე ადამიანურის, ცალკეულ ადამიანზე სახელმწიფოს მკვეთრი პრიორიტეტია. ესე იგი, **რაც უფრო გააფთრებით დაიცავს სახელმწიფო ადამიანური სამართლიანობის ლოგიკას, მით მეტ პოტენციურ მკვლელსა და ტერორისტს წარმოშობს.**

აქ კიდევ ერთი ფარული და საშიში პრობლემა არსებობს, რომელსაც თანამედროვე მეცნიერები, პოლიტიკოსები და რელიგიური მოღვაწეები საერთოდ ვერ ამჩნევენ. როგორც კი პრიორიტეტთა სისტემა დამახინჯდება და ადამიანური ღვთაებრივს დაჩრდილავს, ადამიანის სულში ქვეცნობიერი აგრესია ჩნდება და მომავალი დანაშაულებრივი საქციელის ჩანასახები ყალიბდება, მაგრამ ადამიანი, როგორც სამყაროს ნაწილი, ერთიანობის კანონებით გადარჩება და არსებობს. როდესაც სიღრმისეული აგრესია ადამიანის სხეულში ვლინდება, ფიზიკურ დაავადებებს, უბედურებას და წარუმატებლობას ვიღებთ. თუ სხეულის განკურნებას ვეცდებით, აგრესია შეიძლება ცნობიერების დარღვევაში გადაიზარდოს. შესაძლებელია სხვადასხვა უნარის დაქვეითება, მხედველობის, მეხსიერების დასუსტება, ფსიქიკურ დაავადებათა წარმოშობა. თუ ცნობიერების რღვევა საკმარისი არ იქნება ან სული სუსტი აღმოჩნდება, ნგრევის მთავარი იმპულსი სულზე გადავა. სწორედ მაშინ ჩნდება ის, ვისაც დამნაშავეს ვეძახით. თანაც მისი აგრესიული ქმედებები შეიძლება მიმართული იყოს როგორც სხვა ადამიანების, ისე საკუთარი თავის წინააღმდეგ.

ჰომოსექსუალისტი და მაზოხისტი, სატანისტი, სექტანტი, რომელსაც თავისი „მოწაფეების" დამორჩილება სწყურია, პათოლოგიური ტიპი, რომელიც მხოლოდ იმიტომ კლავს, რომ ეს სიამოვნებას ანიჭებს, და ბრწყინვალე განათლების მქონე ინტელექტუალი, რომელსაც მთელი კაცობრიობის მოსპობა სურს, რადგან ის არ მოსწონს — ყველანი საკუთარი სულის წინააღმდეგ დამნაშავეები არიან. და **რაც უფრო საიმედოდ დაიცავს სახელმწიფო ადამიანს სხეულის წინააღმდეგ დანაშაულისგან, დამნაშავეობის მიზეზებს კი არ შეებრძოლება, თვითგანადგურების მით უფრო დიდი ტალღა წალეკავს სულს. და ეს შეუმჩნეველი დამნაშავეობა მემკვიდრეობით გადაეცემა, შვილებისა და შვილიშვილების სულებს დაამახინჯებს.**

ერთი ფრაზა მახსენდება ფილმ „აპოკალიფსიდან": „ამ ადამიანს ნათელი ცნობიერება აქვს, მას სული გაუგიჟდა". ვფიქრობ, იოანე ღვთისმეტყველმა იმ პროცესის გარეგნული ნიშნები აღწერა, რომელიც ახლა იწყება. გარეგნულ ნიშნებთან ბრძოლა შესაძლებელი და საჭიროცაა, მაგრამ ამ ბრძოლაში მუდამ დავმარცხდებით, რამეთუ ფორმა, გარეგნული სახე შინაგანი პროცესების შედეგია. მათგან გაქცევა, მიყრუებულ სოფელში დამალვა შეუძლებელია. მათ უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ სიტუაციის რეალურად შეცვლას მხოლოდ საკუთარი თავის სიღრმისეულად შეცვლით შევძლებთ. თითოეულ ჩვენგანზე დღეს ბევრი რამ არის დამოკიდებული.



# სერგეი ლაზარევი

# კარმის დიაგნოსტიკა

დასაწყისი იხ.2021 წლის „ა-დ" №23-52, 2022 წლის „ა-დ" №3-11





**– მართლმადიდებლურ ლოცვებში ბევრია ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის თხოვნა. თქვენი აზრით, რამდენად სწორია ეს?**

— ორ მოსმენილ ამბავს მოგითხრობთ. ერთხელ მონასტრის სტუმრები ერთ ბერს გამოელაპარაკნენ და მან უამბო, რამ მიიყვანა მონასტერში. ის ჯარისკაცი იყო, ავღანეთში მსახურობდა. ერთ დღეს, გააფთრებული ბრძოლის დროს, მოწინააღმდეგემ მასირებული ცეცხლი გაუხსნა, და ამ მომენტში მან ლოცვა დაიწყო. უფალს მიმართა და სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა. თუ გადავრჩები, ბერად აღვიკვეცები, — აღუთქვა მან. უცებ მუცელში მწვავე ტკივილმა დაუარა, ის რამდენიმე ათეული მეტრით დაშორებული ბუჩქებისკენ გაიქცა და როცა დაბრუნდა, ერთი ცოცხალი ჯარისკაციც აღარ დახვდა. ყველა ტყვიამფრქვევების ძლიერმა ცეცხლმა გაანადგურა. ის გადარჩა და მონასტერში წავიდა.

მეორე ამბავს ტელეგადაცემაში მღვდელი ყვებოდა. სამგზავრო თვითმფრინავმა მოულოდნელად მართვა დაკარგა. მგზავრები მიხვდნენ, რომ მალე დაიღუპებოდნენ. ერთმა მათგანმა ლოცვა დაიწყო: **„ღმერთო, მიხსენი და მღვდელი გავხდები".** თვითმფრინავი ჩამოვარდა, ყველა დაიღუპა, ერთის გარდა. ის მღვდელი გახდა. ვცადოთ გარკვევა, რა მოხდა. რატომ ითხოვა ადამიანმა სიცოცხლის შენარჩუნება და მიიღო ეს? ორივე შემთხვევაში ნაწყალობევი სიცოცხლე უფლისაკენ სწრაფვის, სულში ღვთაებრივი სიყვარულის გამრავლების საშუალებად იქცა. ასეთ დროს, როგორც ჩანს, ავანსი შესაძლებელია. **ადამიანის მზადყოფნა, უფლისკენ იაროს, მისი ურყევი სწრაფვა სიყვარულისაკენ ხშირად უფრო დიდ ცვლილებებს იწვევს, ვიდრე მრავალი წლის განმავლობაში მარხვა, თავშეკავება და დასწავლილი ლოცვები.** ამიტომ ვფიქრობ — მას, ვინც ღმერთს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის თხოვნით მიმართავს, უნდა ესმოდეს, რომ ერთიც და მეორეც მხოლოდ სულში სიყვარულის მოპოვების საშუალებებია. ჯანმრთელობა ავანსად შეიძლება იმას მიეცეს, ვინც შემდგომში მთელ ძალ-ღონეს სულის გაჯანსაღებას მიუძღვნის. და რამდენადაც საკუთარ ფიზიკურ კეთილდღეობას და წარმატებას ღმერთისაგან ნაბოძებ ავანსად აღვიქვამთ, იმდენად გვექნება მათი შენარჩუნების შანსი.

*გაგრძელება იქნება*

# მიხეილ ცაგარელი: რაზე მიგვითითებენ ზოდიაქოს ნიშნების გრაფიკული სიმბოლოები



*— ღრიანკალის ზოდიაქოს ნიშნის სიმბოლური გრაფიკული გამოსახულება რის შესახებ გვაფრთხილებს და რაზე მიგვანიშნებს? მშვილდოსნის ზოდიაქოს გრაფიკული გამოსახულება მოზიდული მშვილდისა და ისრის სახით მის რა და რა დამახასიათებელ ნიშნებზე მიგვითითებს? თხის რქის ზოდიაქოს გრაფიკული სიმბოლო რას ასახავს და რისი მაჩვენებელია რქებისა და თევზის კუდის ერთობლიობა? მერწყულის ზოდიაქოს გრაფიკული სიმბოლო რას გვაგონებს და მისივე მფარველობისა და გავლენის რომელ სფეროს უკავშირდება? თევზების ზოდიაქოს გრაფიკული სიმბოლო რისი მაჩვენებელია, რის სხვადასხვაგვარობასა და მუდმივ ურთიერთწინააღმდეგობაზე მეტყველებს? რას უკავშირდება ხშირ შემთხვევაში ადამიანის არაერთი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური პრობლემა? ძველი ინდური და ჩინური ფილოსოფიით და მედიცინის მიხედვით რას წარმოადგენს ჩაკრა და მაცოცხლებელი პრანა? რა შეიძლება გამოიწვიოს ანდა სად მოვიძიოთ რომელიმე ჩაკრასთან დაკავშირებული პრობლემა და რატომ? პირველ საწყისზე რას აღადგენს არომათერაპია? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ თითოეული ზოდიაქოს ნიშნის გრაფიკული სიმბოლოს დახასიათება.**

— 8. ♏ **ღრიანკალის გრაფიკული სიმბოლო გამოხატავს ღრიანკალს აწეული ნესტრითა და კუდით.** ნიშანდობლივია, რომ **ღრიანკალი** კუდს მაშინ სწევს, როცა საფრთხეს გრძნობს. შესაბამისად, გამოსახულება გვაფრთხილებს ცხოვრებისეული საფრთხეების, მათ შორის, ფარული მახეების შესახებ. თუმცა, იგი ასევე მიგვითითებს, რომ ღრიანკალი თავადაც ძლიერი და უშიშარია, რამეთუ აღჭურვილია გესლიანი ნესტრით და მისი ნაკბენი ბევრისთვის, შესაძლოა, მომაკვდინებელიც იყოს.

9. ♐ **მშვილდოსნის გრაფიკული გამოსახულება სიმბოლურად მომართულ მშვილდსა და ისარს წარმოადგენს.** იგი მიგვანიშნებს ამ ზოდიაქოს ნიშნის მიზანდასახულობაზე, შესაძლებლობების გაფართოების უნარზე, ცოდნის მიღების სურვილზე, წინსწრაფულობაზე და ისეთივე სწრაფ ქმედითუნარიანობასა და სხარტ აზროვნებაზე, როგორი სისწრაფითაც ისარი მიფრინავს.

10. ♑ **თხის რქის გრაფიკული გამოსახულება კი ასახავს თხას რქებით, წვერებით და თევზის კუდით.** მთის თხა, როგორც ნიამორი, ყველა შესაძლებლობას იყენებს, რათა კლდეებზე ყველაზე მაღლა ავიდეს. ეს კი მიგვანიშნებს ამ ზოდიაქოს წარმომადგენელთა კარიერული აღმასვლის მისწრაფებაზე. რქებისა და თევზის კუდის ერთობლიობა კი იმის მაჩვენებელია, რომ **თხის რქაში** ერთიანდება პრაქტიკულობა და მისტიკურობა, ინდივიდუალურობა და სოციალურობა.

11. ♒ **მერწყულის გრაფიკული სიმბოლო ზღვის ტალღებს ასახავს, რომელიც იღვრება ამ შემთხვევაში უხილავი ჭურჭლიდან.** წყალი — როგორც კაცობრიობის მაცოცხლებელი, როგორც უზარმაზარი ენერგიის მიმოქცევა, მენტალური დინება. მეორე მხრივ კი ეს სიმბოლო მიხვეულ-მოხვეულ გზებს მოგვაგონებს, რომელთა გავლა აუცილებელია, რათა ადამიანმა რაიმე ახალი აღმოაჩინოს. ნიშანდობლივია, რომ ყველანაირი სიახლე, პროგრესი სწორედ **მერწყულის ზოდიაქოს** მახასიათებელი, მისი გავლენისა და მისი მფარველობის სფეროა.

12. ♓ **თევზების ზოდიაქოს გრაფიკული სიმბოლო ორი ვერტიკალური რკალითაა გამოსახული, რომლებსაც ერთი პერპენდიკულარული ხაზი გადაკვეთს და აერთიანებს. სიმბოლურად, ეს ორი საპირისპირო მიმართულებით მცურავი თევზია, რომელთაგან ერთი ზემოთ მიცურავს, მეორე კი ქვემოთ ეშვება, მაგრამ ისინი ერთმანეთთან მენტალურად არიან დაკავშირებული, ამიტომ რომელიც უფრო გაძლიერდება, ორივენი იმ მხარეს იმოძრავებენ,** ანუ ან აღმა — სულიერებისკენ, განვითარებისკენ ან დაღმა — დეგრადაციისკენ. ორი მიმართულება ადამიანის გრძნობებისა და სურვილების სხვადასხვაგვარობაზე, ურთიერთწინააღმდეგობრიობაზე, ემოციების ცვალებადობაზე მიგვანიშნებს. ნიშანდობლივია, რომ ადამიანი წარმოუდგენელია შინაგანი ბრძოლისა და შინაგანი ჰარმონიის გარეშე, რაც ერთმანეთთან მუდმივ წინააღმდეგობაშია. **ეს სულისა და გონების ბრძოლაა, რომელიც სიცოცხლის წრებრუნვას ქმნის და სადაც იბადება ჭეშმარიტება.**

## 14-20 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
საქმეში მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინეთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ. მოლაპარაკებების ჩატარება გაგიჭირდებათ, ამიტომ მივლინებები გადადეთ. მიუხედავად ამისა, შემოსავლების რაოდენობა გაიზრდება. განმარტოებას და დასვენებას ხშირად ისურვებთ, რადგან გარშემო მყოფნი თავიანთი ცნობისმოყვარეობითა და უაზრო კითხვებით გაგაღიზიანებენ. მეუღლესთან ან შეყვარებულთან გულახდილი საუბრები დაგამშვიდებთ.

**კურო (21.04-20.05)**
ექსტრემალური სიტუაციები თქვენს გამჭრიახობასა და პროფესიონალიზმს გაზრდის. ფარულმა მტრებმა შესაძლოა, პრობლემები შეგიქმნათ, ეცადეთ, წვრილმანების გამო არ ინერვიულოთ. ცხოვრებისეული ცვლილებებისას ეცადეთ, გამოცდილი მეთოდებით იმოქმედოთ. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კი აუცილებელია, არ იზარმაცოთ და არსებული შანსები დროულად გამოიყენოთ.

**ტყუპი (21.05-22.06)**
სამსახურში კრიზისული სიტუაციებია მოსალოდნელი, რაც სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას ითხოვს. პირადი პრობლემის გამო მუშაობა და პროფესიული საქმეების შესრულება გაგიჭირდებათ, უსიამოვნებების აცილებისათვის ეცადეთ, არასასიამოვნო ადამიანებთან ნაკლებად იურთიერთოთ. ენერგეტიკული პოტენციალის კლება, შესაძლოა, გაციების მიზეზი გახდეს. კარგი პერიოდია დაქორწინებისთვის, თუმცა, თქვენი კავშირი უფრო საქმიანი იქნება, ვიდრე რომანტიკული.

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
სახლის საქმეები თქვენს აქტიურ ჩარევას ითხოვს. ოჯახის წევრებისგან სულიერი და შემოქმედებითი მხარდაჭერის მიღებისას თქვენი თავდაჯერებულება მოიმატებს. მეგობრულ წრეში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც შესაძლოა, თქვენს პროფესიულ საქმიანობასა და სოციალურ სტატუსზეც აისახოს. სასიყვარულო სფეროც გააქტიურდება, თუმცა, უფრო მგრძნობიარე და ეჭვიანი გახდებით. შესაძლოა, საქმიანი ურთიერთობა რომანტიკულში გადაიზარდოს.

**ლომი (23.07-23.08)**
ფანტაზიებს არ აჰყვეთ და წინასწარ არაფერი დაგეგმოთ, რადგან გარემოებათა გამო შესაძლოა, სულ სხვა მოვლენებს ჰქონდეს ადგილი, კონტაქტები და გადაადგილებები დამღლელი იქნება და შესაძლოა, ოჯახში უკმაყოფილებაც გამოიწვიოს. ქონებრივი ან სახლის კეთილმოწყობის საკითხი კი წინა პლანზე წამოიწევს და ფინანსების ხარჯვას დაუკავშირდება. სტუმრიანობაც გახშირდება. მოგზაურობისას სიფრთხილე გმართებთ, რათა არ დაშავდეთ ანდა არაფერი დაგეკარგოთ.

**ქალწული (24.08-23.09)**
ფინანსური თუ მორალური ვალი დროულად დაფარეთ, რათა შემოდავება ვერავინ შეძლოს. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებში შუამავლებს ნუ მიენდობით. ნათესავთან კამათისას ნურავის ნურაფერს შეჰპირდებით, რადგან შესრულებას ვერ შეძლებთ. ახალი სამუშაო ერთდროულად კმაყოფილებასაც მოგგვრით და მომგებიანიც იქნება. უცხოეთში მოგზაურობისათვის არახელსაყრელი პერიოდია, მაგრამ უცხოელებთან ურთიერთობა დადებით შედეგს მოგიტანთ.

## 14-20 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
რთულ მიზნებს ნუ დაისახავთ. ახალი ინფორმაციის მიღება და ათვისება გაგიჭირდებათ. დიპლომატიის უნარი ურთიერთობისას დაგეხმარებათ. სამსახურის გამო შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობისთვის დრო არ დაგრჩეთ, რაც რჩეულის უკმაყოფილებას გამოიწვევს და შინაგან ჰარმონიას დაგირღვევთ. ნუ გადაიტვირთებით და ეცადეთ, უცხოელებთან ურთიერთობა და მოგზაურობათა რაოდენობა მინიმუმამდე შეამციროთ.

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
რთული პერიოდია. შესაძლოა, ადრე დაშვებულმა შეცდომებმა თავი იჩინოს. ბევრი შეხვედრა და სამუშაო გელოდებათ. მიზნის მიღწევისას არაკეთილსინდისიერ ხერხებსა და მეთოდებს ერიდეთ. სამსახურის შესაცვლელადაც არახელსაყრელი პერიოდია. მეგობრებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა ურთიერთობა არ წაიხდინოთ ან უსიამოვნო სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ. მეუღლესა და შვილებთან უთანხმოება კი ჯობს, დროულად მოაგვაროთ.

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
კამათში ნუ ჩაებმებით და სამსახურის შეცვლაზეც არ იფიქროთ. ახალი ინფორმაციის დამუშავება ან ცოდნის გაღრმავება რთულად მოგეჩვენებათ, თუმცა, თქვენს კარიერაზე პოზიტიურად აისახება. ნებისმიერი უწესრიგობა გაგაღიზიანებთ. ჯანმრთელობაც მეტ ყურადღებას ითხოვს. საკვების ვარგისიანობაც გააკონტროლეთ. ეცადეთ, ოჯახის წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. მოგზაურობისას საბუთებსა და საფულეს გაუფრთხილდით.

**თხის რქა (22.12-19.01)**
უცხოელებთან კონტაქტი მინიმუმამდე შეამცირეთ, რათა ემოციური მდგრადობა შეინარჩუნოთ და დეპრესიულობა აიცილოთ. სხვათა გაკილვასა და გაკრიტიკებას მოერიდეთ. მეუღლესთან ურთიერთობაში საიდუმლო გაჩნდება. შესაძლოა, საიდუმლო სასიყვარულო პარტნიორიც გაჩნდეს. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად სპორტსა და გამაჯანსაღებელ პრაქტიკას მიმართეთ. შორეული მოგზაურობა სასურველ შედეგს ვერ მოგიტანთ.

**მერწყული (20.01-18.02)**
საკმაოდ რთული პერიოდია როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის. შესაძლოა, მშობლებს ან უმცროს ნათესავებს თქვენი დახმარება დასჭირდეთ, რის გამოც ჩანაფიქრი ან დაწყებული პროექტი ჯერ ვერ დასრულდება. აგრესია დაიოკეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ, რათა სამართალდამცველებთან ურთიერთობა არ მოგიწიოთ. მოგზაურობა გადადეთ და დრო დაუთმეთ ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და პირადი ურთიერთობების გამოსწორებას.

**თევზები (19.02-20.03)**
ოჯახური პრობლემის გადაჭრისას შორეული ნათესავებისა და ახლო მეგობრებისგან მხარდაჭერას მიიღებთ. დროა ჯანმრთელობაზე, კარიერასა და იმიჯზე დაფიქრდეთ. ნებისმიერი რთული სიტუაციიდან მშვენივრად დააღწევთ თავს, თუ სხვისი საიდუმლოს გაგებას არ შეეცდებით. კარგი პერიოდია საცხოვრებელი ადგილის შესაცვლელად, ახლო მანძილზე გადაადგილებებისა და უცხოელებთან ურთიერთობებისთვის. ენერგია კი ჯობს ფიზიკურ ვარჯიშზე დახარჯოთ.

## ორგანიზმის ენერგეტიკული ცენტრების – ჩაკრების კავშირი პლანეტების ენერგიებთან და არომათერაპია

**— არაერთხელ გიხსენებიათ არომათერაპია, ანუ არომატული ნივთიერებებით, კეთილსურნელებით მკურნალობა, რომელიც ხელს უწყობს ენერგიის აღდგენას, სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემის დაძლევას და ორგანიზმის გაჯანსაღებას. მკურნალობის ამ მეთოდს რა აკავშირებს ასტროლოგიასთან?**

— მოგეხსენებათ, რომ **არაერთი ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემის მიზეზი ხშირ შემთხვევაში ენერგეტიკული ცენტრების ე.წ. ჩაკრების ბალანსის მოშლაა. ჩაკრა ძველი ინდური და ჩინური ფილოსოფიისა და მედიცინის მიხედვით ადამიანის ეთერული სხეულის ენერგეტიკული ცენტრია, რომელშიც თავს იყრის ფიზიკური და სასიცოცხლო ძალები. სწორედ ამ ცენტრებზე გადის ის ენერგეტიკული ძალი, რომელშიც „მაცოცხლებელი პრანა" მიედინება.** თუ ამ ენერგიის სრულფასოვან დინებას ხელი ეშლება, ჩაკრა სუსტდება, რაც ავადმყოფობის მომასწავებელია. პირიქითაც ხდება, შესაძლოა, ავადმყოფობა გახდეს მიზეზი **ჩაკრას** დასუსტების, რის შემდეგაც ადამიანს სრულად გამოჯანმრთელება უჭირს და ამ დროს იწყება გვერდითი დაავადებანი, სისუსტე, ნერვული სისტემის მდგომარეობის, ჯანმრთელობის გაუარესება. ამგვარად, **ადამიანი ჯანმრთელი რომ იყოს, ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს მის ორგანიზმში პრანის გადაადგილებას და ჩაკრების სრულფასოვნად ფუნქციონირებას. ჩვენს ორგანიზმში კუდუსუნიდან ყიფლიბანდამდე შვიდი ჩაკრაა განლაგებული და თითოეულს გარკვეული ფუნქცია აკისრია, აქვს თავისი ფერი, გარკვეულ თვისებებს ავითარებს, სულიერი და ფიზიკური განვითარების დონეს გვიჩვენებს. ჩაკრების** თემაზე ძალიან ბევრი კვლევაა ჩატარებული, ბევრი ინფორმაციაა დაგროვილი და ბევრი წიგნია დაწერილი, მაგრამ ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს მათი ურთიერთდამოკიდებულება ასტროლოგიასთან. ნიშანდობლივია, რომ **თითოეული ჩაკრა სიმბოლურად გარკვეული პლანეტების ენერგიას უკავშირდება, ამიტომ რომელიმე ჩაკრასთან დაკავშირებული პრობლემაც შესაბამისი პლანეტის ზეგავლენის სფეროში უნდა მოვიძიოთ.** ადამიანის პირადი ჰოროსკოპისა და ასტროლოგიური მონაცემების მეშვეობით შესაძლებელია ამა თუ იმ პრობლემის აღმოჩენაც და მის აღმოფხვრაზე მუშაობაც, თუმცა, **პირველ საწყისად შეგვიძლია, არომათერაპია დავიხმაროთ, რომელიც მშვენივრად აღადგენს ჩაკრებში ენერგიის გადინებას და ახდენს პლანეტათა ზემოქმედების ჰარმონიზებას.**

*რუბრიკას უძღვება მარინა მერკვილაძე*

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 14,15,17,18 და 20 მარტი**

**2 მარტი – ახალმთვარეობა, 18 მარტი – სავსემთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 14 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.15 საათზე, ჩადის 18.06 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 13.51 საათზე, ჩადის 15 მარტს 04.34 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 14.21 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კაპიტულაციას ნუ დაუშვებთ. საზოგადოებრივ აზრს დაეყრდენით. სასიკეთოა ლოცვა, მედიტაცია. კარგი დღეა ახალი სამსახურის და მშენებლობის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის, ძვირფასი ნივთების, კოსმეტიკა-პარფიუმერიის, ლატარიის ბილეთების შესაძენად, გართობისთვის. ურთიერთობისას ზედმეტად სერიოზული თემებით ნუ დაიტვირთებით. არ არის სასურველი პრეტენზიის გამოთქმა, ქორწინება, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა. მოერიდეთ ნერვიულობას, სიმძიმეების აწევას, ფიზიკურად გადატვირთვას, სოლარიუმსა და საუნას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გული, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, სარდიონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 15 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.13 საათზე, ჩადის 18.07 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 14.57 საათზე, ჩადის 16 მარტს 05.09 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 15.41 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.56 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს რასაც მოისმენთ, ყველაფერს ნუ დაიჯერებთ. ინფორმაცია შეამოწმეთ. სიტყვები აწონ-დაწონეთ, რათა ამას შორსმიმავალი პრობლემები არ მოჰყვეს, ზედმეტი ამპარტავნობა და სიამაყე დაიოკეთ, ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ყურადღება გამოავლინეთ. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, მეგობრული კონტაქტებისთვის, მშენებლობის დასაწყებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, თმის შეჭრა-მოვლისთვის, ძვირფასეულობის, საჩუქრების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. არ არის სასურველი ნერვიულობა, ფიზიკური გადატვირთვა, სოლარიუმისა და საუნის გამოყენება, ხელშეკრულების დადება, ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, ქორწინება და ნიშნობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 16 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.12 საათზე, ჩადის 18.08 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.00) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 16.05 საათზე, ჩადის 17 მარტს 05.38 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 17.03 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 09.00 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მეტი ყურადღება გმართებთ, რათა გულმავიწყობამ და დაბნეულობამ არ იჩინოს თავი. სახლში ან სამსახურში შესაძლებელია სასიამოვნო ცვლილებანი. ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდისკენ, ნუ მიიღებთ ზედმეტ საკვებს. კარგი დღეა საფინანსო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, სწავლისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი კამათი, ეჭვიანობა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედებანი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის.

## 17 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.10 საათზე, ჩადის 18.10 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 17.13 საათზე, ჩადის 18 მარტს 06.05 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 18.17 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ხვალინდელი **სავსემთვარეობის** წინ ნებისმიერი ინფორმაცია შეამოწმეთ. **სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლის დღეა!** თქვენს გეგმებს ნუ გაამხელთ. მოერიდეთ ხალხის მასაში ყოფნას, მაღალია თვალის ცემის ალბათობა. შესაძლებელია პარტნიორთან რთული საკითხების კონსტრუქციულად გადაწყვეტა, საერთო საქმის განხორციელება. ამავდროულად ურთიერთობის ემოციურად გარჩევა არ ღირს. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ვაჭრობისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ხელსაქმეობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი ნაცნობობა, აგრესიისა და ემოციის გამოვლენა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 18 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.08 საათზე, ჩადის 18.11 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.27) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 18.22 საათზე, ჩადის 19 მარტს 06.29 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 19.52 საათზე. **სავსემთვარეობაა, პიკი** — 11.19 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.11 საათიდან 15.27 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა.** მძიმე ენერგიების დღეა. მაღალია აგრესია-დეპრესიის გამოვლენის, ცდუნებების, დეპრესიის, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. სასიკეთოა ლოცვა. გამართლებული იქნება პარტნიორული თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. შესაძლებელია ძველი პარტნიორული ურთიერთობის აღდგენა. კარგი დღეა დასუფთავებისთვის, შემოქმედებისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის. არ არის სასურველი ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება-გასესხება, ქორწინება, სარისკო ქმედებანი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა, ყელი, თირკმლები, კანი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 19 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.07 საათზე, ჩადის 18.12 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 19.32 საათზე, ჩადის 20 მარტს 06.52 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 21.18 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** არასასურველი ფინანსური სიურპრიზების დღეა! დღეს პარტნიორებსა და მათ ფინანსურ შესაძლებლობას ნუ დაეყრდნობით. შესაძლებელია ურთიერთობის აღდგენა, საკამათო საკითხის სასიკეთოდ გადაჭრა. კარგი დღეა პაემნების, ქორწინებასა და სასიყვარულო კონტაქტებისთვის, შემოქმედებისთვის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად, თირკმლების მერიდიანზე წერტილოვანი მასაჟისთვის. ამავდროულად ეცადეთ, წელი არ გაიციოთ და ზედმეტი სითხე არ მიიღოთ. სასიკეთოა კოსმეტიკური პროცედურები. ხელი შეეწყობა ზედმეტი წონისაგან გათავისუფლებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ფირუზი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 20 მარტი, კვირა

**მზე** გადაინაცვლებს (19.35) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.05 საათზე, ჩადის 18.13 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.46) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 20.44 საათზე, ჩადის 21 მარტს 07.16 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 22.47 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.40 საათიდან 19.46 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: დღეს გაზაფხულის დღეღამტოლობის საკრალურ დღეს მზე გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში. ასტროლოგიურად ახალი წელია! ილოცეთ! სურვილები ჩაუთქვით!** უახლოესი ერთი თვის მანძილზე გაძლიერდება ენერგიულობა, მებრძოლი სულისკვეთება, კომუნიკაბელურობა, გონებამახვილობა და ასევე მიდრეკილება აგრესიულობისკენ და დიქტატორობისკენ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, მკურნალობის დასაწყებად. მოერიდეთ საქმის გარჩევას, ზედმეტი სითხისა და ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, ციტრინი, აკვამარინი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## საეკლესიო კალენდარი

✝ 14 მარტი. ორშაბათი. ღირსმოწამისა **ევდოკიასი;** მოწამისა **ანტონინასი;** მოწამეთა **მარკელესი და ანტონისა;** ღირსისა **დომნინა სირიელისა;** ღირსისა **აგაპი ვატოპედელისა, ათონელისა.**

✝ 15 მარტი. სამშაბათი. **მღვდელმოწამისა თეოდოტესი, კვირინელი ეპისკოპოსისა;** ქალწულმოწამისა **ევთალია** სიცილიელისა; მოწამისა **ტროადისა და მისთანა წამებულთა;** 440-თა იტალიელ მოწამეთა.

✝ 16 მარტი. ოთხშაბათი. **იოანე IV ოქროპირისა, ქართლის კათალიკოსისა;** მოწამეთა: ევტროპისი, კლეონიკესი და ბასილისკოსი; ღირსისა პიამუნ ქალწულისა; წმიდათა ზენონისა და ზოილესი; მღვდელმოწამისა თეოდორიტესი, ანტიოქიელი ხუცისა.



**17 მარტი – ხსენება ღირსისა გერასიმე იორდანიელისა**

✝ 17 მარტი. ხუთშაბათი. ღირსისა **გერასიმე იორდანიელისა;** მოწამეთა **პავლესი და** დისა მისისა **ივლიანასი**.

✝ 18 მარტი. პარასკევი. მოწამისა **კონონ ისავრიელისა;** მოწამისა **ონისესი;** მოწამისა **კონონ მებაღისა,** გალილეის ნაზარეთელისა; მოწამისა **ევლოგი პალესტინელისა;** მოწამისა ევლამპისა; ღირსისა მარკოზისა; პოვნა წმიდათა ნაწილთა კეთილმსახურთა მთავართა: **თეოდორე სმოლენსკელისა** და ძეთა მისთა **დავითისა** და კონსტანტინესი, **იაროსლაველ** სასწაულმოქმედთა.

✝ 19 მარტი. შაბათი. **მიცვალებულთა ხსენება.**

✝ 20 მარტი. კვირა. წმიდა **გრიგოლ პალამასი,** თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა; კრება ყოველთა ღირსთა მამათა, კიევის ქვაბთა შინა დავანებულთა; მღვდელმოწამეთა, ქერსონესელ ეპისკოპოსთა: **ბასილისა, ეფრემისა, ევგენისა, აღათოდორესი, ელპიდისა, ესთერისა, კაპიტონისა**.



„ასავალ-დასავალის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს **დემიკო ლოლაძეს** დედის, უსათნოესი ქალბატონის, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველისა და დიდი გულშემატკივრის

**თინა დიმიტრის ასული კანდელაკის**

გარდაცვალების გამო. უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი ღირსეული ქართველი ქალბატონისა და დედის სულს.



„ასავალ-დასავალის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს **მამუკა კაკუშაძეს** მამის, ღირსეული და პატრიოტი ქართველი კაცის

**გიული გრიგოლის ძე კაკუშაძის**

გარდაცვალების გამო. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.





მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. პორშე; 6. მანტუ; 12. ლუიდორი; 13. ტორპედო; 14. სევდა; 15. რურკი; 16. ტატრები; 17. ფანდური; 18. იანკი; 19. კვოტა; 20. ვექტორი; 21. რეპლიკა; 23. ალიზი; 26. ნოინი; 28. ჯიქანი; 31. ბრაილი; 32. ეფენდი; 33. მუსი; 34. როლექსი; 35. მინდია; 38. დუდუკი; 39. მიუსე; 40. თიაქარი; 42. ტრანსი; 45. ვიზიტი; 48. არ; 49. ნუარე; 50. ის; 51. ვალიკო; 53. ხვედრი; 54. სიმონია; 55. ხიდი; 57. ლამბადა; 58. მაკაო; 61. ონასისი; 62. ოლიფა; 63. ზენიტი; 64. გერბი; 65. ირიბარი; 66. პრადო.**

შვეულად: **1. პასტილა; 2. რევანში; 3. ელატივი; 4. სინტაქსი; 5. ბოლერო; 6. მირიკინი; 7. ნარკოზი; 8. უტიფარი; 9. ტრანსპორტი; 10. ლემური; 11. გორილა; 22. კოლტი; 24. ლაფსუსი; 25. ზანდუკი; 27. ნასტურანი; 28. ჯირითი; 29. ქოლგა; 30. ნექტარი; 33. მიმინო; 35. მეტეხი; 36. დონ; 37. ანისი; 41. ქალამანი; 43. ამება; 44. სირია; 45. ვოსტოკი; 46. ზამთარი; 47. ტენტი; 51. ვალიზი; 52. კვარტა; 55. ხაო; 56. დეიდა; 58. მაგო; 59. კარე; 60. ოტია.**

**ფარდაგიდელიბისტროფისკიბობინააპალმირაბატიკი**
**ხალიფაფარიალიევიტაროსინისიათამადამონადირე**

| იატაკზე საფენი მატყლის უხაო ქსოვილი | ფრანგი კომპოზიტორი | ლექსის ნაწილი | სპეციალური მარხილით მთიდან დაშვების სახეობა | ლაბისებრი საწვავი პროდუქტი | ყვავილნარის ზოლი ქუჩის გაყოლებაზე | დას-ტური სიტ-ყვა |
|---|---|---|---|---|---|---|

| ფანჯრის საფარი ქსოვილი | პირგანიერი და ძირწვრილი გოდორი | „სწრაფი“ კაფე | სახელმწიფო ხაზინა | ფირის დასახვევი გორგოლაჭი მაგნიტოფონში | სანკტ-პეტერბურგის პოეტური სახელი | ქსოვილის მოხატვის ტექნიკა |
|---|---|---|---|---|---|---|




**თარაზულად:** 1. გერმანული ავტომობილი; 6. ტუბერკულოზის სინჯი კანზე; 12. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 13. წყალქვეშა ჭურვი; 14. დარდი, ნაღველი; 15. მსახიობი მიკი...; 16. მთათა სისტემა ევროპაში; 17. ქართული ხალხური სიმებიანი საკრავი; 18. ამერიკელების მეტსახელი; 19. მიღებული ნორმა, დადგენილი წილი; 20. სწორხაზოვანი მონაკვეთი გარკვეული მიმართულებით და მდგომარეობით; 21. ორატორისთვის ადგილიდან მიცემული მოკლე შენიშვნა; 23. გამოუწვავი აგური; 26. მონღოლი მმართველი; 28. ცური; 31. უსინათლოთა შრიფტი; 32. ზრდილობიანი მიმართვა კაცისადმი თურქეთში; 33. ხილის სიროფისგან დამზადებული ტკბილი საჭმელი; 34. შვეიცარიული საათი; 35. ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“; 38. ლერწმის ჩასაბერი საკრავი; 39. ფრანგი პოეტი; 40. ნაწლავის გამოვარდნა მუცლის ღრუდან კანქვეშ; 42. ფსიქიკური აშლილობის ფორმა; 45. სტუმრობა; 48. ფილმი „... დაიდარდო“; 49. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 50. ჩვენებითი ნაცვალსახელი; 51. კიკაბიძის როლი ფილმ „მიმინოში“; 53. კუთვნილი წილი; 54. საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა; 55. ნაგებობა მდინარეზე; 57. ბრაზილიური ცეკვა; 58. ერთგვარი ბანქოს თამაში; 61. ბერძენი მილიარდერი; 62. მოხარშული ტექნიკური ზეთი; 63. საბჭოური ფოტოაპარატები; 64. სახელმწიფოს პირობითი გამოსახულება; 65. ესპანელი ექსფეხბურთელი; 66. სამხატვრო მუზეუმი მადრიდში.

**შვეულად:** 1. ხილის ცომისებრი ტკბილეული; 2. სამაგიეროს გადახდა დამარცხებისათვის; 3. გამოსვლითი ბრუნვა ზოგ ენაში; 4. გრამატიკის ნაწილი; 5. წყვილთა ესპანური ცეკვა; 6. სამხრეთამერიკული მაიმუნი; 7. ხელოვნური ძილი ოპერაციამდე; 8. თავხედი, ურცხვად თამამი; 9. სახალხო მეურნეობის დარგი; 10. ნახევრადმაიმუნი; 11. ადამიანის მსგავსი მაიმუნი; 22. ერთგვარი რევოლვერი; 24. უნებლიე შეცდომა წერაში; 25. სკივრი; 27. ძლიერი რადიოაქტიური მინერალი, ურანიტის სახესხვაობა; 28. ისინდი; 29. წვიმისგან და მზისგან დასაცავი საგანი; 30. ღმერთების სასმელი ბერძნულ მითოსში; 33. მტაცებელი ფრინველი; 35. თბილისის ისტორიული უბანი ავლაბარში; 36. ქართული დ-ს სახელი; 37. ძველი სომხეთის დედაქალაქი; 41. ხამი ტყავის შინნაკეთი მარტივი ფეხსაცმელი; 43. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი; 44. აზიის სახელმწიფო; 45. რუსული კოსმოსური ხომალდი; 46. წელიწადის დრო; 47. ტილოს ფარდული; 51. დიპლომატიური დაბეჭდილი ტომარა; 52. ე.წ. „მეოთხე დაცვა“ ფარიკაობაში; 55. ბუსუსები ქსოვილზე; 56. დედის და; 58. აფრიკული უკუდო მაიმუნი; 59. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა; 60. მწერალ იოსელიანის სახელი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| დახალული ბურღულეულის ფაფა | ირანის ფულის ერთეული | ფილმი მადონას შესრულებით | იტალიელი კომპოზიტორი | ძველებური თოფი | მიმართვა ქალისადმი საფრანგეთში | ნადირობის მიმდევარი |
|---|---|---|---|---|---|---|

| წერტილ-ივით ლაქა კანზე | ლომის „ვარცხნილობა“ | აზერბაიჯანის პრეზიდენტი | იგივეა, რაც ამინდი | ვალი | სუფრის ხელმძღვანელი | უუფლებო ადამიანი | ძელი გადებული კედლის საძირკვლად |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზოგადი
ასავალ დასავალი
2022 წლის 14 – 20 მარტი №12 (1424)
გამოდის ორშაბათობით
ISSN 2233-3800
9 772233 380006

მეღიაჰოლღინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
სარედაქციო კოლეგია

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.ge** ან **www. asdas.ge**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.ge** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.ge** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**